საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

დურმიშხან ცინცაძე

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში

(ტყვარჩელის მრეწველობა)

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1979

42.182(F)
633.71(47.922)
ᲪᲐ 661

ნაშრომში განხილულია კაპიტალისტურ ხანაში საქართველოში წარმოქმნილი თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობის ისტორია, მისი განვითარება, ხასიათი, მნიშვნელობა, მუშათა მდგომარეობა და რევოლუციურ მოძრაობაში მათი მონაწილეობა.

ნაშრომი ძირითადად დაწერილია საქართველოს, ლენინგრადისა და უკრაინის (ხარკოვი) ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივების მასალების საფუძველზე.

Ი $\frac{10807}{М\ 607(06)—79}$ 241—79 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1979

შ ე ს ა ვ ა ლ ი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ძირეული გარდატეხები ხდება; იშლება მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა და იწყება ახალი ხანა—კაპიტალიზმის ეპოქა. დაიწყო მრეწველობის განვითარება, სულ უფრო ფართო ხასიათს იღებდა ვაჭრობა, რკინიგზების გაყვანამ დიდი როლი შეასრულა მხარის ეკონომიკური განვითარებისა და საერთო ბაზართან მისი დაკავშირების საქმეში. ქვეყანა თავისი განვითარების ახალ გზას, კაპიტალიზმის გზას, დაადგა.

ეხება რა კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში, ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" წერს: „რეფორმის შემდგომ ხანაში, ერთი მხრით, ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდად მოჰყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან. მეორე მხრით, თანდათან იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი „შინამრეწველური" სარეწები, რომლებიც ეცემოდნენ მოსკოვიდან შემოტანილი ფაბრიკატების კონკურენციის გამო. ეცემოდა იარაღის ძველებური წარმოება ტულიდან და ბელგიიდან შემოტანილ ნაწარმთა კონკურენციის გამო, ეცემოდა რკინის შინამრეწველური დამუშავება შემოტანილი რუსული პროდუქტის კონკურენციის გამო, აგრეთვე სპილენძის, ოქრო-ვერცხლის, თიხის, ქონის და სოდის, ტყავისა და სხვ. შინამრეწველური დამუშავება: ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში, რომლებიც კავკასიაში გზავნიდნენ თავის ნაწარმს. ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად, საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და ისტორიული ნადიმების დაცემის გამო, ეცემოდა ქუდის სარეწი აზიური კოსტუმის ევროპულით შეცვლის გამო, ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გამოჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის

განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს. ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის"[1].

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შევისწავლოთ კაპიტალისტურ ხანაში საქართველოში წარმოქმნილი ზოგიერთი სამრეწველო ობიექტის ისტორია (ამ შემთხვევაში თამბაქოს მრეწველობისა). მისი განვითარება, ხასიათი და მნიშვნელობა, მუშათა მდგომარეობა, შრომის პირობები, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, ხელფასი, საბინაო პირობები და მათი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა.

ნაშრომის დაწერისას ძირითადად ვხელმძღვანელობდით მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომებით (კ. მარქსის „კაპიტალი" და ვ. ი. ლენინის „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში").

ნაშრომი ძირითადად დაწერილია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის, ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის, უკრაინის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ხარკოვის ფილიალისა და ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალური არქივის სათანადო მასალების დამუშავების საფუძველზე.

თემის დამუშავებისას გამოვიყენეთ ქართული და რუსული პერიოდული გამოცემები, სტატისტიკური კრებულები, აგრეთვე, მკვლევართა ის შრომები, რომლებიც საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვასა და განვითარებას შეეხება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის მეტად ჩამორჩებოდა ოფიციალური სტატისტიკა. იმდროინდელი აღრიცხვიანობის „პირველ ნაკლს, — წერდა ვ. ი. ლენინი, — წარმოადგენს საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის დაქსაქსვა სხვადასხვა „უწყებებს" შორის და უქონლობა სპეციალური, წმინდა სტატისტიკური დაწესებულებისა, რომელიც ცენტრალიზებული წესით მოაწყობს ყველა ფაბრიკისა და ქარხნის შესახებ მთელი ცნობების შეკრებას, შემოწმებასა და დამუშავებას"[2]. სტატისტიკური მონაცემებით „ფაბრიკა"-„ქარხნების" რიცხვში იხსენიება ისეთი წვრილი საწარმოებიც, „რომელთა სრულ რეგისტრაციაზე ჩვენი სტატისტიკის არსებულ საშუალებათა პირობებში ფიქრიც კი სასაცილო იქნებოდა"[3], აღნიშნავს

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 704—705.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 4, 1949, გვ. 36.
[3] იქვე, გვ. 16.

ვ. ი. ლენინი. მიუხედავად ამისა, იმდროინდელი სტატისტიკა დაახლოებით წარმოდგენას მაინც გვაძლევს კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებაზე, მისი სხვა მონაცემებთან შედარება და დაზუსტება კი საჭირო საფუძველს ქმნის აღნიშნული ობიექტის შესასწავლად.

თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა ჩვენს მეცნიერებაში ჯერჯერობით სათანადოდ შეუსწავლელია; მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მისი მონოგრაფიულად შესწავლა.

თამბაქოს მრეწველობის მეცნიერული შესწავლა თავისთავად განუყოფელი ნაწილია ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების მთლიანი სურათის მეცნიერული შესწავლისაგან.

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პრობლემებს არა ერთი მკვლევარი შეეხო და საყურადღებო მოსაზრებებიც არის გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაში[4]. აქ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მეცნიერთა გამოკვლევებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად ჩვენთვის საინტერესო საკვლევ ობიექტს შეეხებიან; რა თქმა უნდა, გზადაგზა ვიხელმძღვანელებთ მეცნიერთა იმ შრომებითაც, რომლებშიც განხილული არ არის საკუთრივ ჩვენი კვლევის საკითხი, მაგრამ საყურადღებო მოსაზრებები და დასკვნებია მოცემული საერთოდ საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების შესახებ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების შესწავლა პროფ. პ. გუგუშვილის მეცნიერული კვლევის ძირითადი საგანია. წლების მანძილზე მის მიერ ჩატარებული დიდი შრომის შედეგია მისი ვრცელი მონოგრაფიული შრომები. XIX—XX საუკუნეების საქართველოს ეკონომიკური განვითარების შესახებ არ დარჩენილა თითქმის არც ერთი საკითხი, რომელიც პროფ. პ. გუგუშვილს მეტ-ნაკლებად შესწავლილი არ ჰქონდეს. იგი ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანია, რომელიც მთელ რიგ კაპიტალისტურ საწარმოებთან ერთად შეეხო თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობასაც, მაგრამ, როგორც ე. ხოშტარია მართებულად შენიშნავს, „პ. გუ-

---

[4] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარების ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში: იხ. მ ი ს ი ე ე, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, თბ., 1966, გვ. 5—49; ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, მე-19 საუკუნის საქართველოს სამრეწველო განვითარების საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, იხ. კრებული „ქართული ისტორიოგრაფია“, თბ., 1968, გვ. 183—189.

გუშვილი მანუფაქტურული წარმოების განხილვისას არ ეხება თამბაქოს „ფაბრიკებს", რომელნიც დიდი ხნის მანძილზე მანუფაქტურების სახით არსებობდნენ. ამ საწარმოებს იგი ეხება მხოლოდ მანქანური წარმოების განვითარებასა და ამ დარგში მანქანების შემოღებასთან დაკავშირებით"[5].

პროფ. ა. კიკვიძემ მონოგრაფიულად შეისწავლა XIX—XX სს. საქართველოს ისტორია და მუშათა მოძრაობის საკითხები[6]. მის შრომებში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უჭირავს კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვას, მის ხასიათსა და განვითარებას საქართველოს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში. კაპიტალისტური წამოწყებების მიმოხილვასთან ერთად პროფ. ა. კიკვიძე ეხება XIX ს. მეორე ნახევრის თბილისის თამბაქოს ფაბრიკებს, როგორც წმინდა კაპიტალისტურ საწარმოებს. იგი ვრცლად მიმოიხილავს თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულ მუშათა მდგომარეობასა და მათ საგაფიცვო მოძრაობას 1898—1901 წლებში.

პროფ. გ. ბაქრაძე, სწავლობს რა XIX ს. საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის ჩასახვისა და განვითარების გზებს, მოკლედ ეხება 80—90-იანი წლების თბილისის თამბაქოს ფაბრიკების სხვადასხვა მონაცემებს: მათ რაოდენობას, წლიურ პროდუქციას, მუშათა კონტინგენტს და ტექნიკურ აღჭურვილობას[7].

1958 წ. გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასასრულამდე. აღნიშნულ სახელმძღვანელოში თავი — „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში", ეკუთვნის პ. რატიანს. ავტორი კონკრეტულად მიმოიხილავს კაპიტალისტური მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან დარგებს, მათთან ერთად თამბაქოს გადამმუშავებელ მრეწველობასაც და ასკვნის: „80-იან წლებში თამბაქოს გადამმუშავებელ მანუფაქტურებს შეენაცვლა

---

[5] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 13; პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 369—383; მ ი ს ი ვ ე, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, ტ. XVI, 1940, გვ. 142—151.

[6] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 1954; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია, XIX—XX სს., თბ., 1959; მ ი ს ი ვ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945.

[7] Г. К. Б а к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тб., 1958, с. 246—248.

თამბაქოს დიდი ფაბრიკები. თამბაქოს გადასამუშავებელ წარმოებაში ტექნიკური გადატრიალება გამოიწვია მექანიკურმა საპრელმა დაზგამ, რომელსაც თან მოჰყვა ორთქლისა და ბენზინის (შიდაწვის) ძრავების გამოყენება"[8].

საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების შესახებ საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნა დ. გოგოლაძემ. ავტორმა კაპიტალისტური მრეწველობის პირველ წამოწყებებად შეისწავლა აბრეშუმის, შაქრის, მინის, საპნის, ტყავის, ბამბის, მაუდისა და სხვა საწარმოები. ცალკე შეეხო საქართველოში პირველად მოწყობილ ჩიჯავაძის, ბოზარჯიანცისა და ენფიანჯიანცის თამბაქოს გადამამუშავებელ საწარმოებს და ისინი კაპიტალისტურ მანუფაქტურებად მიიჩნია[9].

რეფორმისშემდგომი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარებას ეხება ნ. როდონაიას ნაშრომი: „თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში"[10]. ავტორმა შეისწავლა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: საპნის, სტეარინისა და სანთლის წარმოება, ხე-ტყის დამმუშავებელი მრეწველობა, ლუდის, სპირტისა და ხელოვნური მინერალური წყლების წარმოება, მექანიკური წარმოება, აგურის წარმოება და სხვ. ავტორი წლიური მონაცემების საფუძველზე მიმოიხილავს ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საგოიანცის, საფაროვის, ვარნაზოვისა და ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკებს, რაც მართებულად მსხვილი მასშტაბის საწარმოებად მიაჩნია, რომლებიც უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის კაპიტალისტურ ფაბრიკებად იქცნენ. ავტორმა ასეთივე აზრი გამოთქვა სტატიაში: „XIX ს. 70—80-იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის"[11].

საქართველოს მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების საკვანძო საკითხებს განიხილავს ე. ხოშტარია წიგნში: „მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში" (გამოვიდა 1966 წელს), ამავე პრობლემას ეხება მისი სტატია: „დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქარ-

---

[8] საქართველოს ისტორია, ტ. I, თბ., 1958, გვ. 505.

[9] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959.

[10] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმისშემდგომი ხანა), თბ., 1961.

[11] ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. VI, ნაკვ. I, თბ., 1961, გვ. 71—85.

თველოში XIX ს. 30—60-იან წლებში"[12]. ავტორი თბილისში 50—60-იან წლებში არსებულ თამბაქოს „ფაბრიკებს" მანუფაქტურის ტიპის კაპიტალისტურ საწარმოებად მიიჩნევს.

მ. სამსონაძე წიგნში „თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში" ადგენს აღნიშნული ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ძირითად ეტაპებს და იმავე პერიოდის სამრეწველო წამოწყებების წარმოშობის გზებს. მისი კვლევის საგანია ისეთი სამრეწველო წამოწყებები, როგორიცაა: აბრეშუმის, მაუდის, ტყავის, საპნის, სანთლის, შაქრის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და სხვა წარმოებები. ავტორი იქვე ეხება თამბაქოს მრეწველობაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს და წერს: „აღნიშნულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტური საწარმოებია, რომლებიც რეფორმისშემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაფართოვდნენ (ენფიანჯიანცი, ბოზარჯიანცი და სხვა საწარმოები)"[13].

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებას ცალკე თავი აქვს დათმობილი ნ. ჩახვაშვილის წიგნში «Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.)» (გამოვიდა 1958 წ.). ავტორი საქართველოში კაპიტალისტური მრეწველობის განხილვისას ეხება 80-იანი წლებისათვის თბილისში არსებულ თამბაქოს ფაბრიკებს, მუშათა მდგომარეობასა და მათი მოძრაობის დასაწყისს.

„ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში", ასე ეწოდება შ. ცაგარეიშვილის წერილს, რომელიც წინასიტყვაობად ახლავს გამოქვეყნებულ საარქივო დოკუმენტებს[14]. მასში მოცემულია საქართველოს მრეწველობის განვითარების ზოგადი დახასიათება XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის.

ნ. ტყეშელაშვილი წიგნში „ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან (1864—1920 წწ.)" (გამოვიდა 1958 წ.) განიხილავს მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა: ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა, შანგანუმის მრეწველობა, ნავთობის პროდუქტების ტარის წარმოება და მრეწველობის ზოგიერთი სხვა დარგები. სწორედ ამ სხვა დარგებს შორის მოკლედ ეხება ავტორი თამბაქოს ფაბრიკებს.

---

12 ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბ., 1958, გვ. 166—200.

13 მ. სამსონაძე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968, გვ. 131—132.

14 იხ. საისტორიო მოამბე, 9, თბ., 1956, გვ. 1—253.

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რევოლუციური მოძრაობის ზოგიერთ მომენტს შეეხება ს. ჩხარტიშვილი წიგნში: „რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში“ (გამოიცა 1957 წელს).

1965 წელს გამოვიდა მ. ჯიჯეიშვილის წიგნი „მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.)“, რომელშიც ავტორი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იძლევა 1910-იანი წლების თამბაქოს მრეწველობის მდგომარეობას თბილისში.

ვინაიდან ჩვენ საკვლევ შრომაში ცალკე ვეხებით სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარებას საქართველოში, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით მოკლედ შევხებოდით მეთამბაქოეობის განვითარების შესწავლას ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

საქართველოში მეთამბაქოეობის დანერგვა და მისი განვითარების ხასიათი პროფ. პ. გუგუშვილს სრულფასოვნად აქვს შესწავლილი[15].

მართალია, მის შრომებში მეთამბაქოეობის განვითარების პროცესი და ხასიათი მოცემულია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლის ხელს ავტორს მოგვცეს აღნიშნული დარგის განვითარების მთლიანი სურათი ჩვენში.

საქართველოში სასაქონლო მეთამბაქოეობის განვითარებას სხვადასხვა ასპექტით განიხილავენ შემდეგი მკვლევარები: ი. ანთელავა[16], ე. ორჯონიკიძე[17], მ. დუმბაძე[18], ი. მირცხულავა,[19],

---

[15] П. В. Гугушвили, Табаководство в Грузии и Закавказье в 1801—1920 гг. იხ. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1959, გვ. 155—211; მისივე, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. I, თბ., 1965, გვ. 5—231.

[16] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тб,, 1962.

[17] И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Генезис и развитие капитализма в сельском хозяйстве Грузии; იხ. И. Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, с. 3—63.

[18] მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

[19] ი. მირცხულავა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900-1917 წწ., თბ., 1964.

ვ. მოჩალოვი[20], ალ. ბენდიანიშვილი[21], ბ. ხასია[22], კ. ორაგველიძე[23], კ. ბაბილოძე[24], ი. უთურაშვილი[25], აბ. სურგულაძე[26] და სხვები

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევრის, და არა მარტო მეორე ნახევრის, საქართველოს მრეწველობის განვითარების ამსახველი მასალები ძირითადად თავმოყრილია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (საქ. ცსია) და ლენინგრადის არქივის ფონდებში (ლენ. ცსია), აგრეთვე უკრაინის სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ხარკოვის ფილიალის ფონდებში და სხვ.

აღნიშნული პერიოდის მკვლევართათვის ერთ-ერთ პირველწყაროს გუბერნატორის ანგარიშები წარმოადგენს. ჩვენს არქივში დაცულ ქუთაისის გუბერნატორის (ამჟამად № 19 ფონდი) კანცელარიას დასაბამი მიეცა 1846 წ. 14 დეკემბრიდან, ხოლო თბილისის გუბერნატორისას (ამჟამად ფონდი № 17)—1860 წ. გუბერნატორის ანგარიშებში მთელ რიგ საკითხებთან ერთად მოცემულია ცნობები მხარის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარების შესახებ. ამ ცნობებზე დაყრდნობით მკვლევარებმა არა ერთი საყურადღებო საკითხი გაარკვიეს. როგორც ე. ხოშტარია მართებულად შენიშნავს, ამ ანგარიშებში ხშირად ბევრი უზუსტობაა გაპარული, რაც თავისთავად ართულებს ამა თუ იმ საკითხის სწორ მეცნიერულ შეს-

---

[20] В. Д. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в. М., 1958.

[21] ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1900—1917 წლებში, თბ., 1965.

[22] ბ. ხ ა ს ი ა, თამბაქოს მეურნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1965.

[23] კ. ო რ ა გ ვ ე ლ ი ძ ე, ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, იხილე ჟურნ. „მნათობი", 19 № 5—6 გვ. 216—238.

[24] კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე, აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX—XX სს. მიჯნაზე, წ. I, ბათ., 1952.

[25] И. Утурашвили, Развитие капиталистических отношений в деревне Восточной Грузии (1864—1914 гг.), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1967.

[26] აბ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბათ., 1959.

წავლას; ზოგიერთ ანგარიშში „სულ არ არის ცნობები მრეწველობის მთელი დარგის, ან რომელიმე ქალაქსა თუ მაზრაში ამ დარგის საწარმოების შესახებ, მაშინ როდესაც წინა და მომდევნო წლებში ასეთი ცნობები უწყისებში შეტანილია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ესა თუ ის დარგი კი არ გამქრალა, ან აღნიშნული სახის წარმოება კი არ შეწყდა ამა თუ იმ ქალაქსა თუ მაზრაში (რაც შესაძლებელია მომხდარიყო კიდეც), არამედ უბრალოდ მოცემულ წელს სათანადო მონაცემები არ არის შეტანილი უწყისში"[27]. ამ მოსაზრების დასამტკიცებლად მოვიტანთ თამბაქოს ფაბრიკების მაგალითს: 1861 — 1864 წლების გუბერნატორის ანგარიშების სათანადო უწყისებში არ არის მონაცემები თამბაქოს ფაბრიკებზე[28], ასევეა 1868[29], 1869[30], 1872 და 1875[31] წლების შესახებაც[32]. ამდენად, აღნიშნულ ანგარიშებში მოტანილი ესა თუ ის მონაცემები კრიტიკულად უნდა იქნეს შესწავლილი, შედარებული სხვა წყაროებთან და შემდეგ გამოყენებული. ასევე სხვა წყაროებთან შედარებით შეიძლება დადგინდეს უწყისებში გამორჩენილი ამა თუ იმ საწარმოს არსებობა თუ არარსებობა. მაგალითად, თამბაქოს ფაბრიკების შესახებ ჩვენ ეს ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს უწყისებთან შეჯერებით გავაკეთეთ. როგორც ცნობილია, აღნიშნული სამმართველოს საქმეები საქართველოს ცენტრალური არქივის № 370 და № 371 ფონდებშია დაცული.

გუბერნატორთა ანგარიშების ხელნაწერი დედანი ლენინგრადის არქივში ინახება. ალბათ, ამან განაპირობა ის, რომ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ლენინგრადის არქივიდან გადმოუბეჭდვინებია ზოგიერთი წლის ანგარიშები. როგორც ცნობილია, გუბერნატორის ანგარიშებს თან ახლავს რიგი უწყისები და ცხრილები მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა თუ სხვათა შესახებ. ამ გადმობეჭდილ ანგარიშებში, ცხრილებსა და მონაცემებში გაპარულია მთელი რიგი შეცდომები, რაც თავისთავად დიდ გაუგებრობას ქმნის. უწყისები ისეა გადმობეჭდილი, რომ ძნელია გაარკვიოს მკვლევარმა, ამა თუ იმ გრაფაში შეტანილი მონაცემები მრეწველო-

---

[27] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 50.

[28] საქ. სცია, ფ. 17, აღ. I, საქ. 8954, ფურც. 21—23.

[29] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 8977, ფურც. 8.

[30] საქ. ცსია, ფ. 17, აღწ. I, საქ. 8980, ფურც. 94—95 .

[31] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 8990, ფურც. 47.

[32] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 8994, ფურც. 116.

ბის რომელ დარგს ეკუთვნის. ჩვენს საშუალება გვქონდა, შეგვედარებინა ლენინგრადის არქივიდან აღებული რამდენიმე წლის მონაცემები თბილისის არქივში დაცულ, გადმობეჭდილ გუბერნატორის ანგარიშებთან და იმ დასკვნამდე მივედით, რომ მათი გამოყენება არ შეიძლება. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს ჩვენი მოსაზრება მხოლოდ და მხოლოდ იქ მოტანილ უწყისებს შეეხება და არა თხრობით ტექსტს.

მეტად საყურადღებო მასალებია მოცემული თვით საწარმოების მეპატრონეთა მიერ შედგენილ უწყისებში. მიუხედავად იმისა, რომ ეს უწყისები სულ რაღაც 4 წლის მონაკვეთს ასახავს, მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს მრეწველობის ამა თუ იმ დარგის, კერძოდ, თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობის შესახებაც, რაც გვიადვილებს XIX საუკუნის 80-იანი წლებისათვის აღნიშნული დარგის შესწავლას. აღნიშნულ უწყისებში აღნუსხულია საწარმოს დაარსების თარიღი, მუშათა რაოდენობა, პროდუქციის რაოდენობა, მისი ღირებულება და გასაღების ბაზარი, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვა, ამ უწყისთაგან ერთ-ერთი 1879 წ. განეკუთვნება და იგი ახალციხის თამბაქოს ორ ფაბრიკას შეეხება[33], ხოლო 1880 წ. უწყისში თბილისის გუბერნიის თამბაქოს 13 ფაბრიკის აღწერილობა არის მოცემული[34]. ლენინგრადის არქივში გამოვლენილ 1885 წლის უწყისებში მოცემულია მასალები ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების შესახებ[35], ხოლო იმავე წლის უწყისები, რომლებიც თბილისის გუბერნიას შეეხება, ამოღებული გვაქვს საქართველოს სახელმწიფო არქივის №204 ფონდიდან[36], ამავე ფონდიდან ამოვკრიბეთ მასალები 1886 წ. შესახებაც[37].

მეთამბაქოეობასა და თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაზე დიდძალი მასალა არის თავმოყრილი საქართველოს სახელმწიფო არქივის № 370 და № 371 ფონდებში, რომლებშიც ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველოს საქმეებია დაცული და იგი ქრონოლოგიურად 1873—1918 წლებს მოიცავს. აღნიშნული არქივის № 370 ფონდში თბილისის გუბერნიის მასალებია შენახული, ხოლო № 371 ფონდში — ქუთაისის გუბერნიისა. ამ ფონდებში ინახება როგორც ყოველ-

---

33 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 485, ფურც. 5—6.
34 საქ. ცსია, ‌ ‌ 17, აღ. I, საქ. 486, ფურც. 29—105.
35 ЦГИАЛ, ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 38—40.
36 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. I. საქ. 592. ფურც. 74—79.
37 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. I, საქ. 654, ფურც. 62=72.

თვიური, ასევე ყოველწლიური ანგარიშები მეთამბაქოეობისა და თამბაქოს ფაბრიკების შესახებ. ეს საარქივო მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოში სავაჭრო-სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარებაზე, თამბაქოს ფაბრიკების რაოდენობაზე, მათ მიერ დამზადებულ პროდუქციასა და ტექნიკურ აღჭურვილობაზე. სწორედ ამ ფონდებში დაცულ მონაცემებთან შედარებით შესაძლებელია გაირკვეს, თუ რამდენად სწორად არის გუბერნატორის ანგარიშებში აღნუსხული ფაბრიკა-ქარხნების (ამ შემთხვევაში თამბაქოს ფაბრიკების) რაოდენობა და მათი ტექნიკური აღჭურვილობა. სამწუხაროდ, სააქციზო სამმართველოს მასალებში არავითარი მონაცემები არ არსებობს თამბაქოს პლანტაციებსა და ფაბრიკებში დასაქმებული მუშახელის შესახებ.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ იმ მონაცემების შესახებ, რომელიც საქართველოში მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოყვანასა და მის გატანას შეეხება. სააქციზო სამმართველოს 1910-იანი წლების უწყისებში მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა არა მარტო თამბაქოს პლანტაციების რაოდენობა და მისი მოსავლიანობა, არამედ მისი გატანა ამიერკავკასიასა და რუსეთის გუბერნიებში არსებულ თამბაქოს ფაბრიკებში. დიდძალი მონაცემებია დაცული თამბაქოს ექსპორტზეც.

საქართველოს სახელმწიფო არქივსა და უკრაინის სახელმწიფო არქივის ხარკოვის ფილიალის ფონდებში თავმოყრილია საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის მეტად მნიშვნელოვანი მასალები, რაც ქრონოლოგიურად 1901—1918 წლებს მოიცავს. საქართველოს სახელმწიფო არქივის № 275 და № 276 ფონდებში დაცული მასალები თბილისის გუბერნიაში შემავალ სამრეწველო ობიექტებს შეეხება, ხოლო № 227 ფონდის მასალები ქუთაისის გუბერნიისას. ხარკოვის არქივის № 834 ფონდში კი ინახება ზემოაღნიშნული ორივე გუბერნიის მასალები. ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო არქივის აღნიშნულ ფონდებში დაცული მასალები მკვლევართათვის მეტნაკლებად ცნობილია, ჩვენ მათს დახასიათებას არ შევუდგებით, უშუალოდ ხარკოვის არქივის ფონდის მიმოხილვას დავიწყებთ.

როგორც ცნობილია, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, აგრეთვე ბათუმის ოლქი და სოხუმის ოკრუგი ჩვენში საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის შემოღების წლიდან (1901 წ.) ხარკოვის ოკრუგის საფაბრიკო ინსპექციას დაუმორჩილდა. ხარკოვის ოკრუგის საფაბრიკო ინსპექციაში შედიოდა: დონისა და ბათუმის ოლქები, ბაქოს, ვორონეჟის, ეკატერინოსლავის, კალუგის, კურსკის, ორლო-

ვის, პენზის, ტამბოვის, თბილისის, ტულის, ხარკოვის და შავი ზღვისპირეთის გუბერნიები, ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოკრუგი (ეს ორი ერთ საფაბრიკო ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა).

ხარკოვის არქივში ინახება საფაბრიკო ინსპექტორების მიერ სამრეწველო ობიექტების შემოწმების შედეგად შედგენილი მოხსენებითი ბარათები, რომლებშიაც მეტად საყურადღებო მასალებია შემონახული მუშათა მდგომარეობაზე, ფაბრიკა-ქარხნებში ქალთა და მცირეწლოვანთა შრომაზე, მუშათა ხელფასზე, გაფიცვებსა და რევოლუციურ მოძრაობაზე[38]. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ეს დოკუმენტები წარმოადგენს ერთ-ერთ პირველწყაროს მუშათა გაფიცვებისა და მათი რევოლუციური მოძრაობის შესასწავლად. საქმე ის არის, რომ ხარკოვის ოკრუგისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ერთეულების ხელმძღვანელები ყოველგვარ ცნობას, ეს იქნებოდა წმინდა სამსახურებრივი თუ პოლიტიკურად საიდუმლო, აუცილებლად ატყობინებდნენ ოკრუგის ფაბრიკათა მთავარ ინსპექტორს. ამიტომ აქ ინახება 1905—1907 წწ. რევოლუციისა და შემდეგი პერიოდის საიდუმლო შრიფტით შედგენილი დეპეშები, აქვეა მოხსენებითი ბარათები მუშათა რევოლუციური მოძრაობის შესახებ და სხვ. აღნიშნულ მასალებს კონკრეტულად მაშინ გავეცნობით, როდესაც თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობასა და მათს რევოლუციურ მოძრაობას შევეხებით.

ასევე საყურადღებო მასალები გვაქვს მოპოვებული ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის ფონდებში.

---

[38] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 51, фурц. 12.

თავი I

მეთამბაქოეობა საქართველოში XIX—XX სს.

[მეთამბაქოეობას საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში და შემდეგაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა; აღნიშნული საუკუნის 80-იანი წლებისათვის კი ჩვენში განვითარების ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ მისი უდიდესი ნაწილი სასაქონლო ხასიათისა გახდა.

„მეთამბაქოეობას და თამბაქოს მრეწველობას, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს აღებულ პერიოდში (ლაპარაკია XIX—XX სს. — დ. ც.) ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ისტორიის ასპექტებში. მეურნეობის ახალ დარგთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს, როგორც სოფლად, ისე ქალაქად კაპიტალისტური მეწარმოების აღორძინების მხრივ, ამიერკავკასიის რაიონებში ყველაზე უფრო გავრცელებული, ყველაზე უფრო მასობრივი და ხელისუფალთაგანაც თითქმის ყველაზე უფრო ორგანიზებული და აღრიცხულ ჩარჩოებში წარმართული იყო სწორედ მეთამბაქოეობა.] მეთამბაქოეობა რეფორმისმერმინდელი პერიოდის სწრაფად განვითარებადი ბურჟუაზიული თაოსნობის როგორც მსხვილი, ისე წვრილი წარმოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი და ყველაზე უფრო ადვილად ასათვისებელი დარგი შეიქმნა ამიერკავკასიის ისტორიულ-ეკონომიკურ და ბუნებრივ პირობებში“[1].

რადგანაც ჩვენი კვლევის ძირითად ობიექტს თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა წარმოადგენს, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ცალკე შევეხოთ ჩვენში მეთამბაქოეობის ჩასახვასა და განვითარებას. წინასწარ შევნიშნავთ, რომ მსჯელობა გვექნება მხოლოდ სასაქონლო მეთამბაქოეობაზე, ანუ, როგორც საარქივო მასა-

---

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. I, თბ., 1965, გვ. 3.

ლებშია აღნიშნული, სავაჭრო-სამრეწველო მეთამბაქოეობაზე, ცხრილები და სხვა მონაცემებიც ამ ასპექტით გვაქვს წარმოდგენილი.

თამბაქოს კულტურას საქართველოში ძველი დროიდან იცნობდნენ. პროფ. პ. გუგუშვილი წერს: „ახალ სპეციალურ-ტექნიკურ კულტურათაგან თამბაქო ამიერკავკასიაში, როგორც ჩანს, ადრე შემოიქრა. ჯერჯერობით დადგენილი არაა, თუ, სახელდობრ, როდის გაჩნდა და საიდან, რა გზით შემოვიდა აქ თამბაქოს მცენარე. თურქეთსა და ირანში, რომელთა ორბიტაშიაც მოძრაობდა ამიერკავკასია შესაბამის პერიოდში, თამბაქო ჩნდება მე-16 ს. ბოლოსა და ვრცელდება მე-17 საუკუნის პირველ ნახევრიდან. შეიძლება გავიფიქროთ, რომ სწორედ ამ ხანებში გაჩნდა თამბაქოს კულტურა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“[2].

მკვლევარი ა. ჯაფარიძე არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებას და ფიქრობს, რომ „...საქართველოში თამბაქო მე-17 საუკუნის დამლევსა და მე-18 საუკუნის დასაწყისში შემოვიდა“[3].

საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული თამბაქოს შემოტანის დათარიღების შესახებ მკვლევარ ბ. ხასიას: „ამ აზრს ჩვენ ვერ გავიზიარებთ (ლაპარაკია ა. ჯაფარიძის მოსაზრებაზე—დ. ც.), რადგანაც, ჯერ ერთი, სწორედ ის ფაქტი, რომ თამბაქოს კულტურა ვახუშტის მიერ მოხსენიებულია საქართველოში საყოველთაოდ გავრცელებულ კულტურებს შორის (ეს ა. ჯაფარიძის მთავარი არგუმენტია — დ. ც.), და, მეორე, რომ ეს კულტურა შეტანილია სულხან-საბას ლექსიკონში, რომელიც მე-17 საუკუნეშია შედგენილი, მოწმობს იმას, რომ იგი თუ უფრო ადრე არა, XVI—XVII სს. მიჯნაზე მაინც უნდა ყოფილიყო შემოტანილი[4].

ბ. ხასიას ეს მოსაზრება ჩვენ სარწმუნოდ მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნია XVI—XVII სს. დროინდელი და უფრო ადრინდელი შესანიშნავად დამუშავებული ჩიბუხები, მაგრამ გადაჭრით თამბაქოს შემოტანის დათარიღება ძნელია, იგი დიდ დროსა და დაკვირვებას მოითხოვს.

XVIII საუკუნის დამდეგიდან თამბაქო მცირედ დებედას ხეობაში მოჰყავდათ: „კვალად ამოიღებენ რუთა, და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაც ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი:

---

[2] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 31—32.

[3] ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მეთამბაქოება, თბ., 1955, გვ. 14.

[4] ბ. ხ ა ს ი ა, თამბაქოს მეურნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1964, გვ. 15—16.

ბრინჯი, ხორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი...“—აღნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილი[5]; ამავე საუკუნის მეორე ნახევარში იგი ხონში ყოფილა გავრცელებული. გიულდენშტედტი თავის მოგზაურობაში წერს: „აქაური ბაღები (ე. ი. ხონის — დ. ც.) შეიცავენ ყურძენს, კაკალს, შავი და თეთრი თუთის ხეებს, სხვა ხილი ნაკლებადაა. ბაღებში აგრეთვე თესენ ლობიოს, კანაფს, თამბაქოს, ბოლოკს, კიტრს, ბოთლისებრ კვახს“[6].

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დროს თამბაქოს კულტურას საქართველოში, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აქცევდნენ, მხოლოდ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მთავრობამ, რომელსაც უმთავრესად მეტროპოლიის თამბაქოს ფაბრიკებისათვის საჭირო იაფფასიანი ნედლეული აინტერესებდა, პრაქტიკული ნაბიჯი გადადგა ამ კულტურის განვითარებისათვის.

1845—1846 წწ. სოფლის მეურნეობის დეპარტამენტმა ამერიკაში თამბაქოს საუკეთესო ჯიშები შეიძინა და საქართველოში გამოგზავნა[7].

1845 წლის 12 სექტემბრის მოხსენებით ბარათში ქუთაისის მაზრის უფროსი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს საფონოვს სწერდა:, «Прислания вами семена табаков: Виргинского, Мериландского, Кентукского и Албанского розданы для посева жителям Вакинского, Кутаисского и Сабекского участков. Всходы и произрастание означенных табаков, по сведениям, мною полученым, в настоящее время довольно удовлетворительный, и если погода будет благоприятствовать, то можно надеятся на хороший урожай»[8].

ეს ცნობა ასე ვრცლად იმიტომ მოვიტანეთ, რომ, ჯერ ერთი, მასში ჩამოთვლილია ჩვენში შემოტანილი თამბაქოს ჯიშები და, მეორე, რაც მთავარია, აქ იხსენიება სოფელი სებეკა (და არა საბეკა როგორც ტექსტშია), სადაც ცნობილმა იმერელმა მემამულემ ნიკო ჩიჯავაძემ, საქართველოში ერთ-ერთმა პირველთაგანმა, მოაწყო თამბაქოს „ფაბრიკა“, რომლის შესახებაც დაწვრილებით შემდეგ გვექნება ლაპარაკი.

---

[5] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 34.

[6] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962, გვ. 151.

[7] საქ. ცსია, ფ. 4, აღ. 5, საქ. II, ფურც. 1.

[8] Акты, т. X, გვ. 160.

საზღვარგარეთიდან შემოტანილი თამბაქოს თესლი ისეთ ადგილებში იგზავნებოდა, სადაც მისი მოყვანისათვის სათანადო კლიმატური პირობები არსებობდა. მაგალითად, თავადი შერვაშიძე 1846 წლის 18 ივლისს დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს საფონოვს აცნობებდა: „თამბაქოს მცენარეთა ძლიერი და მშვენიერი ვეგეტაცია საფუძველს მაძლევს იმედი ვიქონიო, რომ ეს მცენარე აფხაზეთში წარმატებით იქნება გავრცელებული და დროთა მსვლელობაში შეადგენს ერთ-ერთ უმთავრეს დარგს მრეწველობისა, რომელიც ახლა იბადება, მით უფრო რომ აქაური მეურნენი დიდი ხანია, რაც ეწევიან თამბაქოს გაშენებასა და დამუშავებას. თავის მხრივ მე არ დავაყოვნებ მივიღო ყოველგვარი ღონისძიება, რათა ამერიკული და ალბანური თამბაქოს სორტები გავრცელდეს მთელს აფხაზეთში“[9].

ამ ცნობაში გარდა იმისა, რომ თამბაქოს გაშენებასა და მის პერსპექტივაზეა ლაპარაკი, საინტერესოა ის ადგილიც სადაც წერილის ავტორი აღნიშნავს: ...«Что здешние хозяева с давнего времени занимались разведением и обработкою табака»[10]. ავტორის ამ განცხადებით თამბაქოს მოყვანა-დამუშავების ქრონოლოგიური ჩარჩო უფრო იქით უნდა გადაიწიოს და აფხაზეთში თამბაქოს კულტურის გაჩენა უფრო ადრე ვივარაუდოთ.

1848 წელს ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხეში საცდელად 3 გირვანქა კუბური თამბაქოს თესლი გაუგზავნიათ, რომელსაც ზოგიერთ ადგილებში კარგადაც გაუხარია და სათანადო წარმატებაც მოჰყოლია. აი, რას წერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი ამის შესახებ ერთ-ერთ თავის მიმართვაში: ...«(ლაპარაკია ჩოხატაურთან ახლო მდებარე სოფელ გორაბერეულზე — დ. ც. с таким успехом был разведен этот табак, что в настоящем году сделани из него сигары, которое знатоки находят хорошим. Ген. Заге фон-Лауренберг, в бытность свою у меня, курил эти сигары, и я через него перешлю ящик оных в Тифлисс, для удостоверения в действительности мною сказанного»[11].

1850 წელს მ. ერისთავმა საკუთარ მამულში მოწეული თამბაქო წარადგინა კავკასიის გამოფენაზე და ჯილდო მიიღო.

1854 წელს მთავრობამ საკუთარი სახსრებით ამერიკიდან თამბაქოს თესლი გამოიწერა, მეთამბაქოეობის მცოდნე სპეციალისტები

---

[9] ვ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 35.
[10] Акты, т. X, გვ. 161.
[11] Акты, т. X, გვ. 172.

მოიწვია და სამეგრელოში, იმერეთში, თბილისის გუბერნიასა და სხვა ადგილებში გაგზავნა[12].

საქართველოში თამბაქოს კულტურის გაშენებას ხელი მოჰკიდეს ბურჟუაზიული მეურნეობების პიონერებმა: სოლომონ გურგენიძემ, დიმიტრი აფხაზმა, სოლომონ ანდრონიკაშვილმა, ნიკო ჩიჯავაძემ და სხვებმა. სოლომონ გურგენიძეს უცდია ამერიკული და ჰოლანდიური თამბაქოს მოშენება და მისგან სიგარების გაკეთება. 1838 წელს მის მეურნეობაში 15000 ცალი კარგი ხარისხის სიგარა დაუმზადებიათ, რაც იყიდებოდა კახეთსა და თბილისში 100 ცალი 1 მანეთად[13].

1848 წელს მეფისნაცვალმა ვორონცოვმა თავად ნიკო ჩიჯავაძეს ჰავანური, კენტუკისა და მარილანდის ჯიშის თამბაქოს თესლები გაუგზავნა. მალე ჩიჯავაძემ საკუთარ მეურნეობაში თამბაქოს გადასამუშავებლად ფაბრიკაც ააშენა[14].

1856 წელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თამბაქოს პლანტაციების გაშენება დაიწყეს. ამ დროისათვის მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, ქუთაისის გუბერნიის სოფელ ხანის მცხოვრებთ ჰქონდათ თამბაქოს სასაქონლო პლანტაციები გაშენებული, სხვა ადგილებში მოყვანილი თამბაქო კი შიდასაჭიროებას ხმარდებოდა[15].

1860-იან წლებში თავად დონიკე ანდრონიკაშვილმა კახეთში, სოფელ ბაკურციხის მახლობლად, თამბაქოს პლანტაცია გააშენა. 1863 წლის 17 მაისს მან თხოვნით მიმართა სოფლის მეურნეობის სამმართველოს, რათა თურქული თამბაქოს მოყვანისათვის სესხად მიეცათ 1500 მანეთი. სახელმწიფო ქონებათა დეპარტამენტმა საქმის გამორკვევა აგრონომ სერებრიაკოვს დაავალა, რომელმაც მოხსენებით ბარათში აღნიშნა, რომ თავად ანდრონიკაშვილის მეურნეობა კახეთში თურქული თამბაქოს მოყვანის პირველი ცდა იყო. მას კონტრაქტით მოუწვევია ერთი ოსტატი და ორი მუშა ტრაპიზონიდან. თვით თურქი ოსტატის განცხადებით, აქაური თამბაქო იმდენად კარგი ხარისხის გამოდგა, რომ არაფრით ჩამოუვარდება თურქულსო[16]. ეს ცნობა, გარდა კახეთში თურქული ჯიშის თამბაქოს დამკვიდრებისა,

---

[12] «Кавказ», 1854, № 17, გვ. 66.

[13] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში 1830—1864 წწ., თბ., 1959, გვ. 53.

[14] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 101, ფურც. 190—191.

[15] იქვე, ფურც. 190—191.

[16] საქ. ცსია, ფ. 240, აღ. 1, საქ. 1291, ფურც. 1—5.

მიუთითებს იმაზედაც, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ იყო კარგად დაუფლებული თამბაქოს კულტურის მოყვანას და უცხოელი სპეციალისტის მოწვევა სჭირდებოდათ. აქვე უნდა შევნიშნოთ შემდეგი: თამბაქო ძნელად მოსავლელი, მეტად შრომატევადი კულტურაა, მისი დამზადების ტექნოლოგია მუშებისაგან სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ამიტომაც XIX საუკუნის 80—90-იან წლებშიაც კი სამრეწველო პლანტაციებში თურქეთიდან მოწვეული სპეციალისტები მუშაობდნენ ან მათი ზედამხედველობით ადგილობრივი მცხოვრებნი შრომობდნენ. ჩვენ ხაზს ვუსვამთ აღნიშნულ გარემოებას იმის გამო, რომ იმ დროს მოწვეული თამბაქოს გარკვეული ნაწილი მოყვანისა და მისი შენახვის უცოდინარობის გამო, ნაკლები ხარისხის გამოდიოდა და ფაბრიკის ნედლეულად უვარგისი იყო. თურქეთიდან მოწვეულ მეთამბაქოე სპეციალისტებზე როცა ვლაპარაკობთ, ჩვენ მათში მხოლოდ თურქებს კი არ ვგულისხმობთ, არამედ სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც და, რა თქმა უნდა, ქართველებსაც.

პროფ. პ. გუგუშვილს ამის შესახებ მეტად საგულისხმო აზრი აქვს გამოთქმული: „ამიერკავკასიასა და კერძოდ საქართველოში ახალი მეთამბაქოეობის გავრცელების პიონერთა ვინაობის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არასწორი, ტენდენციური, ინფორმაციის გავრცელების გამო საჭიროდ მიმაჩნია აქ ისიც დავუმატო, რომ არა მხოლოდ სოხუმის ოკრუგსა და ბათუმის ოლქში, არამედ თვით გურიას, სამეგრელოსა და კახეთშიც 60-იანი წლებიდან სავაჭრო მეთამბაქოეობის განვითარებისა და კერძოდ თურქული ჯიშის თამბაქოს კულტურის გავრცელების მხრივ თურქეთის სამფლობელოებიდან შემოსულ სხვადასხვა ეროვნების ხალხთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და წამყვანი როლი შეასრულეს სწორედ ლაზებმა (ჭანებმა), რომლებმაც სხვებზე ადრე მოკიდეს აქ ხელი იჯარით აღებულ მიწებზე თამბაქოს პლანტაციების გაშენებას, ანდა მოჯამაგირეების თუ დროებით დაქირავებული მუშების სახით მემამულეთა მეურნეობაში თურქული და სხვა უცხოური თამბაქოს ჯიშთა დანერგვა-გავრცელებას“[17].

(რეფორმისშემდგომ ხანაში თამბაქოს წარმოებით ცნობილი იყო სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხის მემამულე სოლ. ანდრონიკაშვილი, რომელსაც ხარისხით „მშვენიერი თამბაქო“ მოჰყავდა. მას მამულში ჰქონდა თამბაქოს ფურცლის საშრობი, დამხარისხებელი

[17] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 42—43.

ფარდული და „ფაბრიკა", რომელშიც პაპიროსებსა და სიგარებს ამზადებდნენ[18].)

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 1862 წელს მეურნე ანანოვი მის მიერ ლონდონის მსოფლიო გამოფენაზე გაგზავნილი ბამბისა და თამბაქოსათვის მედლითა და ქების სიგელით დააჯილდოვეს.

70-იან წლებში თბილისის გუბერნიაში თურქული ჯიშის თამბაქო მოჰყავდათ ივანე ქაიხოსროს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ჩალისთავში და გ. აზნაურეს. ამ უკანასკნელმა 5 ტრაპიზონელი თურქი ოსტატი (ალბათ ლაზები—დ. ც.) და 4 სომეხი დაიქირავა, რომელთაც თამბაქოს მოყვანის ხელობა ნოვოროსიისკში შეესწავლათ[19].

(1872 წელს მთავრობამ შემოტანილ თამბაქოზე ბაჟი 25 კაპიკიდან 2 მანეთამდე გაზარდა[20]. 1877 წელს გარემოება ხელახლა შეიცვალა, შემოტანილ ერთ ფუთ თამბაქოზე ბაჟის ფული ოქროთი 14 მანეთი დაწესდა, ამას ზედ ღაერთო თურქეთთან ომის დაწყება, რამაც საბოლოოდ მოუსპო მეფაბრიკეებს საზღვარგარეთიდან თამბაქოს შემოტანის საშუალება.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა თავისთავად ხელი შეუწყო სამრეწველო პლანტაციების გამრავლებას. ზოგიერთმა მეფაბრიკემ თვითონ მიჰყო ხელი საკუთარი თამბაქოს პლანტაციების გაშენებას. თბილისელმა ერთ-ერთმა მსხვილმა მეფაბრიკემ ამბარცუმ ენფიანჯიანცმა სამსუნიდან მოიწვია გამოცდილი ოსტატები და მათი შემწეობით თამბაქოს პლანტაციების გაშენებას შეუდგა. 1873 წლიდან ა. ენფიანჯიანცი ფაბრიკაში უკვე საკუთარ პლანტაციებიდან მოწეულ თამბაქოს ამუშავებდა, პირველ ხანებში 1 ფუთი თამბაქოს დამზადება შემოტანილზე ძვირი ჯდებოდა, რადგანაც მოწეული ოსტატები პირველ წლებში მხოლოდ დიდი გასამრჯელოსათვის დათანხმდენ, ემუშავათ უცხო მხარეში. ენფიანჯიანცს თამბაქოს პლანტაციები ჰქონდა მუხრანში, რომელიც 1879 წელს მიატოვა. შემდეგ სოფელ მანავის მახლობლად, რაც 1887 წელს მიატოვა. თამბაქოს დიდი პლანტაცია 35 დესეტინა ფართობზე მან ლაგოდეხის ახლოს გააშენა.) აღნიშნული პლანტაცია 1877 წელს ყაჩაღებმა დაარბიეს,

---

[18] ა ბ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ბათ., 1959, გვ. 57—58.

[19] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 67.

[20] «Кавказ», 1875, № 116, გვ. 1.

ამოხოცეს მუშები პლანტაციაში; შემდგომში მუშები პანიკამ მოიცვა და 25 დესეტინა ფართობზე თამბაქო აუღებელი დარჩა[21].

ენფიანჯიანცს ზემოჩამოთვლილი პლანტაციების გარდა თამბაქო გაშენებული ჰქონდა ჩალისთავში (10 დესეტინა), სოფელ ნახშირგორას ახლოს (3 დესეტინამდე), კრწანისში (1 დესეტინა) და სხვ[22]. 1899 წელს მასვე სოფელ მაშნაარის ახლოს თამბაქოს საცდელი პლანტაცია ჰქონდა, სადაც სამუშაოები სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მივლინებული სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ მიმდინარეობდა[23].

საქართველოში თამბაქოს მოყვანით დაინტერესდნენ რუსეთის მეფაბრიკეებიც. 1879 წელს მოსკოველმა ფ. რეინჰარტმა სოფელ ჭიაურთან 250 დესეტინა მიწა ითხოვა, მაგრამ მის მიერ ამორჩეული ნაკვეთი მხოლოდ 10 დესეტინას უდრიდა, ამის გამო ეს საქმე ჩაიშალა[24].

(70-იან წლებში გურიაში მეთამბაქოეობით სოფელი იანეული ყოფილა განთქმული (იგი მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს),) რისთვისაც ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძეს გურიააჭარაში მოგზაურობისას ყურადღება მიუქცევია (1873 წელს): «Хеви я вернулся назад и проехав через Яноули, отличавшийся обильными плантациями табаку, мимо развалин Букисцихе, углубился в ущелье Супсы»[25].

(80-იან წლებში ადგილობრივ თამბაქოზე მოთხოვნილება გაიზარდა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. 1884 წელს თბილისის გუბერნიიდან ადგილობრივი თამბაქო რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში გაიტანეს[26]. ამავე წელს ცნობილმა პეტერბურგელმა მეფაბრიკემ პატკანოვმა ლაგოდეხელ ვინმე სარქისოვისაგან, რომელსაც 20 დესეტინა თამბაქოს პლანტაცია ჰქონდა, თითო ფუთი თამბაქო 22 მანეთად იყიდა. მიუხედავად თამბაქოს ასეთი სიძვირისა, ეს ფაქტი იმის დამამტკიცებელი საბუთია, რომ ქართული თამბაქო სავსებით აკმაყოფილებდა თამბაქოს დიდი ფაბრიკე-

---

[21] ТКОСХ, 1888, № 7—8, გვ. 367.

[22] «Кавказ», 1875, № 116, გვ. 1.

[23] საქ. სცია, ფ. 414, აღწ. 2, საქ. 3, ფურც. 54.

[24] იქვე, აღწ. 1, საქ. 21, ფურც. 7.

[25] Дм. Бакрадзе, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Санкт-Петербург, 1878, გვ. 326.

[26] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 4525, ფურც. 30.

ბის ტექნოლოგიურ მოთხოვნებს[27].) ასევე ლაგოდეხიდან დიდძალი თამბაქო წაიღო როსტოველმა მეფაბრიკე კუშნარიოვმა[28]. 1886 წელს აღმოსავლეთ საქართველოში თამბაქოს უხვი მოსავალი მოვიდა, მაგრამ, რომ თამბაქო იაფად შეეძინათ, ჩარჩებმა პირი შეკრეს და მთელი წლის მოსავალი თითქმის გაუსაღებელი დარჩა[29]. ამ ვითარებამ თამბაქოს გაიაფება და პლანტაციების შემცირებაც გამოიწვია. თუ 1886 წლამდე 1 ფუთი თამბაქო 9 მანეთი ღირდა, აღნიშნულ წელს მისი ფასი 4-დან 2 მანეთამდე დაეცა. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, 1887 წელს საქართველოდან საზღვარგარეთ საუკეთესო ხარისხის თამბაქო გაიტანეს[30].

ქუთაისის გუბერნიიდან 1884—1885 წლებში თამბაქოს გატანის რაოდენობასა და პუნქტებზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი (იხ. ცხრ. № 1).

ცხრილი 1

1884 წელს[31]

სად გაიტანეს?	თამბაქო ფუთობით	თამბაქო გირვანქობით
საზღვარგარეთ	405	—
ხერსონის გუბერნიაში	5044	19
თბილისის გუბერნიაში	10815	21
შავიზღვისპირა ოკრუგში	1703	37,5
ეკატერინოსლავის გუბერნიაში	1490	11
თავრიზში	1342	27
გროდნოში	1026	28
მოსკოვში	5	5
პეტერბურგში	6	24
სულ გუბერნიის ფარგლებს გარეთ	1836	172,5

ყოველივე ზემოთ აღნიშნული იმის მაჩვენებელია, რომ იმ დროს საქართველოში თამბაქოს ვაჭრობა მედროვე ვაჭრებისა და ჩარჩების ხელში იყო მოქცეული. მათ არავითარ კონტროლს არ უწევდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები; რომ ყოფილიყო უშუალო კავშირი ვაჭარს, პლანტატორსა და მეფაბრიკეს შორის, მაშინ გარკვეული

[27] «Кавказ», 1886, № 247, გვ. 1.
[28] იქვე.
[29] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 194, ფურც. 70—70.
[30] «Кавказский календарь» на 1887 г. გვ. 187.
[31] ТКОСХ, 1888, № 7—8, გვ. 369.

1885 წელს[32]

სად გაიტანეს?	თამბაქო ფუთობით	თამბაქო გირვანქობით
თბილისში	9980	30
ახალციხეში	203	10
ბაქოში	3917	—
ანაპაში	727	31
ნოვოროსიისკში	362	—
კიევში	104	28
ბერდიჩევში	261	3[illegible]
ოდესაში	7056	13
ქერჩში	2288	—
სიმფეროპოლში	4015	—
ფეოდოსიაში	2121	—
სევასტოპოლში	390	19
მოსკოვში	1258	—
სულ გუბერნიის ფარგლებს გარეთ	32682	163

იქნებოდა მეფაბრიკეთა მოთხოვნები და გაუსაღებელი ნედლეული არ დარჩებოდა.

იმის დამამტკიცებლად, თუ რა მდგომარეობაში ვარდებოდნენ ჩარჩ-ვაჭრების მოქმედებისაგან თამბაქოს! პლანტაციების პატრონები, მოვიტანთ ერთ საარქივო დოკუმენტს, რომელიც თბილისის გუბერნიას და საკუთრივ სიღნაღის მაზრას შეეხება: «Разведением табака занимаются жители уездов Сигнахского, Борчалинского, Ахалкалакского и Тифлисского. Засевается преимущественно два сорта: Трапезонд и Самсун, стоимостью на месте от 2-х до 5 руб. за пуд. В отчетном году собрано всего 22165 пудов.

(ლაპარაკია 1887 წელზე — ც. დ.). Табаководство составляет один из выгоднейших промислов и население означенных выше уездов занялось было им в довольно значительных размерах, так напр., в Сигнахском уезде в 1882 году собрано 4000 пуд.

1883 „ „ 8000 „
1884 „ „ 14000 „
1885 „ „ 43000 „
1886 „ „ 41995 „

В отчетном же году посев был значительно уменьшен, и дал всего 11 000 пудов; уменьшение посева произошло от того, что

[32] ТКОСХ, 1888, № 7—8, გვ. 371.

урожая 1886 года остался почти не проданным вследствие стачки скупщиков, старавшихся понизить цены на табак»[33].

(80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში სამრეწველო მეთამბაქოეობა კვლავ აღმაველობას განიცდის. 1888 წელს თბილისის გუბერნიიდან თამბაქო გაიტანეს ბაქოსა და რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში[34], ხოლო 1890 წელს ართვინის ოკრუგში მოწეული სამსუნის ჯიშის თამბაქო საზღვარგარეთ გაიტანეს[35]. 1892 წელს თბილისის გუბერნიაში თამბაქოსაგან სუფთა შემოსავალი 58001 მანეთს და 40 კაპიკს შეადგენდა[36].

თამბაქოს გატანასთან ერთად საქართველოში ადგილი აქვს მის შემოტანასაც. ეს გამოწვეული იყო არა ადგილობრივი თამბაქოს ნაკლებობით, არამედ მეფაბრიკეთა დაინტერესებით, რათა სხვადასხვა თამბაქოს შერევით გაემრავალფეროვნებინათ ნაწარმი.) ამას გარდა, თამბაქო შემოჰქონდათ „იმ მიზნით, რათა ფაბრიკანტებს აეძულებინათ ადგილობრივი პლანტატორები როგორც თამბაქოს ფასების დაწევის, ისე უკეთესი ღირსების ნედლეულის მიწოდებისაკენ; და ერთი შედეგიც ადგილობრივი (განსაკუთრებით წვრილი) მეთამბაქოეობის შევიწროებისა ისიც იყო, რომ ამ პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი გადადის თამბაქოს ფაბრიკანტების ხელში“[37].

(ახლა 1893 წლის მონაცემების მაგალითზე გავეცნოთ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარებას. აღნიშნულ წელს მეთამბაქოეობას მისდევდნენ ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, თელავის, თბილისისა და სიღნაღის მაზრებში. სულ თამბაქოს პლანტაციების ფართობი 520 დესეტინას შეადგენდა, საიდანაც დაახლოებით 290930 მანეთის 31396 ფუთი თამბაქო მიიღეს. პლანტაციიდან ერთი ფუთი თამბაქო საშუალოდ 9 მანეთად და 25 კაპიკად იყიდებოდა. თბილისის გუბერნიაში მეთამბაქოეობის დარგში პირველი ადგილი სიღნაღის მაზრას ეკავა; აქ თამბაქოს პლანტაციები გაშენებული იყო ლაგოდეხში, ჭიაურში, ქორთუბაში, მაწიმში, ჭონში, ნოვომიხაილოვკაში და სხვა სოფლებში. მოწეული თამბაქო გაჰქონდათ თბილისში, ბაქოში და რუსეთის იმპერიის მთელ რიგ ქალაქებში[38].

---

33 ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 228, д. 194, ფურც. 70—71.

34 საქ. ცსა, ფ. 12, აღ. I, საქ. 732, ფურც. 15.

35 «Кавказский календарь» на 1893 г. გვ. 92.

36 ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 185, ფურც. 35.

37 ბ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრ., XVI, თბ., 1940, გვ. 147.

38 ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 194, ფურც. 60—62.

თამბაქოს პლანტაციების ფართობი მაზრების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურებოდა (იხ. ცხრ. 2).

სიღნაღის	მაზრაში	368	დესეტინა.
ბორჩალოს	„	85	„
ახალციხის	„	28	„
ახალქალაქის	„	16	„
თელავის	„	20	„
თბილისის	„	3	„

ზემოაღნიშნული პლანტაციებიდან მიიღეს შემდეგი რაოდენობის თამბაქო:

სიღნაღის	მაზრაში	26814	ფუთი
ბორჩალოს	„	1700	„
ახალციხის	„	1135	„
ახალქალაქის	„	1027	„
თელავის	„	600	„
თბილისის	„	120	„

თამბაქოსაგან მიღებული შემოსავალი, მაზრების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

სიღნაღის	მაზრაში	268140	მანეთი
ბორჩალოს	„	8500	„
ახალციხის	„	5675	„
ახალქალაქის	„	5135	„
თელავის	„	3000	„
თბილისის	„	480	„

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, თითოეულ დესეტინა ფართობზე საშუალოდ მიღებული იქნა 60,37 ფუთი თამბაქო, ხოლო საერთო შემოსავალი ერთი დესეტინა პლანტაციიდან 559 მანეთსა და 48 კაპიკს შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თითოეული დესეტინა თამბაქოს პლანტაციის დამუშავება 116 მანეთი ჯდებოდა, მაშინ მისგან მიღებული წმინდა შემოსავალი 443 მანეთსა და 48 კაპიკს უდრიდა[39]. მაშასადამე, მეთამბაქოეობა აღნიშნული კუთხის (ძირითადად ეგულისხმობთ სიღნაღის მაზრას — დ. ც.) საერთო შემოსავლის ერთ-ერთ მთავარ წყაროს წარმოადგენდა.

ქუთაისის გუბერნიაში მეთამბაქოეობის დარგში წამყვანი ადგილი ეკავა სოხუმის ოკრუგს, შემდეგ ოზურგეთის მაზრას და ართვინის ოკრუგს. აქ ძირითადად მოჰყავდათ მაღალი ხარისხის თამბაქო, რომელიც კონკურენციასაც კი უწევდა უცხოურს. ქვემოთ მოტანილ ცხრილში კარგად ჩანს, თუ რა რაოდენობის ფართობი ეკავა

---

[39] იქვე, ფური. 1. 60—62.

1893 წელს სამრეწველო თამბაქოს პლანტაციებს ზემო-აღნიშნულ გუბერნიაში და რა რაოდენობის თამბაქო იქნა მოწეული (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

მაზრები	პლანტაციების რაოდენობა	ფართობი დესეტინობით	ფართობი საჟენობით	მოწეული თამბაქო ფუთობით	მოწეული თამბაქო გირვანქობით
ქუთაისის	83	14	1294	244	25
რაჭის	1	—	72	—	10
სენაკის	35	—	2300	5	6
შორაპნის	35	1	1236	34	5
ზუგდიდის	372	32	1533	1475	35
ოზურგეთის	353	253	964	10550	10
ოკრუგები					
სოხუმის	1858	1053	1650	70719	39
ბათუმის	747	81	1155	3609	5
ართვინის	1593	251	1630	10925	5
სულ	5477	1685	11834	97461	140

ამ სამრეწველო პლანტაციების გარდა ქუთაისის გუბერნიის მთელ რიგ სოფლებში შიდასაჭიროებისათვის გაშენებული ჰქონდათ 36 დესეტინა და 79 კვადრატული საჟენი პლანტაცია, რომლიდანაც მიღებული იქნა 1674 ფუთი და 24 გირვანქა თამბაქო. 1893 წელს 1 ფუთი თამბაქოს ფასი 3 მანეთიდან 12 მანეთამდე მერყეობდა, საშუალოდ კი 7 მანეთი იყო. აღნიშნულ წელს თამბაქოს პლანტაციებიდან მიღებული იქნა 694674 მანეთი, ე. ი. 1 დესეტინიდან—402 მანეთი და 36 კაპიკი. მხედველობაში თუ მივიღებთ იმასაც, რომ 1 დესეტინა თამბაქოს პლანტაციის ფართობის დამუშავება 80 მანეთიდან 100 მანეთამდე ჯდებოდა, მაშინ გამოდის, რომ თითოეული დესეტინა ფართობი 300 მანეთს წმინდა მოგებას იძლეოდა[40].

თუ რამდენად პროგრესულად იზრდებოდა სამრეწველო თამბაქოს მოყვანა ქუთაისის გუბერნიაში, კარგად ჩანს შემდეგი ოთხი წლის მონაცემებიდან (იხ. ცხრ. 4)[41].

---

[40] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 222, ფურც. 11, об—12.

[41] საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1636, ფურც. 27.

წლები	ფართობი დესეტ.	თამბაქო ფუთობით
1892	1410	81590
1893	1690	97564
1894	1788	76566
1895	2274	124300

როგორც ჩანს, 1894 წელს გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი 98 დესეტინით მეტია, ვიდრე წინა 1893 წელს, ხოლო მისი მოსავალი თითქმის 20956 ფუთითა და 31 გირვანქით ნაკლებია. ეს მდგომარეობა სოხუმის ოლქსა და ზუგდიდის მაზრაში ხანგრძლივმა გვალვებმა გამოიწვია[42].

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1895 წლამდე სოხუმის ოკრუგის თამბაქოს მთელი მოსავალი ფირმა „ბოგდანოვს და K" მიჰქონდა, აღნიშნული წლიდან კი ასმოლოვმა და შაპშალმა გახსნეს თამბაქოს საწყობები, რითაც კონკურენციას უწევდნენ ზემოხსენებულ ფირმას[43]. ზემოაღნიშნულ წელს სოხუმის ოკრუგში სამსუნის ჯიშის უმაღლესი ხარისხის 1 ფუთი თამბაქო 14 მანეთი ღირდა, ტრაპიზონისა 12 მანეთი და ვირჯინიული 6 მანეთი[44].

XIX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში სიმინდზე ფასის დაცემამ და მევენახეობის თითქმის განადგურებამ გამოიწვია სოფლის მეურნეობის მომგებიანი დარგის მეთამბაქოეობის კიდევ უფრო განვითარება[45]. განსაკუთრებით ამ მხრივ წინ წავიდა სოხუმის ოკრუგი, სადაც თამბაქოს პლანტაციებში საქმის მცოდნე ლაზები, ბერძნები, სომხები და თურქები მუშაობდნენ. აღნიშნული დროიდან თამბაქოს კულტურის ფართოდ მოყვანას ხელი მიჰყო ამ კუთხის აბორიგენმა მოსახლეობამ: აფხაზებმა და მეგრელებმა, რომლებმაც მოკლე დროში გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. 1897 წელს სოხუმის ოკრუგიდან თამბაქო გააქვთ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, ქერჩის, ოდესისა და პეტერბურგის ფირმა „ბოგდანოვისა და K" თამბაქოს ფაბრიკებში[46].

[42] იქვე, საქ. 1461, ფურც. 31.
[43] იქვე, საქ. 1636, ფურც. 27.
[44] იქვე, ფურც. 27.
[45] ЦГИАЛ, ф. 1282, оп. 3, д. 273, ფურც. 13.
[46] საქ. ცსია, ფ. 12, აღწ. 1, საქ. 2108, ფურც. 13.

როგორც ცნობილია, მეთამბაქოეობის ძირითადი კერა საქართველოში აფხაზეთი — სოხუმის ოკრუგი, იყო, „აქ მოდიოდა ამიერკავკასიის თამბაქოს მოსავლის 70% მეტი... საერთოდ დასავლეთ საქართველოდან (სოხუმიდან და ბათუმიდან) თამბაქო გაქონდათ ყველაზე დიდი ზომით ეგვიპტეში (ალექსანდრიაში) და გერმანიაში. შემდეგ ჩრდილო ამერიკაში, ავსტრიაში, თურქეთში, ინგლისში, აფრიკაში, საფრანგეთში, ბელგიაში, პოლონეთში, საბერძნეთში, ირანში და სხვ. საექსპორტო თამბაქოთა შორის ყველაზე განთქმული იყო ჯიშები:: „სამსუნი" და „ტრაპიზონი"[47]. სოხუმის ოკრუგიდან თამბაქოს ექსპორტზე ქვემოთ დაწერილებით შევჩერდებით.

1898 წელს საქართველოში სამრეწველო პლანტაციებიდან სულ 369691 ფუთი თამბაქო მიიიღეს, აქედან რუსეთის იმპერიის ევროპულ ნაწილში გაიტანეს 102 908 ფუთი[48]. ამავე წელს თბილისის გუბერნიაში სამრეწველო პლანტაციებიდან შემდეგი რაოდენობის თამბაქო მოიწიეს (იხ. ცხრ. 5)[49].

ცხრილი 5

მაზრები	თამბაქო ფუთობით
სიღნაღის	37910
ახალციხის	1264
ახალქალაქის	751
გორის	34
ბორჩალოს	215
თელავის	453
სულ გუბერნიებში	40627

როგორც აღვნიშნეთ და აქ მოტანილი მონაცემებიდანაც კარგადა ჩანს, სიღნაღის მაზრა აღმოსავლეთ საქართველოში მეთამბაქოეობის მთავარი კერა იყო. სამრეწველო მეთამბაქოეობას თბილისის გუბერნიის სხვა მაზრებშიაც კი მისდევდნენ, მაგრამ, როგორც ირკვევა, ზოგიერთ ადგილში მოყვანილი თამბაქო ვეღარ აკმაყოფილებდა გაზრდილ ხარისხობრივ მოთხოვნებს, რის გამოც მათ ძირითადად შიდასაჭიროებითი მნიშვნელობა ჰქონდათ) მაგალითად, ახალციხისა

[47] პ. გუგუშეილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამერიკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 108—109.

[48] «Кавказский календарь», 1900, № 9, გვ. 72.

[49] იქვე, გვ. 72.

და ახალქალაქის მაზრებში სამრეწველო მეთამბაქოეობას მისდევ-დნენ: ასპინძაში, იდუმალაში, ინდუსაში, ვარხანში, ქვემო და ზემო ენთელაში, ხერთვისში, წუნდაში, ფიაში, საროში, ხანდოში, თოკი-ში, ვერთაყანაში, ხიზაბავრაში და სხვა სოფლებში[50], მაგრამ რად-განაც აქაური თამბაქო შედარებით დაბალი ხარისხისა იყო, იგი ფაბ-რიკებისათვის საჭირო ნედლეულად არ გამოდგებოდა; თვით ახალ-ციხის თამბაქოს ფაბრიკა „სვეტის" მეპატრონეს საჭირო ნედლეული აჭარიდან მიჰქონდა, ახალციხელები კი დაჭრილ თუთუნს მალულად გორის მაზრის სოფლებში ჰყიდიდნენ (1 გირვანქას 15-დან 25 კა-პიკად!)[51].

(1900-იან წლებში სამრეწველო მეთამბაქოეობა საქართველოში კვლავ აღმავლობას განიცდის. აღნიშნულ პერიოდზე ძირითადად ვიმსჯელებთ სოხუმის ოკრუგის, როგორც ამიერკავკასიაში მეთამბა-ქოეობის ძირითად რაიონის, მაგალითზე. როგორც პროფ. პ. გუგუ-შვილი აღნიშნავს: „აფხაზეთზე მოდიოდა ამიერკავკასიის,მთელი მო-სავლის 70%-ზე მეტი, რომ სოხუმის ოლქის 143 სოფლიდან მეთამ-ბაქოეობას მისდევდნენ 102 სოფელში და ამასთანავე ყველა პლანტა-ცია სავაჭრო ხასიათისა იყო, მაშინ, როდესაც ამიერკავკასიის 8. 800 დასახლებული ადგილიდან (ქალაქთა გამოკლებით) მეთამბაქოეობას მისდევდნენ 928 სოფელში, რომელთაგანაც სავაჭრო პლანტაციები იყო მხოლოდ 613 სოფელში, ხოლო დანარჩენ სოფლებში თამბაქო მარტო საკუთარი მოხმარებისათვის მოჰყავდათ"[52].

თუ რა ფართობი ეკავა აღნიშნულ მხარეში თამბაქოს სამრეწვე-ლო პლანტაციებს და რა რაოდენობის თამბაქო მოჰყავდათ, კარგად ჩანს ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან; იგი ჩვენს მიერაა შედგენილი საარქივო მონაცემების საფუძველზე[53]. (იხ. ცხრ. 6).

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, თამბაქოს პლანტა-ციების ფართობი და მისი მოსავლიანობაც პროგრესულად იზრდე-ბა. ეს შეიმჩნევა ომის წინა წლებშიაც და ომის დროსაც; ჩვენს მიერ დამოწმებულ საარქივო დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თუ 1914 წელს აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციებით დაკავებული ფართობი 1000 დესეტინაზე ცოტა მეტით განისაზღვრებოდა, 1915 წელს მის-

---

50 საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 297, ფურც. 6—8.

51 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1026, ფურც. 5—6.

52 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართვე-ლოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941, გვ. 108.

53 ЦГИАЛ, ф. 398, оп. 75, д. 440, ფურც. 2—7.

ცხრილი 6

წლები	თამბაქოს პლანტაციები დესეტინობით	თამბაქო ფუთობით
1895	1612	93476
1896	1582	89743
1897	2112	109.820
1898	2632	149.417
1899	2763	150.145
1900	3042	162.094
1901	2484	130.836
1902	3253	178.467
1903	3604	255.071
1904	4304	241.386
1905	5301	285.936
1906	3187	183.203
1907	4369	240.060
1908	4670	311.045
1909	6578	439.285
1910	8458	544.240
1911	7525	444.770
1912	7675	408.589
1913	8036	442.830
1914	13107	602.270

მა ფართობმა 2 000 დესეტინამდე მიაღწია. მარტო სოფელ ლიხნში თამბაქოს პლანტაციებს 120 დესეტინა ფართობი ეკავა, წინა 1914 წელს კი მისი ფართობი მხოლოდ 75 დესეტინას შეადგენდა. ომისაგან შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად თამბაქოს მეურნეობა კი არ დაცემულა, არამედ, პირიქით, მისი წინსვლაც შეიმჩნევა. როგორც პ. გუგუშვილი მართებულად შენიშნავს, „მეთამბაქოეობა პირველი მსოფლიო ომისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ყოველთვის არ ყოფილა დაცემულ მდგომარეობაში"...[54].)

რადგანაც პირველი მსოფლიო ომის დროინდელ მეთამბაქოეობას შევეხეთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მის გასასაღებელ ბაზარზეც მოკლედ შევჩერდებით. აი, რას ვკითხულობთ ამის შესახებ ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში: «Что касается цены на табак урожая 1915 года, то Сухумско-Черноморский район покаместь нахо-

[54] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. I, თბ., 1965, გვ. 227.

дится в благоприятных условиях, несмотря на табачный синдикат (соединилось вместе 6—7 фабрик), закрытие Дарданелла и изолированность Сухума от заграничных рынков: цены на табак в Сухумском округе в Черноморской губернии все повышаются и повышаются. Такое повышение цен на табак можно объяснить тем, что нигде себестоимость табака плантатору не достигла не таких размеров, как в 1915 году (стоимость обработки 1 дес. доходила до 700 руб.). Кроме этого, табак вообще должен оцениваться дороже в силу общей дороговизны жизни, возрастающей с каждым месяцем.

В настоящее время цены на табак в среднем стоят такие:

I, II, III сорт Самсун	30 руб.
IV сорт Самсун	20 руб.
IV сорт Самсун	20 руб.
I, II, III сорт Трапезунд	20 руб.
IV сорт Трапезунд	10 руб.»[55]

ქვემოთ შევჩერდებით თამბაქოს გატანაზე საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის აღნიშნული დარგის მდგომარეობაზე იმდროინდელ საქართველოში.

(როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის პირველ ათეულში ჩვენში მეთამბაქოეობა ისეთ ფართო ხასიათს იღებს, რომ ადგილობრივი ნედლეული ხმარდება არა მარტო ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებს, არამედ რუსეთის იმპერიისა და საზღვარგარეთის ფაბრიკებსაც. საქართველოს მეთამბაქოეობის ძირითადი რაიონებიდან ასობით ფუთი თამბაქო გააქვთ საზღვარგარეთ, ასე რომ, აღნიშნული დროიდან ქართული თამბაქო გარკვეულ როლს თამაშობს მსოფლიოს მთელი რიგი ქვეყნების თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში.)

იმის საილუსტრაციოდ, თუ საიდან, როდის და რა რაოდენობის თამბაქოს ნედლეული იქნა გატანილი საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჩვენ მოვიტანეთ რამდენიმე წლის ცნობები, რადგან საარქივო დოკუმენტებში ცალკეა აღნიშნული თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის და მეთამბაქოეობის სხვა რაიონების მონაცემები, მიზანშეწონილად ვცანით მისი ამ სახითვე მოტანა, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ თამბაქოს ექსპორტი, რომლის ჯამი ჩვენს მიერ არის გაკეთებული ქვემოთ მოტანილი მასალების საფუძველზე.

---

[55] ЦГИАЛ, ф. 398, оп. 25, д. 440, ფურც. 2—7.

1903 წელს სოხუმის ოკრუგის თამბაქოს სამრეწველო პლანტაციებიდან მიიღეს 254 770 ფუთი თამბაქო, აქედან 198 066 ფუთი თამბაქო რუსეთის იმპერიის დანარჩენ გუბერნიებში იქნა გატანილი[56].

1906 წელს საქართველოში სამრეწველო პლანტაციებიდან მიიღეს 249 970 ფუთი თამბაქო, 7012 ფუთი საზღვარგარეთ იქნა გატანილი[57].

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში მეტად საინტერესო მასალებია დაცული ქართული თამბაქოს გატანის შესახებ 1910-იანი წლებისათვის. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

1910 წელს სოხუმის ოკრუგიდან რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გაიტანეს 353.262 ფუთი და 21 გირვანქა თამბაქო; ამავე წელს საზღვარგარეთ გატანილი იქნა 29 178 ფუთი და 28 გირვანქა თამბაქო. ქვეყნების მიხედვით იგი ასე განაწილდა: ინგლისში 61 ფუთი და 32 გირვანქა, ავსტრიაში 1 ფუთი და 12 გირვანქა, გერმანიაში 50 ფუთი და 32 გირვანქა, საბერძნეთში 279 ფუთი და 30 გირვანქა, თურქეთში 281 ფუთი და 25 გირვანქა, ეგვიპტეში 28 413 ფუთი და 16 გირვანქა, ჩრდილოეთ ამერიკაში 90 ფუთი და 22 გირვანქა[58].

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ქართული თამბაქო დანარჩენ ქვეყნებთან შედარებით ეგვიპტეში უფრო მეტი გაუტანიათ. ამას პროფ. პ. გუგუშვილი შემდეგნაირად ხსნის: „ეგვიპტეში ქართულ (აფხაზურ) თამბაქოს იყენებდნენ მაღალხარისხოვანი ეგვიპტური პაპიროსების წარმოებაში. აქ წინათ ამ მიზნით შემოჰქონდათ საუკეთესო ბერძნული და თურქული თამბაქო. მაგრამ 900-იანი წლების მეორე ნახევრიდან კარგად შერჩეულმა და დახარისხებულმა აფხაზურმა თამბაქომ წარმატებიანი კონკურენცია გაუწია ზემოხსენებულთ. მალე სოხუმში გაჩნდნენ ალექსანდრიული და ქართულ თამბაქოს მსხვილი ფირმების აგენტები. 1910 წელს სოხუმში ეგვიპტური ფირმების წარმომადგენლებს უკვე თამბაქოს 3 საწყობი ჰქონდათ"[59].

იმავე 1910 წელს ბათუმის ოლქიდან რუსეთის იმპერიის გუბერნიებში გაიტანეს 17168 ფუთი და 11 გირვანქა თამბაქო, საზღვარგარეთ კი 27623 ფუთი და 32 გირვანქა: ჰოლანდიაში 268 ფუთი და

---

[56] «Кавказский Календарь» на 1905 г., გვ. 67—68.

[57] «Кавказский Календарь» на 1908 г., გვ. 523—524.

[58] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. წ, საქ. 1012, ფურც. 67—68.

[59] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. I, თბ., 1965, გვ. 220.

22 გირვანქა, საფრანგეთში 167 ფუთი და 11 გირვანქა, თურქეთში 799 ფუთი და 04 გირვანქა, ეგვიპტეში 26388 ფუთი და 19 გირვანქა, გერმანიაში კი მხოლოდ 19 გირვანქა[60].

აღნიშნულ წელს თბილისის გუბერნიიდან ირანსა და ეგვიპტეში გაიტანეს 636 ფუთი და 23 გირვანქა თამბაქო[61]. ამრიგად, 1910 წელს სულ მსოფლიოს 10 ქვეყანაში საქართველოდან 57637 ფუთი და 83 გირვანქა თამბაქო გაიტანეს.

როგორც ზემომოტანილი საარქივო მონაცემებიდან ჩანს, ბათუმის ოლქისა და თბილისის გუბერნიის მეთამბაქოეობის რაიონებიდანაც მნიშვნელოვანი რაოდენობით გაჰქონდათ თამბაქო ეგვიპტეში.

თუ რა როლს თამაშობდა ქართული, საკუთრივ სოხუმის ოკრუგში მოწეული, თამბაქო რუსეთის იმპერიის თამბაქოს დამმუშავებელ ფაბრიკებში კარგად ჩანს ჩვენს მიერ შედგენილი ცხრილიდან (იხ. ცხრ. 7).

ზემოთ მოტანილი მონაცემები კარგი დასტურია იმისა, რომ ქართულ თამბაქოზე მოთხოვნილება რუსეთის იმპერიაში დიდი იყო, აქედან აგრეთვე კარგად ჩანს ისიც, რომ რუსეთის იმპერიის 17 გუბერნიის 35-მდე თამბაქოს მსხვილი ფაბრიკა მომხმარებელია ქართული თამბაქოსი, რაც მის საუკეთესო თვისებებზე მიუთითებს. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციული ერთეულების გარდა მთელი რიგი ქალაქების საბითუმო საწყობებში ასობით ფუთი ქართული თამბაქო ინახებოდა და შემდეგ ამა თუ იმ ქვეყანაში გაჰქონდათ, ადვილად წარმოსადგენია, თუ რამ განაპირობა მისი ასეთი წარმატება შიდა საიმპერიო და საერთაშორისო ბაზარზე.

მართალია, ჩვენ თამბაქოს გატანაზე ძირითადად სოხუმის ოკრუგის, როგორც ამიერკავკასიაში მეთამბაქოეობის ძირითადი კერის, მონაცემებით ვმსჯელობთ, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მეთამბაქოეობის სხვა ადგილებიდან მისი ექსპორტი არ ხდებოდა.

ახლა იმის დასტურად, თუ რამდენად ძვირად ფასობდა სოხუმური თამბაქო სხვებთან შედარებით, გავეცნოთ საარქივო მონაცემებს:

1911 წელს ბათუმის ოლქიდან რუსეთის იმპერიაში გასატანი სამსუნის და ტრაპიზონის ჯიშის თითოეული ფუთი თამბაქო შემდეგ

---

[60] საქ. ცსია, ფ. 370. აღ. I, საბ. 1012, ფურც. 64.

[61] საქ. ცსია, ფ. 372, აღ. I, საქ. 530, ფურც. 39.

სად გაიტანეს?	რამდენი ფუთი თამბაქო გაიტანეს	რომელ ფაბრიკებში გაიტანეს
ვარშავის გუბერნიაში	4653 ფუთი. 35 გირვანქა	„ჰოლესში“, „უნიონში“ და ძმებ პოლიაკოვიჩებთან.
ვილნოს გუბერნიაში	424 ფ. 36 გირ.	შიშმანისა დ. დურუნჩის ფაბრიკაში
ვოლინის გუბერნიაში	181 ფ. 34 გირ.	„იეროპლანში“
გროდნოს გუბერნიაში	497 ფ. 02 გირ.	იანოესკის ფაბრიკაში
დაღესტნის ოლქში	68 ფ. 13 გირ.	აჯი ალიკერ მამედოვის ფაბრიკაში
ვოლსკა-დონის ოლქში	3626 ფ. 56 გირ.	კუშნარიოვის ფაბრიკაში, „რაბოტნიკში“ და როსტოვის თამბაქოს სხვა ფაბრიკებში
კიევის გუბერნიაში	2589 ც. 41 გირ.	მარიინოესკის. ზარიცკოს და ეგიზას ფაბრიკებში
კუბანის ოლქში	739 ფ. 30 გირ.	„ზილესში“, მურატნაევისა და ნაზაროვის ფაბრიკაში
კურსკის გუბერნიაში	1797 ფ. 19 გირ.	ლავროვის ფაბრიკაში
ლიფლიანდის გუბერნიაში	6658 ფ. 32 გირ.	რუტენბერგისა და ციუნდელის ფაბრიკებში
მოგილევის გუბერნიაში	200 ფ. 15 გირ.	„მერკურში“
მოსკოვის გუბერნიაში	2979 ფ. 30 გირ.	ბოსტანჯოლილოს ფაბრიკაში
პოლტავის გუბერნიაში	129 ფ. 22 გირ.	სარაფის ფაბრიკაში
პეტერბურგის გუბერნიაში	69431 ფ. 87 გირ.	ბოკდანოვისა და შაპოშნიკოვის, კოლობოვისა დ ბობროვის ფაბრიკებში
თავრიდის გუბერნიაში	1154 ფ. 88 გირ.	შიშმანის, ფოკერმანისა და პანიატოვის ფაბრიკაში
თერგის ოლქი	94 ფ. 38 გირ	ვახტანგოვის ფაბრიკაში
ხერსონის გუბერნიაში	1963 ფ. 58 გირ.	პოპოვის, ასვადუროვის, აშკენაზის, ლერმანის და ია ალას ფაბრიკებში

ფასებში იყიდებოდა: პლანტაციებში I ხარისხის 9—14 მანეთად, II ხარისხის 7—9 მანეთად, III ხარისხის 3,50—6,50 მანეთად, IV ხარისხის კი 1—3,50 მანეთად;

[62] ცხრილი შევადგინეთ საარქივო მონაცემების საფუძველზე. იხ. საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1012, ფურც. 55—68.

საწყობებსა და თამბაქოს საყრელ პუნქტებში I ხარისხის თამბაქო იყიდებოდა 12—15 მანეთად, II ხარისხის 9—12 მანეთად, III ხარისხის 6—8 მანეთად და IV ხარისხის 3—4 მანეთად.

საზღვარგარეთ გასატანი პირველი ხარისხის თამბაქო პლანტაციაში იყიდებოდა 15 მანეთად, საწყობებსა და თამბაქოს საყრელ პუნქტებში მისი ფასი 14-დან 18 მანეთამდე აღწევდა, II ხარისხის თამბაქო 12—13 მანეთად იყიდებოდა, III ხარისხის 7—8 მანეთად და IV ხარიხის 3—4 მანეთად.

სოხუმის ოკრუგიდან რუსეთის იმპერიის გუბერნიებში და საზღვარგარეთ გასატანი სამსუნის ჯიშის ერთი ფუთი თამბაქო შემდეგ ფასებში იყიდებოდა: პლანტაციაში I ხარისხის თამბაქო 19—25 მანეთად; II ხარისხის 13—18 მანეთად, III ხარისხის 7—18 მანეთად, IV ხარისხის 3—6,50 მანეთად.

საწყობებსა და თამბაქოს საყრელ პუნქტებში I ხარისხის თამბაქო 22—28 მანეთად იყიდებოდა, II ხარისხის 14—20 მანეთად, III ხარისხის 10—13 მანეთად და IV ხარისხის 4—9 მანეთად.

ტრაპიზონის ჯიშის ერთი ფუთი I ხარისხის თამბაქო პლანტაციაში 13—16 მანეთად იყიდებოდა, II ხარისხის 9—12 მანეთად, III ხარისხის 6—8 მანეთად, IV ხარისხის 2—5 მანეთად. საწყობებსა და თამბაქოს საყრელი პუნქტებში იმავე ჯიშის I ხარისხის თამბაქო 15—19 მანეთად იყიდებოდა, II ხარისხის 14 მანეთად, III ხარისხის 8—10 მანეთად და IV ხარისხის 4—7 მანეთად[63].

როგორც მოტანილი მასალებით ირკვევა, აფხაზური თამბაქო თავისი ღირსებითა და თვისებით საკმაოდ განსხვავდებოდა სხვა ადგილებში მოწეული თამბაქოსაგან, რაც პოულობდა გამოხატულებას კიდეც მის ღირებულებაში. ასე რომ, ჩვენი აქცენტირება საქართველოდან თამბაქოს გატანის შესახებ სოხუმის ოკრუგზე საფუძვლიანია.

საქართველოს მეთამბაქეობის ძირითადი რაიონებიდან თამბაქოს ექსპორტი შემდგომ წლებშიაც არ შემცირებულა. 1912 წელს გაფართოვდა მისი გატანის გეოგრაფიული არე; მაგალითად, ზემოჩამოთვლილ ქვეყნების გარდა საქართველოდან თამბაქო გაიტანეს ბელგიაში, ტუნისსა და შვეიცარიაში. სულ აღნიშნულ წელს თბილისის გუბერნიიდან, სოხუმის ოკრუგიდან და ბათუმის ოლქიდან საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყნებში გაიტანეს 68342 ფუთი და 136 გირვანქა თამბაქო[64].

---

[63] საქ. ცსა, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1026, ფურც. 30.

[64] იქვე, 1052, ფურც. 56, 103, 105, 106.

1913 წელს სოხუმის ოკრუგიდან საზღვარგარეთის შემდეგ ქალაქებში: ნიუ-იორკში, მარსელში, ტრიესტში, დრეზდენში, მანჰეიმში, ალექსანდრიასა და რეშტში გაიტანეს 55120 ფუთი და 0,7 გირვანქა თამბაქო[65], ხოლო ლონდონში, ბრემენში, სტოკჰოლმში, ანტვერპენში, დრეზდენსა და ნიუ-იორკში ბათუმის ოლქიდან გატანილი იქნა 13609 ფუთი და 12 გირვანქა თამბაქო[66].

„სავაჭრო მეთამბაქეობის რაიონებში პირველი მსოფლიო ომისწინა წლებში მოკალათებულნი იყვნენ რუსეთისა და უცხოეთის თამბაქოს მრეწველობის კომერციული აგენტები. მაგალითად, სოხუმის ოკრუგში ამ შემსყიდველებს ჰქონდათ თავიანთი საწყობები, სადაც მეტ-ნაკლები დროით ინახავდნენ თამბაქოს, ხოლო მერმე კომერციული სიტუაციის შესაბამისად, აგზავნიდნენ მას დანიშნულებისამებრ. აქ მოქმედებდა 60-მდე საწყობი, შესაფერი აგენტურით"[67].

როგორც პროფ. პ. გუგუშვილი მართებულად შენიშნავს, ქართული თამბაქოს ასეთი წარმატების მიუხედავად არც რუსეთისა და არც უცხოეთის შემსყიდველი ფირმები თითქმის არ ცდილობდნენ დაესახათ და გაეტარებინათ ღონისძიებანი თამბაქოს ნედლეულის გარკვეული სტანდარტის გამომუშავება-დადგენისათვის[68]. ხშირ შემთხვევაში ვაჭარ-შემსყიდველები საგანგებოდ არჩევდნენ შეუფუთავ და დაუხარისხებელ თამბაქოს, რათა პლანტაციის პატრონისათვის რაც შეიძლება ნაკლები ფასი გადაეხადათ. ვაჭარ-გადამყიდველები მიმართავდნენ ხრიკებსაც; მაგალითად, 1879 წელს ლაგოდეხელმა ვაჭარმა მოსკოველ მეფაბრიკეს რეინჰარტს აგურებჩატანებული თამბაქოს ფუთები შეატყუა; იმავე ვაჭარმა 1884 წელს როსტოველ მეფაბრიკეს კუშნარიოვს წონაში მოგების მიზნით ნახევრად ნედლი თამბაქო მიჰყიდა[69].

ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ვაჭარ-შემსყიდველები საგანგებოდ აგვიანებდნენ თამბაქოს შესყიდვას, პლანტაციის პატრონი გამოუვალ მდგომარეობაში რომ ჩავარდნილიყო და იაფად გაეყიდა ნედლეული. ადგილი ჰქონდა აგრეთვე თამბაქოს ვაჭართა და მეფაბრიკეთა კონკურენციასაც. ამ უკანასკნელის შესანიშნავი დასტურია გაზეთ „კოლხიდაში" გამოქვეყნებული ა. უზუნაშვილის სტატია „მე-

---

[65] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1073, ფურც. 178—169.

[66] იქვე, ფურც. 167—167.

[67] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. 1, თბ., 1965, გვ. 224.

[68] იქვე, გვ. 224.

[69] «Кавказ», 1886, № 247, გვ. 1.

თამბაქოეობა ქიზიყში", რომელშიც ვკითხულობთ: „1890-იანი წლების მეორე ნახევარში ქიზიყში ფეხს იკიდებს თამბაქოს კულტურა და საკმაოდ ძლიერად. ქიზიყის მშვენიერი ღირსების თამბაქომ ბოზარჯიანცების და ენფიანჯიანცების გაუმაძღარი მადა უფრო გააღიზიანა და ჩვენმა უკუღმართმა პირობებმა კიდევ იმედის ნეპერწკალი გაუღუთ ჯიბის გასასქელებლათ. მათი კუდამელები ჩალის ფასად ეზიდებიან ხალხის ნაწვავ-ნადაგს. სწორედ ამ დროს გამოუგზავნა განგებამ ქიზიყელებს მფარველ ანგელოზათ თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი — ეს დიდი მოამაგე ჩვენი ხალხისა, რომელიც შემდეგ ბრბომ ჯვარზე აცვა. ჩოლოყაშვილმა თავის ხარჯით, თავისავე მამულში გახსნა ქიზიყელთათვის თამბაქოს საწყობი კოოპერაციის სახით და ბანკის კრედიტით, სადაც მთელი გლეხობა ეზიდებოდა თავის ნაშრომს და ნახევარ ფასს ღებულობდა თამბაქოს გაყიდვამდი, არც ბოზარჯიანცებს ეძინათ ამ დროს: შეკრეს პირი და გამოუცხადეს ბოიკოტი ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას, მაგრამ ეს ბოიკოტი თავისთავად ვერაფერს გააწყობდა იქ, სადაც იმედი იყო რუსეთისა და საზღვარგარეთის ბაზრისა (საკმარისია ამის დასამტკიცებლად გინდ ის გარემოება, რომ ამასწინათ გაზეთების საშუალებით ქ. ს. საზოგადოებამ ამცნო ქიზიყელებს, რომ გერმანელები ქიზიყის თამბაქოს თხოულობენო). ამათაც მეორე ხრიკს მიმართეს: დაგზავნეს აგენტები გლეხებში აგიტაციის გასაწევად და თამბაქოს ფასებსაც ერთი ხუთათ აუწიეს, ოღონდ გლეხს მიეყიდა მათთვის და არა საწყობს. ამნაირმა ხრიკებმა გასჭრა და გლეხკაცობა აამხედრა საწყობის მოსასპობათ. ამავე გარემოებამ კი იძულებულყო ჩოლოყაშვილი ჩალის ფასად მიეყიდა თამბაქო რუსეთის მეფაბრიკისათვის და საწყობიც გაეუქმებია. გაეყიდა თამბაქო, მაგრამ მისმა ფასმა გლეხკაცობა ვერ დააკმაყოფილა, ჩოლოყაშვილმა საკუთარი ფულიც კი დაურიგა გლეხებს. რაც შეეხება მშვენიერ ჭიაურის მამულს ჩოლოყაშვილისას, ამ საქმის დაზარალების გამო ბანკმა გადაყლაპა და თვითონ მშრალზე დარჩა"[70].

ახლა მოკლედ შევეხოთ თამბაქოს პლანტაციებში დასაქმებულ მუშათა მდგომარეობას. 1900 წელს სოხუმის ოკრუგში გაშენებულ თამბაქოს პლანტაციებში 900 კაცი იყო დასაქმებული. პლანტაციებში შრომობდნენ მამაკაცები, ქალები და ბავშვები; ძირითად სამუშაოებს მამაკაცები ასრულებდნენ, ქალები და ბავშვები მათ ჩითილების დარგვაში, თამბაქოს ფოთლის შეტეხვასა და დახარისხებაში

---

[70] გაზ. „ კოლხიდა", 1911, № 153, გვ. 3.

ეხმარებოდნენ. მუშები დაქირავებულნი იყვნენ არტელებად (ჯგუფურად), დღიური, განაკვეთობრივი და თვიური ხელფასით[71], მაგრამ ეს ყველაფერი ფორმალური მხარე იყო. სინამდვილეში პლანტატორი მუშებს ხელფასს უხდიდა არა დაქირავებისას (ე. ი. ადრე გაზაფხულზე—დ. ც.), ან სამუშაოების დამთავრებისას, არამედ მხოლოდ მაშინ, როდესაც თამბაქოს ნედლეულს გაასაღებდა. ამ მომენტში პლანტაციის პატრონი თვითონ იყო დამოკიდებული ვაჭარ-შემსყიდველებსა და კომისიონერებზე.

იმისათვის, რომ დამყარებულიყო გარკვეული ურთიერთობა პლანტატორებსა და მუშებს შორის, დაწესებულიყო განსაკუთრებული მეთვალყურეობა თამბაქოს პლანტაციებზე, შემსყიდველებზე, მუშათა სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, პლანტატორებისათვის შეღავათიანი კრედიტის მიცემაზე, მთავრობამ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის 1900 წლის 22 სექტემბრის შუამდგომლობით სპეციალური კომისია გამოყო საქმის შესასწავლად. ქუთაისის კომისიას თავმჯდომარეობდა სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი დრიაგინი[72]. როგორც ზევითაც დავინახეთ, ღონისძიებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

ვ. ი. ლენინი თავის შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ ახასიათებს რა მეთამბაქოეობის განვითარებას რუსეთში, აღნიშნავს მის პლანტაციებში დასაქმებული მუშების მეტისმეტად მძიმე მდგომარეობას[73].

თამბაქოს პლანტაციებში მომუშავე მამაკაცები და ქალები ერთად ცხოვრობდნენ უიატაკო ფიცრულებში, საცხოვრებელში და მის ახლოს მუშები ახარისხებდნენ და აშრობდნენ თამბაქოს, რომლის ნარჩენები იქვე იყრებოდა, მუშებისათვის უხარისხო, უსუფთაო საკვები მზადდებოდა. ამას ზედ ერთვოდა პლანტაციებში განუსაზღვრელი დროის მძიმე მუშაობა, მალარიის საშინელი სენი....

ასე წარმოგვიდგება მოკლედ სავაჭრო-სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარება საქართველოში აღებულ საკვლევ პერიოდში. ჩვენ შეგნებულად თავი ავარიდეთ ამ საკითხზე უფრო ვრცლად მსჯელობას, რადგან ჩვენი კვლევის მთავარ ობიექტს თამბაქოს ფაბრიკები წარმოადგენს და არა მეთამბაქოეობა.

როგორც ვნახეთ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, 80—90-

---

[71] Обзор Кутаисской губернии за 1900, გვ. 20, 22.
[72] Обзор Кутаисской губернии за 1901 г., გვ. 13.
[73] ვ. ი. ل ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 344.

იან წლებში, და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სავაჭრო-სამრეწველო მეთამბაქოეობას ეჭირა. მეთამბაქოეობის ძირითად რაიონებში უმთავრესად მოჰყავდათ უმაღლესი ხარისხის უცხოური ჯიშის თამბაქო „სამსუნი", „ტრაპიზონი" და სხვ. ცხრაასიან წლებში დასავლეთ საქართველოში მეთამბაქოეობა კონცენტრირებული იყო ძირითადად სოხუმის ოკრუგსა და ოზურგეთის მაზრაში, აღმოსავლეთ საქართველოში კი სიღნაღის მაზრაში.

ქართული თამბაქო გაჰქონდათ არა მარტო საქართველოსა და ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებში, არამედ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, როსტოვის, ოდესის, ქერჩის, სევასტოპოლის და რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებში; უცხოეთში: ამერიკაში, ბელგიაში, გერმანიაში, ეგვიპტეში, თურქეთში, ინგლისში, ირანში, საფრანგეთში, ტუნისში, შვეიცარიაში, ჰოლანდიასა და სხვა ქვეყნებში[74].

საქართველოს სოფლის მეურნეობის არც ერთ დარგში არ შეიმჩნეოდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების ისეთი ტემპები, როგორც მეთამბაქოეობაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „რაც უფრო მეტად იღებს სავაჭრო ხასიათს მიწათმოქმედება, მით უფრო განვითარებულია მისი კაპიტალისტური ორგანიზაცია". ეს გარემოება დამახასიათებელია მეთამბაქოეობის განვითარებისათვის საქართველოშიც აღნიშნულ პერიოდში.

---

[74] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тб., 1962, 1962, зз. 41.

თ ა ვ ი II

თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1850—1880 წწ.

საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდად პროგრესული მოვლენა იყო ჩვენი ერის ცხოვრებაში. დაწყნარდა ქვეყანა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მოსვენებას არ აძლევდა გარეშე მტრების შემოსევები და ადგილობრივ ფეოდალთა შუღლი.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ ილია ჭავჭავაძე 1899 წელს წერდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემაძრწუნებელ სახსოვრად-ღა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვრისათვის ჯვარცმულ საქართველოს“[1].

საქართველოს სამშვიდობო გზაზე დადგომამ თავისთავად ხელი შეუწყო მის მთლიან ეკონომიურ აღმავლობას; იზრდება ვაჭრობა, ხელოსნობა, საფუძველი ეყრება მთელ რიგ კაპიტალისტურ წამოწყებებს. რა თქმა უნდა, ეს ძვრები საქართველოში, რუსეთთან შეერთების პირველსავე წლებში არ დაწყებულა. როგორც ცნობილია, რუსეთმა, საქართველოსა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ შემოერთებას სამი ათეული წელი მოანდომა, ხოლო „რუსეთის მიერ მისი ეკონომიკური დაპყრობა“...[2] კიდევ უფრო მეტ ხანს გაგრძელდა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი აღნიშნავს.

კაპიტალისტური განვითარების პროცესი კარგად ჩანს თამბა-

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ტ. IV, თბ., 1955, გვ. 216—217.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 703.

ქოს დამმუშავებელ მრეწველობაში, რომელსაც საფუძველი თბილისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა. სანამ 50—60-იანი წლების თამბაქოს „ფაბრიკების“ განვითარებას შევეხებოდეთ, საინტერესო იქნება გავეცნოთ ზოგიერთ ცნობას მანამდე არსებული თამბაქოს სარეწავების შესახებ.

„ჩყე წელსა სექტემბრის პირველსა ჩვენ ქვემო ხელ მომწერთა ესე საამხანაგო წიგნი დავდევით ერთმანეთში და ავიღევით ერთობლივ მთელი საქართველოს თამბაქოსი და ბურნუთის იჯარა ხაზინიდამ იჯარით საამხანაგოთ. ამ პირობითა, რაც ხანს ამ ქარხანამ ჩვენს ხელთ დაჰყოს, რაცა და ამ რ.... (არ იკითხება—დ. ც.) ამ იჯარის თაობაზედ იჯარა ან მასრაფი გაგვივიდეს ხაზინაში თუ სხვაგან, სამსავ სწორედ საერთო არს და თანასწორად უნდა ამ იჯარას საკმარი თეთრი უშოვოთ. სხვა შომატებული ამავე იჯარისათვის თეთრი მოგვინდის საშოვნელად, სამსავე რჩევით ერთად ავიღოთ. თუ ჩვენიდამ ვერ ვირქასაზოდ ამ იჯარის მომვლელად ვინცა სად ივარგებდეს, კახეთისა და ქართლისა ზედამდეგად სხვა და ტფილისის ქარხნისათვისაც აგრეთვე უჩინოთ ჩვენგანნი ვინცა სად გამოდგებოდეს. ღმერთმა ზიანი გვაშოროს. ამ იჯარასა ზიანი და სარგებელი საერთო არს. ყოველი ამაზედ დანახარჯი დავიჭიროთ ჭეშმარიტი ნუსხით. და ვისაც შეაჩნდეს ხელმრუდობა, ნაძალევად გამორჩომა, ამხანაგობაში ვიყვნეთ რჯულიერთ ერთმანეთის პასუხის გამცემენი. ეს საამხანაგო წიგნი უნდა ჰქონდეს ზაქარა როხროხოვს იმისათვის, რომ ხაზინაში ეს არს კონტრაკტით შეკრული და არ ჰქონდეს რიდი ჩვენგან უკუ დგომისა“[3].

ჩვენ ვერ მივაკვლიეთ სხვა საბუთს, თუ რა ბედი ეწია ზაქარა როხროხოვისა და მის ამხანაგთა მიერ დაარსებულ ქარხანას, მაგრამ ეს საარქივო დოკუმენტი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ მასში 1805 წლისათვის მოხსენიებულია თამბაქოს „ქარხანა“ რაც, რა თქმა უნდა, უბრალო საწარმო იქნებოდა. თუ დავუშვებთ, რომ აღნიშნული „ქარხანა“ რამდენიმე ხანს მუშაობდა, ის მანუფაქტურულ საწარმოდ უნდა მივიჩნიოთ. ამის საფუძველს გვაძლევს „ქარხნის“ შემქმნელთა შორის შრომის განაწილების წესი, რაც გვაგულისხმებინებს, რომ თვით წარმოებაში იქნებოდნენ ხელით მომუშავე დაქირავებული მუშები, რომელთა შორისაც ადგილი ექნებოდა შრომის განაწილებას.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერს: „სტეფანე ფერშანგი,

---

[3] საქ. ცსია, ფ. 26, აღ. 1, საქ. 994.

გორელი სომეხი იყო მოიჯარადრე ბურნუთისა და თამბაქოსი თფილისს, ღრმად მოხუცი 1839 წელს გარდაიცვალა"[4].

როგორც ერთ-ერთი დოკუმენტიდან ჩანს, სტეფანე ფერშანგი (ფერშანგოვი) თამბაქოთი ვაჭრობას ადრე გორში ეწეოდა, შემდეგ კი ეს საქმე თბილისში გაუგრძელებია, ალბათ, მეტი სარფიანობის გამო.

ქვემოთ მოგვყავს ამ დოკუმენტის სრული ტექსტი, რომელიც 1806 წ. აგვისტოს 11-ით არის დათარიღებული. მასში გარდა იმისა, რომ ფერშანგოვთან ერთად თამბაქოს სხვა მოვაჭრეებიც იხსენიებიან, საყურადღებოა ის ადგილი, სადაც ლაპარაკია ჯავახ ნონიასაგან ვინმე მეგრელის სახლში თამბაქოს მოტანასა და მის გასაღებაზე. დასაშვებია, რომ ჯავახ ნონიას თამბაქო თურქეთიდან კონტრაბანდად შემოჰქონდა და ხელთუბანში სარეალიზაციოდ ჩაჰქონდა: „მე ვარ გვარით ჯანუაშვილი. მამაჩემს ეწოდებოდა სახელად თეიმურაზა და მე მქვიან სახელად იაკობ. ვიქნები წლისა ოცდაათისა. ვარ სარწმუნოებით სომეხი და სოფელსა ხელთუბანს მცხოვრებელი. რომლისათვისაც მკითხამთ, მე გამოვაცხადებ ესრეთ სიმართლით: ვიყიდე მე თამბაქო ოთხი ლიტრა და ბურნუთი ერთი ლიტრა გორში მცხოვრებელის გაბრიელ მამასახლის [ის]-შვილისა და სტეფანე ფერშანგოვისაგან გავლილსა წელსა ჩყე, დეკემბრის კზ დღესა. მივეც ფასი თამბაქოში ოთხი აბაზი ლიტრაზედ და ლიტრა ბურნუთში ორი მინალთუნი. ბურნუთი მოიტანა თვით გაბრიელ მამასახლისის-შვილმა სოფელს ხელთუბანს და იქ მომყიდა, რომელსაც გამოუცხადე, რომ ვყიდულობ მე წვრილად გასაყიდველად და მოსაგებათ, რომელსაც კულავაც ბევრჯერ მეყიდნა და გამეყიდნა. აგრეთვე თამბაქო ვიყიდე ამავ გაბრიელისაგან გორის ქალაქსა შინა, რომელიც ამას ზევით გამომიცხადებია. ამაზედ მეტი არავისაგან არ მიყიდნია და არც გამიყიდნია და ამ ნასყიდის თამბაქოსი მაქვს კიდევ მე გასასყიდელად თამბაქო ექვსი დასტა და წონით არ ვიცი რა ერთი იქნება და ბურნუთიც მექნება სტილ-ნახევარი. იმ რიცხვიდან ამ რიცხვამდინ გამიყიდნია და ეს დამრჩომია. და გარდა ჩემისა არიან ბურნუთის გამსყიდველნი სოფელსა ხელთუბანს მცხოვრებლები: 1. სტეფანე ეშმაკურაშვილი, 2. ღუგაზა, 3. ყარაშოღალიანთ მაია, 4. მეგრელის სახლში მოაქვს ჯავახს ნონიასა და ჰყიდიან იმ სახლიდამ. ამაზედ მეტი არა ვიცი რა. სისწორით გამომიცხადებია და ამ ჩემგან ჩვენე-

---

[4] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936, გვ. 262.

ბას ხელს ვაწერ და როდესაც იჯარადრისაგან თამბაქო მიყიდნია, ჩემთვის მოსაწეველად დამიფქვამს ხელსაფქვავით და მე მომიწევია და სხვისათვის კი არ მიმიყიდნია"[5].

სტეფანე ფერშანგი 1806 წ. უკვე თამბაქოთი ვაჭრობდა, 1839 წ. ის ღრმად მოხუცი გარდაიცვალა. შესაძლებელია, ამ საქმიანობას სტეფანე და ზემოთ მოტანილ დოკუმენტში მოხსენიებული სხვა პირები უფრო ადრე ეწეოდნენ. უნდა ვიფიქროთ, რომ თამბაქოს საწარმოებს საქართველოში საფუძველი ეყრება მე-18 საუკუნის ბოლოსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში, რის ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობად ჩვენში რუსეთის ჯარის ნაწილების შემოსვლა და უცხო ელემენტების მომრავლება მიგვაჩნია.

რა თქმა უნდა, მხოლოდ სტეფანე ფერშანგის მაგალითი ჩვენი მოსაზრების საფუძვლად არ კმარა, მაგრამ არსებობს საარქივო დოკუმენტები თამბაქოს სახელოსნოებისა და მის ხელოსანთა არსებობის შესახებ მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

მ. სამსონაძე, როცა აღნიშნული პერიოდის თბილისის სახელოსნო ფარდულების დარგობრივ დინამიკასა და ხელოსანთა რაოდენობას იძლევა, საარქივო მონაცემების საფუძველზე იქვე ასახელებს თამბაქოს სახელოსნო ფარდულებს და მეპაპიროსეებს[6]. ისტორიკოსი ზაქარია ჭიჭინაძე კი თბილისში თამბაქოს სავაჭროების სიმრავლესთან ერთად მისი ქარვასლის არსებობასაც კი აღნიშნავს[7].

ამიერკავკასიის სასოფლო, მანუფაქტურული მრეწველობისა და ვაჭრობის საზოგადოებამ 1842 წლის მარტში სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში წარადგინა სხვადასხვა ჯიშის სასოფლო-სამეურნეო კულტურები, მათ შორის თამბაქო და ერთი ყუთი სიგარა, რომელთაც კომისიამ მაღალი შეფასება მისცა და საჭიროდ სცნო, უფრო ზუსტი შეფასებისათვის სიგარის ნიმუშები პეტერბურგელი საუკეთესო მეფაბრიკეების ჟუკოვისა და რეცონიკისათვის გაეგზავნათ[8].

1848 წელს იმ. შემოიტმა თბილისში სიგარების წარმოება წამოიწყო, მაგრამ ოსტატებთან ვერ შეთანხმდა[9], თუმცა შემდეგში

---

[5] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წ. II, თბ., 1853, გვ. 307.

[6] მ. სამსონაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15, 37.

[7] ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში,—დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, თბ., 1909, გვ. 23.

[8] ЦГИАЛ, ф. 398, оп. 6, д 1529, фурц. 8—12.

[9] საქ. ცსია, ფ. 4, აფ. I, საქ. 2356.

მაინც მოახერხა წარმოების მოწყობა და 1850 წელს გამოფენაზე საკუთარ „ფაბრიკაში დამზადებული ხუთი ხარისხის სიგარა და ორი ხარისხის თუთუნი წარადგინა"[10]. აღნიშნულ გამოფენაზე თბილისის საპატიო მოქალაქე ზალცმანმა ბურნუთი წარადგინა, რომელიც თავად დ. ვ. ორბელიანის მამულში მოწეული თამბაქოდან იყო დამზადებული[11].

1850 წელს ადგილობრივი თამბაქოსაგან გამზადებული სიგარები რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში გაგზავნეს, ხოლო მოსკოვის მანუფაქტურის საბჭოს თავმჯდომარემ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა ბარონ მეიენდორფმა, რომელიც იმ დროს ამიერკავკასიაში იმყოფებოდა, 11 ყუთი სიგარა შესამოწმებლად პეტერბურგში გაგზავნა. სახაზინო პალატამ სიგარების შემმოწმებელ ექსპერტად თამბაქოს მეფაბრიკეები: კუპჩინიკოვი, კირიაფეტი და ლორენცი მიიწვია[12]. იმათ სიგარები მეორეხარისხოვნად მიიჩნიეს და ამავე ხარისხის ბანდეროლი დაადეს, ფაბრიკის იარლიყის მაგივრად კი სახაზინო ბეჭდის გამოყენების უფლება მისცეს. ყოველივე ამის შემდეგ სიგარები მანუფაქტურისა და შინაგანი ვაჭრობის დეპარტამენტს გადაეგზავნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ამ წამოწყებას არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

აღნიშნული ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები დაინტერესებულნი იყვნენ, განაპირა მხარეში მოეწყოთ თამბაქოს დამმუშავებელი საწარმოები ან შეექმნათ ნედლეულის ბაზა იმპერიის ფაბრიკებისათვის, მათთვის ხელსაყრელ პირობებში. მეფის რუსეთი გამოსავალს ეძებდა იმ დიდი ფინანსური ხარჯებისაგან, რაც საზღვარგარეთიდან თამბაქოს იმპორტს სჭირდებოდა.

„თამბაქოს დამმუშავებელი პირველი საწარმო („ფაბრიკა") საქართველოში მოაწყო მემამულე ნიკო ჩიჯავაძემ 1850 წელს, თავის მამულში, ქუთაისის გუბერნიის სოფელ სებეკაში[13]. ამჟამად ასეთი სოფელი ქუთაისის მახლობლად აღარ არის, სებეკა ვანს შეერთებია და მისი ნაწილი გამხდარა[14]. ნიკო ჩიჯავაძე იმერელი მემამულე და

---

[10] ЦГИАЛ, ф. 398, оп. 14, д. 4522, ფურც. 22—23.

[11] იქვე.

[12] ЦГИАЛ, ф. 18, оп. 2, д. 1378, ფურც. 10—15.

[13] დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[14] ვ. რატიანი, მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. VI, ნაკ. 1, თბ., 1961, გვ. 180.

ბურჟუაზიული წამოწყებების თაოსანი იყო, მოწყობილი ჰქონდა აბრეშუმსახვევი, ბამბეულისა და თამბაქოს „ფაბრიკები“[15]. 1850 წელს ნ. ჩიჯავაძის თამბაქოს „ფაბრიკას 500 მანეთის მზა პროდუქცია გამოუშვია[16], 1852 წელს კი მხოლოდ 200 მანეთისა[17]. ნ. ჩიჯავაძის აღნიშნული საწარმოების მზა პროდუქცია ქუთაისის გუბერნიაში საღდებოდა.

რუსეთსა და თურქეთს შორის 1853—1856 წწ. წარმოებულმა ომმა, რომელიც ისტორიაში ყირიმის ომის სახელწოდებითაა ცნობილი, თავისი დაღი დააჩნია დასავლეთ საქართველოს მეურნეობას. საომარ მოქმედებათა შედეგად ნ. ჩიჯავაძის საწარმოებში პროდუქციის გამოშვება შეწყდა, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ აქ კვლავ განახლდა მუშაობა[18]. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ცნობით, 1856 წელს გუბერნიაში თამბაქოს 1 ფაბრიკა ყოფილა, მაგრამ მოუსავლიანობის გამო იგი პროდუქციას ვერ უშვებდა[19]. რა თქმა უნდა, მოუსავლიანობაზე გავლენა თავისთავად საომარმა ოპერაციებმა იქონია.

მართალია, ომის დამთავრების შემდეგ ნ. ჩიჯავაძის თამბაქოს „ფაბრიკამ“ მუშაობა განაახლა, მაგრამ იგი მაინც დღეგრძელი არ აღმოჩნდა და მალე შეწყვიტა არსებობა. რამ გამოიწვია მისი დახურვა, ჩვენთვის ცნობილი არ არის.

თამბაქოს დამმუშავებელი ფაბრიკები თბილისში მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ჩნდება.

ამ დროის თამბაქოს დამმუშავებელ საწარმოებს შორის ყურადღებას იქცევს ამბარცუმ და ბენიამინ ენფიანჯიანცების ფაბრიკები“, რომელთაც საფუძველი 50-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარათ. 1859 წლის 22 ოქტომბერს ამბარცუმ ენფიანჯიანცმა წერილით მიმართა მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს კრუზენშტერნს: „8 წლის წინათ თბილისში გავხსენი თამბაქოსა და პაპიროსის ფაბრიკა, მე მუდამ ვცდილობდი ჩემი ნაწარმისათვის საუკეთესო ხარისხი და ზომიერი ფასი შემენარჩუნებია. თურქეთის კომპანიის დროსაც კი, როცა თამბაქოს ფასი 2—3-ჯერ გაიზარდა, მე იმავე ფასებში ვყიდიდი, როგორც მანამდე. ამით შევძელი კავკასიისა და ამიერკავკასიის პუბლიკის ნდობის მოპოვება. მე გამოვიგონე ყველა ხარის-

---

[15] ЦГИАЛ, ф. 1281, оп. 6, д. 165, ფურც. 24.
[16] საქ. ცსია, ფ. 4, აღ. 5, საქ. 125, ფურც. 57.
[17] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 7, д. 370 ფურც. 50.
[18] დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 76.
[19] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 9, д. 101, ფურც. 244.

ხის ჩემი ნაწარმისათვის სხვადასხვა იარლიყი, რომელიც მალე ცნობილი გახდა ამიერკავკასიაში და კავკასიაში როგორც ნიშანი ჩემი ნაწარმის საუკეთესო ხარისხისა.

ეხლა ჩემმა ძმამ ბენიამინმა, რომელიც სხვასთანაა კომპანიაში, გადაიღო ჩემი იარლიყები და ზედ თავისთან ერთად ჩემი სახელიც მიაწერა, რაც ყოვლად დაუშვებელია"[20]. ამ დოკუმენტში აშკარად ჩანს მრეწველთა შორის არსებული კონკურენცია. ამასთანავე ჩვენ ვგებულობთ, რომ ა. ენფიანჯიანცს იმ დროისათვის საკმაოდ კარგად მოწყობილი თამბაქოს ფაბრიკა ჰქონია, რომ მის მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია საქართველოს, კავკასიისა და ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში საღდებოდა.

გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებულია საყურადღებო ცნობა ბობილევის ფაბრიკის შესახებ, რომელიც ქუთაისის მახლობლად არსებულა. 1854 წელს ბობილევი განცხადებით მიმართავს ამიერკავკასიის მოსახლეობას, რომ მისი საკუთარი ფაბრიკა უშვებს მაღალი ხარისხის თამბაქოს დიდძალ პროდუქციას, რომლის შეძენა შეიძლება საკუთრივ ქუთაისში და თბილისში კ. გილეს საკონდიტრო მაღაზიაში. მართლაც, ბობილევის მზა ნაწარმის პრეისკურანტში 15 დასახელების სხვადასხვა პაპიროსი და აგრეთვე სიგარა იხსენიება[21]. სხვა წლების მონაცემები აღნიშნული ფაბრიკის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ 60 -იანი წლების თამბაქოს ფაბრიკების შესახებ სრული ცნობები არ გვაქვს, რაც თავისთავად სიძნელეს გვიქმნის, უფრო ფართოდ განვიხილოთ ამ მონაკვეთზე მათი განვითარების პროცესი. საქმეს ართულებს ის მდგომარეობაც, რომ გუბერნატორთა ანგარიშების უწყისებში, სადაც მოცემულია ცნობები საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შესახებ, ხშირად თამბაქოს ფაბრიკები საერთოდ არ იხსენიება[22], თუმცა ისინი თბილისის სამრეწველო განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობდნენ. ჩვენ ხელთ არსებული ძუნწი მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება მხოლოდ წარმოდგენა შეგვექმნას მათი განვითარების შესახებ.

60-იანი წლებისათვის საინტერესო ცნობებია შემონახული ბენიამინ ენფიანჯიანცისა და კარაპეტ ენფიანჯიანცის თბილისში არსებული ფაბრიკების შესახებ.

---

20 ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი R—S 2513—16.

21 გაზ. «Кавказ», № 21, 1854, გვ. 84.

22 იხ. საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8954; იქვე, საქ. 8977 და სხვ.

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ «ფაბრიკანტებმა» ითხოვეს თავიანთ ნაწარმზე გერბის გამოსახვის უფლება, რაც მხოლოდ მნიშვნელოვან სარეწებს ეძლეოდათ, მათი წარმოების დათვალიერება დაევალა ინჟინერ ბიჰოლდს. უკანასკნელი წერს: «Осмотрев их заведения, в которых занимаются от 10 до 15 малолетних рабочих и не нашел ничего отличительного от других подобных здесь заведений»...[23].

ინჟინერ ბიჰოლდის ცნობა იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ფაბრიკებში თითქოს მხოლოდ 10-დან 15-მდე მცირეწლოვანი მუშა იყო დასაქმებული, სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. წარმოება, რომელიც საკუთარ პროდუქციაზე მფავრობისაგან ოფიციალურად გერბის გამოსახვის უფლებას ითხოვს, მის მთავარ სამუშაო ძალას როგორ შეიძლება 10—15 მცირეწლოვანი ბავშვი წარმოადგენდეს. თამბაქოს ფაბრიკული დამუშავება ძნელი და რთული საქმეა, ის მუშისაგან მეტად დიდი ენერგიის დახარჯვას მოითხოვს და არა გვგონია, ზემოხსენებული მეფაბრიკეები ისეთი გულუბრყვილონი ყოფილიყვნენ, რომ მცირეწლოვანთა შრომის იმედით მთავრობისაგან ასეთი პასუხსაგები უფლება მოეთხოვათ.

მართალია, თამბაქოს ფაბრიკებში ბავშვთა შრომას დიდი გამოყენება ჰქონდა, მაგრამ არსად შევხვედრიეართ ისეთ გამონაკლისს, რომ მათ გარდა წარმოებაში დასაქმებული არ ყოფილიყვნენ უფროსი ასაკის მუშები.

ბენიამინ ენფიანჯიანცი 1863 წ. აგვისტოში საკუთარ ფაბრიკაზე წერდა: «Понимая существенную пользу этого промисла я в последнее время круг действия его увеличил, так что в заведении этом, не говоря о подсмастерьях, постоянно занимаются более 15 человек, нанятые мною за известную плату, и что сбыт моих произведений, по самой умеренной цене, достаточно представляет средство к пропитанию моего и их семейству»[24].

როგორც მოტანილი საბუთიდან ჩანს, წარმოებაში 15-ზე მეტი სრულასაკოვანი მუშა და მათ გარდა კიდევ ხელქვეითი მცირეწლოვანი მუშებიც ყოფილან დასაქმებულნი, რაც საშუალებას გვაძლევს აღნიშნულ დროისათვის ბ. ენფიანჯიანცის ფაბრიკაში 25-მდე მუშა მაინც ვივარაუდოთ.

---

[23] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობი განვითარება საქართველოში XIX ს. 30—60-იან წლებში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები III, თბ., 1958, გვ. 165.

[24] საქ. ცსია, ფ. 10, საქ. 740, ფურც. 78; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 165.

საინტერესო ცნობა არის დაცული ს. ანდრონიკაშვილისეული თამბაქოს ფაბრიკის შესახებაც. სოლომონ ანდრონიკაშვილი ქართველ მემამულეთა პროგრესულად მოაზროვნე იმ ნაწილს ეკუთვნოდა, რომლებმაც მე-19 საუკუნეში ხელი მიჰყვეს მეურნეობების რაციონალურად მოწყობას. მრავალ სასოფლო-სამეურნეო კულტურასთან ერთად მას სოფელ ბაკურციხეში თამბაქოს პლანტაცია ჰქონდა გაშენებული. ს. ანდრონიკაშვილს მეთამბაქოეობის დარგში დიდი წარმატებებისათვის მიეღწევია და მისი დამმუშავებელი ფაბრიკაც მოუწყვია, 1867 წლის ცნობით, ის ყოველწლიურად 200-მდე ფუთ თამბაქოს ჰყიდდა; ერთი ფუთი თამბაქო 8 მანეთიდან 10 მანეთამდე იყიდებოდა. ფაბრიკის მზა პროდუქციის ფასი კი შემდეგი იყო: 100 ცალი პაპიროსი 30 კაპიკიდან 80 კაპიკამდე ღირდა, ამავე რაოდენობის სიგარა 2-დან 3 მანეთამდე და ყუთში შეფუთული ერთი გირვანქა თუთუნი 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე[25]. სხვა ცნობა ანდრონიკაშვილის ფაბრიკის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება.

1863 წელს თბილისში თამბაქოს 7 ფაბრიკა იყო, რომელთა შრომისნაყოფიერება 21.000 მანეთს შეადგენდა[26]. 1864 წელს თამბაქოს 8 ფაბრიკა 24000 მანეთის პროდუქციას უშვებდა[27], 1865 წელს 10 ფაბრიკა 30000 მანეთისას[28], 1870 წელს მათი რაოდენობა 25-მდე გაიზარდა, პროდუქციის ღირებულება 50000 მანეთს შეადგენდა, მუშათა რიცხვი 250 კაცს აღწევდა[29], 1871 წელს კი თბილისში თამბაქოს 29 ფაბრიკა იყო, რომელთა პროდუქციის ღირებულება 51000 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რიცხვი 210 კაცს[30].

ზემოაღნიშნული ფაბრიკების მზა პროდუქცია ძირითადად საქართველოში და ამიერკავკასიის სხვადასხვა გუბერნიებში საღდებოდა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში 70-იანი წლების დასაწყისში თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობის სწრაფი ზრდა შეიმჩნევა. მხოლოდ მთავარობის მიერ 1873 წელს შემოღებულმა ახალმა სააქციზო სისტემამ ცოტა ხნით შეაფერხა მისი განვითარება.

მოსამზადებელი სამუშაოები აღნიშნული ღონისძიებისათვის ჯერ კიდევ 1871 წელს დაიწყო; ამ წლის მაისსა და ნოემბერში მეფის-

---

[25] საქ. ცსია, ფ. 1414, აღ. I, საქ. 21, ფურც. 7.
[26] ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 10, д. 137, фурц. 64.
[27] საქ. ცსია, ფ. 414, აღ. I, საქ. 10, ფურც. 237.
[28] ЦГИАЛ, ф. 1268, опq 11, д. 142, фурц. 70.
[29] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 79, ფურც. 44.
[30] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. I, საქ. 8990, ფურც. 47.

ნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ მთავრობაში პროექტი წარადგინა ამიერკავკასიაში ახალი სააქციზო სისტემის შემოღების შესახებ; 1873 წლის 13 თებერვალს იმპერატორმა დაამტკიცა ახალი რეფორმის პროექტი, რაც გამოქვეყნდა იმავე წლის 14 მარტს; ამ თვეშივე შეიქმნა ამიერკავკასიის სააქციზო სამმართველო და ექვსი საოკრუგო სააქციზო სამმართველო, რომელთაც თავდაპირველად მხოლოდ ფაბრიკა-ქარხნების აღწერა ევალებოდათ. 1873 წლის 1 ივლისიდან ამიერკავკასიაში ახალი სააქციზო სისტემა შემოიღეს, რომლის ძალითაც თამბაქოს ფაბრიკების გახსნა მხოლოდ კავკასიის ხელისუფლების ნებართვით იყო შესაძლებელი[31].

„1870-იანი წლების ბოლოდან, ბათუმისა და ყარსის ოლქების წარმოქმნისა და საერთოდ ქვეყნის მწარმოებლურ ძალთა განვითარებაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრათა შემდეგ, ამიერკავკასია დაიყო შვიდ სააქციზო ოკრუგად"[32]. მაგრამ, როგორც პროფ. პ. გუგუშვილი მართებულად შენიშნავს, სააქციზო ოკრუგების ტერიტორიული დანაწილება არ ემთხვეოდა მხარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და იგი ძირითადად წმინდა საგადასახადო ინტერესებიდან გამომდინარეობდა. მაგალითად, თბილისის გუბერნიაში შემავალი სიღნაღის, თელავისა და თიანეთის მაზრები სააქციზო სამმართველოს მეექვსე ოკრუგში ნუხასა და ზაქათალასთან ერთად იყო მოქცეული;.

საქართველოში სააქციზო სამმართველოს ორი ოკრუგი დაარსდა: პირველში თბილისის გუბერნია შედიოდა, ხოლო მეორეში ქუთაისის გუბერნია, რომელთანაც ერთად იყო სოხუმი და ბათუმი.

სააქციზო ღონისძიების გატარებიდან პირველი სამი წლის მანძილზე ფაბრიკებს ეძლეოდათ შეღავათი აეღოთ 1500 მანეთის ბანდეროლი, სამი წლის შემდეგ კი არა ნაკლები 3000 მანეთისა: მხოლოდ ამის შემდეგ კავკასიის ხელისუფლებას უნდა გაეუქმებინა შეღავათი და დაედგინა ბანდეროლების დამზადების ერთიანი ზომა[33]. ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებს მთავრობისაგან შეღავათი ბანდეროლების დამზადებისათვის 1879 წლის ივლისის დასაწყისამდე ჰქონდათ, მაგრამ ამ დროისათვის მისი ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა.

---

31 გაზ. «Кавказ» № 172, 1893, გვ. 1, 2.

32 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტომი IV, წ I, თბ., 1965, გვ. 74.

33 ЦГИАЛ, ф. 1152, оп. 8, д. 6, ფურც. 77—78.

აი, რას წერდა ხელშემშლელი მიზეზების შესახებ კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე სვიატოპოლკ მირსკი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში: «Принимая во внимание, что при существующей в Закавказском Крае вследствие минувшей войны дороговизне на все жизненые потребности (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები 1877—1878 წწ. —დ. ც.) возвышение налогов вообще, падающих главнейшим образом на потребителей, представляется несвоевременным, я признал необходимым установление обязательного выбора для табачных фабрик здешнего края бандеролей в высшем противосуществующего размера отложить до более благоприятных к тому обстоятельств, по наступлении которых не замедлю представить окончательные соображения относительно прекращения означенной льготы»[34].

შეკმნილი მდგომარეობა, როგორც ჩანს, სახელმწიფო ორგანოების მსჯელობის საგნად გამხდარა. 1879 წლის 11 ივლისს ფინანსთა მინისტრი გრეიგი კავკასიის ხელისუფლების წარმომადგენელს ამის შესახებ ატყობინებდა: ...«Милостивый государь, что я с своей стороны полагал бы возможным обязательный выбор бандеролей для этих фабрик в пониженном размера не менее 3000 р. в год отстрочить еще на три года, т. е. по 1 июля 1882 г. с тем. чтобы о сем было объявлено фабрикантам, с предупреждением, что по истечении сего срока табачные фабрики в Закавказском Крае по обязательному выбору бандеролей будут сравнены с фабриками других местностей»[35].

სააქციზო ღონისძიებას ზოგი ნაკლოვანი მხარეც გამოუჩნდა, რაც ძირითადად ფოთლოვანი თამბაქოს მიმოქცევას, დაცვასა და გადამუშავებას შეეხებოდა. ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა თამბაქოს აქციზის ახალი პროექტი, რაც 1882 წლის 18 მაისს იმპერატორმა დაამტკიცა, ხოლო ცხოვრებაში მომდევნო წლის პირველი იანვრიდან გატარდა.

„1882 წ. წესდებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კონტროლი ფოთლოვან თამბაქოს მიმოზიდვაზე, დააწესა საწყობებსა და ფაბრიკებში მისი შენახვის მოწესრიგებული აღრიცხვა, ხოლო ფოთლოვანი თამბაქოს გადამუშავების, მისი მზანაკეთობის ფაბრიკიდან გამოშვებისა და გაყიდვის მთელი პროცესი დაუმორჩილა აღრიცხვი-

---

[34] ЦГИАЛ, 1268, оп. 24, д. 148, ფურც. 9.

[35] იქვე, ფურც. 10.

სა და კონტროლის რიგ ახალ წესებს. ზუსტად განისაზღვრა, რომ თამბაქოს სახაზინო შემოსავალი შეადგენს: 1. თამბაქოს მზანაწარმის აქციზი, რაც აიღება თამბაქოს ნაკეთობაზე დადებული ბანდეროლის სახით; 2. თამბაქოს ფაბრიკების და ფოთლოვანი თამბაქოს და თამბაქოს ნაკეთობის გასაყიდ დაწესებულებათა (ადგილთა) მფლობელობის პატენტის მოსაკრებელი და 3. შემოზიდულ ფოთლად და მზანაწარმ თამბაქოს ბაჟი"[36].

1882 წლის წესდებას ერთი დადებითი მხარეც ჰქონდა: თუ მანამდე თამბაქოს ფაბრიკების გახსნა მხოლოდ ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში იყო დაშვებული, ამიერიდან კანონით მათი მოწყობა არაქალაქურ დასახლებულ პუნქტებშიაც იყო ნებადართული[37].

რა თქმა უნდა, ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება მთავრობის სასარგებლოდ იყო მიმართული, რათა მას მეტი შემოსავალი ჰქონოდა თამბაქოზე არაპირდაპირი გადასახადისაგან.

1873 წ. სააქციზო სისტემის ცხოვრებაში დამკვიდრებამ ბევრი წვრილი თამბაქოს ფაბრიკის დახურვა გამოიწვია, შედარებით მსხვილი თამბაქოს ფაბრიკები კი განაგრძობდნენ არსებობას. ჩვენს მიერ ნახმარი ტერმინი მსხვილი „ფაბრიკები" პირობითია და ის სრულებითაც არ გამოხატავს კაპიტალისტური ფაბრიკის ცნებას, რომლის შესახებ ჩვენ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

სააქციზო სისტემის გატარების წელს საქართველოში თამბაქოს 17 ფაბრიკა იყო, აქედან თბილისის გუბერნიაში 15, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში მხოლოდ 2. აღნიშნულ წელს თამბაქოს ფაბრიკებში დამზადდა და ბანდეროლი გაუკეთდა 3254 ფუთსა და 69 გირვანქა თამბაქოს.

თამბაქოს ფაბრიკებიდან წლიური პროდუქციის ღირებულებით გამოირჩეოდნენ ამბარცუმ ენფიანჯიანცის, ნიკოლოზ ბოზარჯიანცის და ალექსანდრე აზნაურეოვის ფაბრიკები.

1874 წელს გაფართოვდა თამბაქოს ფაბრიკების გეოგრაფიული არე: სიღნაღში გაიხსნა ალექსანდრე პარუხოვის ფაბრიკა[38], ხოლო სოხუმში გადამდგარი პორუჩიკის ალექსანდრე ჟუდროსი[39]. სულ აღნიშნულ წელს საქართველოში თამბაქოს 22 ფაბრიკაა. 1874 წელს

---

[36] პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტომი IV, წ. I, თბ., 1965, გვ. 15—16.

[37] იქვე, გვ. 17.

[38] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 61, ფურც. 36.

[39] იქვე, ფურც. 27.

ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკაში დამზადდა 6 300 000 ცალი პაპიროსი და 10 000 ცალი სიგარა: ალ. აზნაურიოვის ფაბრიკაში — 10 281 550 ცალი პაპიროსი, 72 350 ცალი სიგარა; ამბ. ენფიანჯიანცის ფაბრიკაში — 9 471 890 ცალი პაპიროსი, ქუთაისში პ. ბეტანოვის ფაბრიკამ 799 310 ცალი პაპიროსი გამოუშვა, ხოლო ივ. მეფისოვისა და „K" ფაბრიკამ 1 660 400 ცალი პაპიროსი[40].

1875 წელს საქართველოში თამბაქოს 20 ფაბრიკაა. აქედან თბილისის გუბერნიაში იყო 16, ხოლო 4 — ქუთაისის გუბერნიაში. თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკებში 706 მუშა იყო დასაქმებული, წლიური პროდუქციის ღირებულება კი 49 400 მანეთი ყოფილა[41], ეს უკანასკნელი ჩვენ სარწმუნო ცნობად არ მიგვაჩნია.

გუბერნატორის ანგარიშში ვკითხულობთ: თბილისის თამბაქოს 17 ფაბრიკის (სინამდვილეში კი უნდა იყოს 14[42]—დ. ც.) წლიური პროდუქციის ღირებულება 24 400 მანეთია, სიღნაღის 1 ფაბრიკისა 5000 მანეთი, ხოლო ახალციხის 1 ფაბრიკისა 20 000 მანეთი. ე. ი. ახალციხის თამბაქოს ერთმა ფაბრიკამ თითქმის იმდენივე მანეთის წლიური პროდუქცია გამოუშვა, რაც თბილისის 17 ფაბრიკამ ერთად. ეს ყოვლად შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ ახალციხის თამბაქოს ფაბრიკა ტექნიკური აღჭურვილობითა და მუშათა რაოდენობითაც ბევრად უფრო დაბლა იდგა, ვიდრე თბილისის ფაბრიკები. გუბერნატორის ანგარიშში აშკარა შეცდომაა. თუ გავითვალისწინებთ აღნიშნულს და ახალციხის ფაბრიკის წლიური პროდუქციის ღირებულებას 20000 მანეთის ნაცვლად 2000 მანეთს მივიჩნევთ, მაშინ 1875 წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულება იქნება 31 400 მანეთი, რაც უფრო სწორად მიგვაჩნია. თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკებში აღნიშნულ წელს დამზადდა და ბანდეროლი გაუკეთდა 13 502 ფუთ და 10,5 გირვანქა თამბაქოს, 77 097 500 ცალ პაპიროსსა და 211 000 ცალ სიგარას[43].

1876 წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებული წლიური პროდუქციის ღირებულება 132 529 მანეთს შეადგენდა, მუშათა რიცხვი კი 470 კაცს[44]. მოტანილი მონაცემები ზუსტი არ არის — 1877 წლის სათანადო ნუსხებში ბევრი ახლად

---

[40] იქვე, საქ. 61, ფურც. 36 და საქ. 36, ფურც. 21.
[41] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 8995, ფურც. 77.
[42] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 74, ფურც. 39, 42.
[43] იქვე, ფურც. 42.
[44] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9000, ფურც. 17.

გახსნილი თამბაქოს „ფაბრიკის“ წინა წლის მონაცემები არ იყო ნაჩვენები[45].

1876 წელს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში დამზადდა 163 777 ფუთი თამბაქო, 82 360 600 ცალი პაპიროსი და 270 600 ცალი სიგარა[46].

მოტანილი საარქივო მასალა საშუალებას გვაძლევს საერთო წარმოდგენა ვიქონიოთ ამ დროის თამბაქოს ფაბრიკებზე; მხედველობაში გვაქვს თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულების გაზრდა და ამავე დროს საქართველოს თამბაქოს სხვა ფაბრიკების მიერ მზა პროდუქციის წარმოების შესამჩნევი გადიდება: მოკლედ შევეხოთ იმდროინდელ საქართველოში არსებულ თამბაქოს ნაწარმის სარეალიზაციო სავაჭროებს, — ჩვენს მიერ მოტანილ მონაცემებში არ შედის თამბაქოს სარეალიზაციო საწყობები, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, თამბაქოს სავაჭროები საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და მის წინა პერიოდშიც გვხვდება, მაგრამ იმდროინდელი თამბაქოს დუქნები მეტად წვრილ სავაჭრო დაწესებულებებს წარმოადგენდნენ. ისინი ძირითადად თამბაქოს იმპორტზე იყვნენ დამოკიდებულნი, რაც თავისთავად გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ქვეყანაში თამბაქოს დამმუშავებელი ფაბრიკების შექმნამ და ამავე დროს საქართველოს სოფლის მეურნეობაში სასაქონლო მეთამბაქოეობის სწრაფმა განვითარებამ ხელი შეუწყო მისი სარეალიზაციო დაწესებულებების დიდად გამრავლებას.

საინტერესო ცნობა გვხვდება გაზეთ „დროებაში“ რაჟდენ ბედიანიძის თამბაქოს ნაწარმის სავაჭროს შესახებ. აღნიშნული სავაჭროს პატრონი ერთ-ერთ განცხადებაში აცნობებს თბილისის პატივცემულ საზოგადოებას, აგრეთვე გარეშე მცხოვრებლებსა და უფ. აფიცრებს კავკასიის ყველა პოლკებისას, რომ იმის, ბედიანიძის, „მალაზიიდამ, რომელიც იმყოფება ხაზინის სიახლოეს, ბაზრის ქუჩაზე, თამამშოვის სახლებში, მსურველს შეუძლია ზომიერი ფასებით იყიდოს ძალიან კარგი თვისების პაპიროზები სამსონის, ქეობეკის და ტრაპიზონის თამბაქოისა, სიგარები რიგისა, მოსკოვისა და სამზღვარ გარეთისა. უეზდის და გუბერნიის ქალაქებში, აგრეთვე ჯარების შტაბ-კვარტირებში დაბარების მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ

---

[45] იქვე, ფურც. 32.

[46] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 91, ფურც. 14, 34.

ფოჩტით პირდაპირ უფ. ბედიანიძის მაღაზინში. ვინც სამს მანეთზე მეტისას გამოიწერს, იმას თვითონ ბედიანიძე გაუგზავნის თავის ხარჯით ფოჩტითა"[47].

როგორც განცხადებიდან ჩანს, რ. ბედიანიძეს 1872 წელს თბილისში საკმაოდ მსხვილი თამბაქოს სავაჭრო ჰქონია, რომელშიც რუსულ, ლატვიურ და საზღვარგარეთულ სიგარებთან ერთად, სამსუნის, ქეობეკისა და ტრაპიზონის ჯიშის თამბაქოსაგან დამზადებული პაპიროსი იყიდებოდა; ეს უკანასკნელი კი, ჩვენი აზრით, ადგილობრივი ფაბრიკების მზა პროდუქცია უნდა ყოფილიყო. საყურადღებოა აგრეთვე განცხადებაში აქცენტირება ჯარის ნაწილებზე. მართლაც, ჯარი ხომ ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი იყო თამბაქოს ნაწარმისა.

1873 წელს საქართველოში თამბაქოსა და მისი ნაწარმის 665 სავაჭრო იყო, აქედან 98 მსხვილი და 567 წვრილი[48]; მომდევნო წელს მათი რაოდენობა 1415-მდე გაიზარდა: 337 მსხვილი სავაჭრო და 1078 წვრილი[49]. სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი 1875 წელს. აღნიშნულ წელს სავაჭროების რიცხვმა 1738 მიაღწია, მათ შორის 186 მსხვილი სავაჭრო იყო და 1542 წვრილი[50]. ე. ი. მსხვილი სავაჭრო 151 ერთეულით ნაკლებია წინა წლისაზე, ხოლო წვრილი სავაჭროების რიცხვი, პირიქით, გაზრდილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეიძლება ვაჭრებმა მოახერხეს თავიანთი სავაჭროების გამსხვილება, სპეციალიზებულ მაღაზიებად ქცევა, რისი შედეგიც უნდა იყოს დანარჩენი სავაჭროების დახურვა. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს 1876 წლის მონაცემებიდან. ამ წელს საქართველოში მხოლოდ 30 თამბაქოს მსხვილი სავაჭროა, ხოლო წვრილი სავაჭროების რიცხვი ისევ დიდია—1707[51]. ჩვენი აზრით, თამბაქოს მსხვილი სავაჭრო მაღაზიები, პირველ რიგში საქართველოს დიდ ქალაქებსა და სამაზრო ცენტრებში უნდა წარმოქმნილიყო. რაც შეეხება წვრილ სავაჭროებს, რა თქმა უნდა, გარკვეული პროცენტი აქაც იქნებოდა, მაგრამ ძირითადად ისინი მაინც სოფლურ დასახლებებში იარსებებდნენ.

70-იანი წლების თამბაქოს სავაჭროების შემოსავლისა და წლიური ბრუნვის ზუსტი მონაცემები სრულყოფილ წარმოდგენას შეგ-

---

[47] გაზ. „დროება", № 42, 1872, გვ. 24.

[48] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 36, ფურც. 21, 36.

[49] იქვე, საქ. 61 ფურც. 27, 38.

[50] იქვე, საქ. 74, ფურც. 23, 44.

[51] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 36, ფურც. 15, 35.

ვიქმნიდა მათი სიდიდისა და ხასიათის შესახებ. სამწუხაროდ, საარქივო დოკუმენტებში აღნიშნული დროისათვის მხოლოდ არასრული ცნობებია შემონახული, რაც ზოგად წარმოდგენას იძლევა იმდროინდელ თამბაქოს სავაჭროებზე. რაც შეეხება შემდგომი პერიოდის ამავე ხასიათის სავაჭროებს, მათზე უფრო სრული ცნობები მოგვეპოვება. მათ შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, როცა თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში კაპიტალისტური ფაბრიკების გაჩენასა და მათ განვითარებას შეეხებით.

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომმა საქართველოში რუსეთის მრავალრიცხოვანი ჯარის ნაწილების შემოსვლა აუცილებელი გახადა, ცხოვრებისა და მუშახელის სიძვირე გამოიწვია, ამ უკანასკნელმა კი გავლენა ფაბრიკა-ქარხნების შემცირებაზე მოახდინა. „მიუხედავად ფაბრიკა-ქარხნების" რაოდენობრივი შემცირებისა (ლაპარაკია მხოლოდ თბილისზე) ერთი რამ ფაქტია, წარმოების მასშტაბი იზრდებოდა და მან 1878 წლის მძიმე პირობებშიც კი წინა წლის პროდუქციის ღირებულებას 195.669 მან. გადააჭარბა"[52].

მართალია, აღნიშნულ დროს ადგილი ჰქონდა სამრეწველო ობიექტების რაოდენობრივ შემცირებას, მაგრამ თამბაქოს ფაბრიკები არა თუ კლებულობს, არამედ ერთი ორად გამრავლდა კიდეც. როგორც ჩანს, ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი ფაქტორი ჯარის სიმრავლეს უნდა მივაკუთვნოთ. ეს ნიშანდობლივია საერთოდ ომის პერიოდისათვის.

თბილისის გუბერნატორი 1877 წლის ანგარიშში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის მდგომარეობის შესახებ წერდა: «Сумма производительности 581 действовавших заводов и фабрик в губернии достигла в отчетном году до 2.123.242 руб. сер., сравнительно с предшествовашим годом более на 24.231. руб. сер.

Усиление производительности главным образом зависело от увеличения числа табачных фабрик, коих с отчетном году было 35, вместо 11—бывших в 1876 году.

Открытие вновь 24 табачных фабрик обуславливается увеличением употребления табаку местного приготовления как от увеличения числа воиск в крае, так и от уменьшения ввоза табаку из заграницы и внутренних губерний России в обработанном виде»[53].

---

[52] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1961, გვ. 72.

[53] საქ. ცსია, ფ. 17, აღ.1, საქ.9000, ფურც. 24.

1877 წელს თბილისის გუბერნიაში თამბაქოს 35 ფაბრიკა იყო, მათი წლიური პროდუქციის ღირებულება 1325 29 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 470 კაცს[54]. ამავე წელს ქუთაისის გუბერნიაში მეფისოვის, სააკოვისა და ბეტანოვის თამბაქოს სამი ფაბრიკა არსებობდა[55].

მართალია, ომი 1878 წლის იანვარში დამთავრდა, მაგრამ ბერლინის კონგრესის დამთავრებამდე (ე. ი. 1878 წ. ივლისამდე) მხარეში კვლავ დაძაბული მდგომარეობა რჩებოდა, რაც თავისთავად ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარის დგომას უცილებელს ხდიდა, ჯარს თამბაქოთი კვლავ ადგილობრივი ფაბრიკები ამარაგებდნენ.

აღნიშნულ წელს საქართველოში თამბაქოს 32 ფაბრიკა მუშაობდა, აქედან 27 თბილისის გუბერნიაში, 5 კი ქუთაისის გუბერნიაში. ამ წელს ფოთში თამბაქოს „ფაბრიკა" გახსნა იქაურმა ვაჭარმა ო. ავერინომ[56]. საერთოდ, 1878 წელსაც ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციის ღირებულების ზრდა ისევ თამბაქოს ფაბრიკების ხარჯზე ხდება. თბილისის გუბერნატორი ხსენებული წლის ანგარიშში ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა: ...«Отчетном году вследствие дороговизны на все жизнение потребности, а в особенности и по случаю высоких цен на рабочие руки, фабриканты и заводчики вынуждены были прекратить производство слишком на 40 фабриках и заводах: в гор. Тифлисе две бумажно-ткацкие фабрики, вырабатывавшие в год разного рода тканей на сумму свыше полмиллиона руб. сер. и другие... увеличение же производительности фабрик и заводов в отчетном году сравнительно с 1877 годом почти на 200 т. руб. сер. главным образом зависит от развития деятельности табачных фабрик, обороты которых в отчетном году достигли до миллиона руб. сер., между тем, как предшествующем году производительность их еще не было достаточно выяснена, вследствие недавного покрытия оных, почему в ведомости за 1877 год обороты многих фабрик не были показаны»[57].

1878 წლის მონაცემების უზუსტობა სააქციზო სამმართველოს უწყისებშიც შეიმჩნევა, რომლებშიც თბილისის გუბერნიაში აღნიშნული წლისათვის მხოლოდ თამბაქოს 15 ფაბრიკა იხსენიება, მაშინ

---

[54] იქვე, ფურც.; 71, ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 23, д. 219, ფურც. 2.
[55] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 92, ფურც. 54.
[56] იქვე, საქ. 1128, ფურც. 8, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9001, ფურც. 64, 65.
[57] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9001, ფურც. 31, 32.

როდესაც საკუთრივ თბილისში იყო 24, მთელ გუბერნიაში კი 27 ფაბრიკა. როგორც გუბერნატორის ანგარიშიდან ჩანს, ამ ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულება არასრული მონაცემებით 1 103 283 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 374 კაცს[58].

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თუ რა იყო ამ დროს ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულება. გუბერნატორი მათ შესახებ მხოლოდ შემდეგს აღნიშნავს: «Табачные фабрики приготовляют свой произведения лучшего качества с большею изящностью»[59]. ისე კი საქციზო სამმართველოს უწყისებში მოცემულია ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის რაოდენობა, რომელიც თბილისის გუბერნიის ფაბრიკების მონაცემებთან ერთად გვაქვს მოტანილი.

1878 წელს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში დამზადდა: 17 473 ფუთი და 31—1/4 გირვანქა თუთუნი, 109 498 200 ცალი პაპიროსი და 35 600 ცალი სიგარა[60].

საინტერესო ცნობები გვხვდება 1879 წლისათვის ახალციხის თამბაქოს ფაბრიკების შესახებ. აღნიშნულ წელს ახალციხეში არსებობს ძმები კაიაბეკოვებისა და არუთინ შეგოევის თამბაქოს 2 ფაბრიკა. პირველში 20000 მანეთის ღირებულების 500 ფუთი თამბაქო გადაამუშავეს, ხოლო მეორეში 25000 მანეთის ღირებულების 600 ფუთი თამბაქო. კაიაბეკოვების თამბაქოს ფაბრიკაში დასაქმებული იყო 12 ოსტატი და 2 შავი მუშა, შეგოევის ფაბრიკაში კი 15 ოსტატი და 2 შავი მუშა. პირველში—თამბაქოს საპრელი 3 დაზგა იდგა, ხოლო ა. შეგოევის ფაბრიკაში—4. ორივე ფაბრიკა ამუშავებდა როგორც ადგილობრივ, ისე საზღვარგარეთიდან შემოტანილ ნედლეულს. წარმოებისათვის საჭირო მასალას, საპაპიროსე ქაღალდს და სხვ. მეფაბრიკეები იძენდნენ ახალციხეში, ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და საზღვარგარეთაც. მათ მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია საღდებოდა როგორც ახალციხის მაზრაში, ისე მთელს ამიერკავკასიაში.[61]

1879 წელს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში დამზადდა და

---

[58] იქვე, ფურც. 65.
[59] ЦГИАЛ, ф. 1268 оп. 24, д. 231, ფურც. 214.
[60] საქ სცა, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1128, ფურც. 8, 26.
[61] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 485, ფურც. 5,6.

ბანდეროლი გაუკეთდა 15269 ფუთს და 46 გირვანქა თუთუნს, 98 190 000 ცალ პაპიროსს და 222 400 ცალ სიგარას[62].

საომარი მდგომარეობიდან გამოსვლისა და მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება, კერძოდ, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა წინ წავიდა.

1880 წელს თბილისის გუბერნიაში ფაბრიკა-ქარხნების რიცხვმა 722 მიაღწია, მათი წლიური ბრუნვა 6 361 733 მანეთს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 3 275 617 მანეთით მეტი იყო. ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობა 1879 წელთან შედარებით 8-ით გაიზარდა, მუშათა რაოდენობა 6798 კაცით.

ფაბრიკა-ქარხნების წარმოების ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა (თითქმის 3 მილიონ მანეთზე მეტით) ფრანგი ქვეშევრდომის რიშარის დახმარებით მირზოევის მიერ საკუთარი ფაბრიკის განახლებამ გამოიწვია. სხვა დანარჩენი სამრეწველო საწარმოების დახასიათებისათვის საინტერესოა თვით გუბერნატორის ნათქვამს გავეცნოთ: ...«За тем из числа прочих действующих фабрик обращают на себя внимание 21 табачная фабрика, обороты которых простираются до 1 214 335 руб.

9 пильных заводов — 350 000 руб. и 2 шелкомотальных фабрики, сработавших год на 204 00 руб.

Остальние затем фабрики и заводы не обращают своею деятельностью особого внимания»[63].

იმავე წელს ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს 7 ფაბრიკაში დამზადდა 3793 ფუთი და 25 გირვანქა თუთუნი, 7 614 600 ცალი პაპიროსი და 40400 ცალი სიგარა[64].

რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წლების ომის შედეგად მოხდა ისტორიული საქართველოს მიწა-წყლის შემოერთება. ამ წლის ივლისში ბერლინში შემდგარი ევროპის დიდი სახელმწიფოების კონგრესის ხელშეკრულებით „რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიერ წინათ მოტაცებული ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, სახელდობრ: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი—ოლთისი. ამათგან აჭარა-ქობულეთს, შავშეთსა და კლარჯეთს რუსული ადმინისტრაციული დაყოფით ეწოდათ ბათუმის ოლქი (1886 წლიდან ბათუმის ოლ-

---

[62] საქ. ცსია, ფ 370, აღ. 1, საქ. 132, ფურც. 25, 49.

[63] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9004; ფურც. 29 იქვე, საქ. 670, ფურც. 20.

[64] იქვე, საქ. 143, ფურც. 8.

ქი ქუთაისის გუბერნიას შემოუერთდა), ხოლო კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი (ოლთისი) ყარსის ოლქის შემადგენლობაში შევიდა[65].

უკვე 1880 წელს ბათუმში საფუძველი ეყრება თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობას. ამ წელს აქ თამბაქოს ფაბრიკები გახსნეს. იქაურმა სოვდაგრებმა ტიმოთე გოგელიამ, გრიგოლ მჭედლოვმა და ივანე აზნაუროვმა. ტ. გოგელიას ფაბრიკაში 1880 წელს დამზადდა 1 115 200 ცალი პაპიროსი და 490 ფუთი და 30 გირვანქა თუთუნი, გ. მჭედლოვის ფაბრიკაში 201 400 ცალი პაპიროსი და 417 ფუთი თუთუნი[66].

ვფიქრობთ, ამ ფაბრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია თავდაპირველად საკუთრივ ბათუმსა და მეზობლად მდებარე კუთხეებში გასაღდებოდა.

1880 წელს ქუთაისში თამბაქოს ფაბრიკა გახსნა სტეფანე ფირალოვმა[37]. შემდეგში მისმა წარმოებამ დიდ წარმატებას მიაღწია. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში აღნიშნული ფაბრიკის დაარსების თარიღად 1874 წელია ნაჩვენები, რაც შეცდომად მიგვაჩნია, სხვა არც ერთ საარქივო საბუთში სტეფანე ფირალოვის ფაბრიკა 1880 წლამდე არ იხსენიება[68].

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ვნახეთ, თამბაქოს ფაბრიკები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მე-19 საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარების საქმეში. ეს განსაკუთრებით თბილისის მრეწველობას ეტყობა, სადაც თავმოყრილი იყო თამბაქოს ფაბრიკების თითქმის 85%. 70-იანი წლების ბოლოსათვის თბილისის 15 ფაბრიკიდან თითოეულზე საშუალოდ 55 000 მანეთამდე ღირებულების პროდუქცია და 40-მდე მუშა მოდიოდა. აღნიშნული დროისათვის შედარებით პატარა მასშტაბის საწარმოებს წარმოადგენდნენ: ქუთაისის, ახალციხის, სიღნაღისა და ფოთის თამბაქოს ფაბრიკები; თითოეულ მათგანში საშუალოდ 15 მუშა იყო დასაქმებული და წლიური პროდუქციის ღირებულება 20 000 მანეთს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში თამბაქოს ფაბრიკებმა თავიანთი განვითარების დონითა და წარმოებული

---

[65] საქართველოს ისტორია, 1, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 521

[66] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 143, ფურც. 8.

[67] იქვე.

[68] ЦГИАЛ, ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 39.

პროდუქციის გამოშვებით გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, ისინი მაინც ძსხვილ მანუფაქტურულ საწარმოებად დარჩნენ.

70-იანი წლების ბოლოსათვის თამბაქოს ფაბრიკებში ხელის დაზგების, ხოლო ცოტა უფრო გვიან ხელის მექანიკური დაზგების გაჩენა ძომავალი სამრეწველო ტექნიკური გადატრიალების დასაწყისად უნდა მივიჩნიოთ. მართალია, თამბაქოს ზოგიერთ ფაბრიკაში 80-იან წლებში გაჩნდა ცხენისძრავიანი მანქანები, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა მრეწველობის ამ დარგში სრულ სამრეწველო შემობრუნებას. თვით სამრეწველო გადატრიალების შემდეგაც თამბაქოს ფაბრიკაში ხელით შრომა მაინც დიდხანს გამოიყენებოდა, რასაც ძირითადად თამბაქოს დამუშავების სპეციფიკა განაპირობებდა.

ზემოხსენებულ ფაბრიკებში შრომის პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობდა: თამბაქოს ფოთლის დახარისხება, დაჭრა, აწონა, უუთებში ჩაწყობა, პაპიროსის დამზადება, ამ უკანასკნელისათვის ტარის გაკეთება, გარკვეული რაოდენობით პაპიროსის ქაღალდის კოლოფებში ჩაწყობა და ბოლოს ბანდეროლის გაკეთება[69].

თამბაქოს ფაბრიკებში მუშათა შორის წამყვანი ადგილი დამხარისხებლებს ეჭირათ; მათი ექვსდღიური ხელფასი 4-დან 6 მანეთამდე აღწევდა. მუშათა შემდეგ კატეგორიას თამბაქოს მჭრელები შეადგენდნენ, მათი ხელფასი კვირაში 5-დან 7, ზოგჯერ ცხრა მანეთსაც აღწევდა, რაც ამ მეტად მძიმე შრომისათვის მცირე საზღაურს წარმოადგენდა. მუშათა შემდეგი კატეგორია ჩამწყობი მუშები იყვნენ, რომელთა მოვალეობას თამბაქოს აწონა და მისი უუთებში ან ტომრებში ჩალაგება შეადგენდა, მათი კვირეული ხელფასი 4-დან 6 მანეთამდე აღწევდა.

მეპაპიროსე მუშების ხელფასი გამოძუშავებაზე იყო დამოკიდებული; თითეულს 1000 ცალი პაპიროსის დამზადებაში 50 კაპიკი ეძლეოდა. დახელოვნებული ოსტატი 3000-დან 4000-მდე პაპიროსს ამზადებდა, საშუალო ოსტატი კი 2500 ცალს[70].

ზემოჩამოთვლილ მუშებს გარდა ფაბრიკებში დაკავებულნი იყვნენ მზა პროდუქციაზე ბანდეროლების გამკეთებელი და მტვირთავი მუშები, მაგრამ ისინი თამბაქოს ფაბრიკის მუშებისათვის სპეციფიკურ სამუშაოებს არ ასრულებდნენ.

სამუშაო დროის ხანგრძლიობა თამბაქოს ფაბრიკებში 12 საა-

---

[69] Ст. Гулишамбаров, Обзор фабрик и заводов Тифлисской губ., Тиф., 1888, გვ. 30.

[70] სტ. გულიშამბაროვი, დასახ. ნაშრ., გვ. 31.

თით განისაზღვრებოდა. მუშებს საუზმისა და სადილისათვის განკუთვნილი დრო არ ჰქონდათ. ქალთა შრომა არ იყო გამოყენებული 80-იანი წლების ბოლომდე. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის შემდგომმა განვითარებამ კაპიტალისტურ წარმოებაში ქალთა შრომის გამოყენებაც აუცილებელი გახადა, რომლის შესახებაც ჩვენ ცალკე აღვნიშნავთ.

იმისათვის, რომ შევისწავლოთ 80-იანი წლების თამბაქოს „ფაბრიკების" განვითარება, მათი წარმოების დონე, ტექნიკური ბაზა, მუშა ხელი და სხვა, წლიური მონაცემების საშუალებით დავახასიათებთ ზოგიერთს, რომელთაგან ბევრმა შემდგომში ახალი, კაპიტალისტური საწარმოს სახე მიიღო.

მეორე გილდიის ვაჭრის ამბარცუმ ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თბილისში არსებობდა 1852 წლიდან. 1880 წელს აქ დამზადდა 590 ფუთი და 6 გირვანქა თუთუნი და 3305400 ცალი პაპიროსი — სულ 11724 მანეთისა და 90 კაპიკის ღირებულების მზა პროდუქცია. „ფაბრიკაში" თამბაქოს საჭრელი 8 დაზგა იდგა და 80 მუშა მუშაობდა[71].

1885 წელს აქვე დამზადდა: 1000 ფუთი თამბაქო 9000 მანეთის ღირებულებისა, სხვადასხვა ხარისხის 5 000 000 ცალი პაპიროსი 35 000 მანეთის ღირებულებისა; სულ ფაბრიკამ ამ წელს 44 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა.

1886 წელს ფაბრიკაში დამზადდა 4 000 000 ცალი პაპიროსი და 40 ფუთი თამბაქო, სულ 30 000 მანეთის ღირებულებისა[72].

აღნიშნულ წლებში ენფიანჯიანცის ფაბრიკაში 45 მუშა იყო დასაქმებული, ამათგან 5 მცირეწლოვანი. სამ მუშას ტექნიკური განათლება ჰქონდა, ორს კი საერთო განათლება. სამუშაო დრო 10 საათს გრძელდებოდა. მუშების დღიური ხელფასი 30 კაპიკიდან 1 მანეთს აღწევდა[73]. წლის განმავლობაში ფაბრიკა ამუშავებდა ადგილობრივ (რომელშიც პროცენტულად საკუთარი პლანტაციებიდან მოყვანილი თამბაქო სჭარბობდა) 1000 ფუთ და იმპორტულ 50 ფუთ თამბაქოს. აღნიშნული დროისათვის მზა პროდუქცია ამიერკავკასიაში საღდებოდა[74].

მეორე გილდიის ვაჭარმა ნიკოლოზ ბოზარჯიანცმა თამბაქოს

---

[71] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 64.

[72] საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 73.

[73] იქვე, ფურც. 73.

[74] საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 592, ფურც. 77.

ფაბრიკა 1858 წელს გახსნა[75], ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ფაბრიკა 1873 წლის 29 ივლისს გადაკეთდა[76].

1880 წელს აქ იდგა თამბაქოს საკრელი 8 დაზგა, ქაღალდის საკრელი 1 მანქანა და 25 დანა. აღნიშნულ წელს ფაბრიკამ გადაამუშავა 1200 ფუთი ადგილობრივი და 150 ფუთი იმპორტული თამბაქო. დასაქმებული იყო 70 მუშა (5 უცხოელი)[77].

თუ როგორ იზრდებოდა ფაბრიკის წარმოების დონე, ამას ქვემოთ მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს; 1881 წელს ფაბრიკაში დამზადდა:

თუთუნი — 1047 ფუთი
პაპიროსი — 21 695 000 ცალი
სიგარა — 19 400 ცალი[78].

1883 წელს:

I ხარისხის პაპიროსი — 18 883 7000 ცალი
II ხარისხის პაპიროსი — 11 737 200 ცალი[79]
სულ ორივე ხარისხის — 30 620 900 ცალი.

დაზგების რაოდენობა — 19[80].

1884 წელს:

I ხარისხის პაპიროსი — 17 659 000 ცალი
II ხარისხის პაპიროსი — 36 268 000 ცალი
სულ ორივე ხარისხის — 53 927 000 ცალი[81].

1885 წელს:

თუთუნი: I ხარისხის 11 890 გირვანქა, 19 024 მანეთის ღირებულების
II ხარისხის 39 810 გირვანქა, 35 829 მანეთის ღირებულების
III ხარისხის 70 700 გირვანქა, 76 063 მანეთის ღირებულების.

---

[75] იქვე, ფურც. 74.
[76] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 177, ფურც. 21.
[77] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 33.
[78] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 150, ფურც. 31.
[79] სტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დისახ. ნაშრ., გვ. 27.
[80] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 176, ფურც. 31.
[81] სტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 28.

პაპიროსი: I ხარისხის 17 649 000 ცალი, 70 596 მან. ღირებულების
II ხარისხის 26 208 000 ცალი, 72 414 მან. ღირებულების.
საზღვარგარეთ ტრანზიტით გაიტანეს 70 000 ცალი პაპიროსი. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში დამზადდა 219 235 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია[82].

1886 წელს:
თუთუნი: I ხარისხის 12 070 გირვანქა
II ხარისხის 38 440 გირვანქა
III ხარისხის 26440 გირვანქა
სულ სამივე ხარისხის 76 950 გირვანქა.

პაპიროსი: I ხარისხის 21 185 000 ცალი
II ხარისხის 31 734 000 ცალი
სულ ორივე ხარისხის 52 919 000 ცალი პაპიროსი.

1886 წელს ნ. ბოზარჯიანცის ფაბრიკამ 210 048 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა[83]. აქ 260 მუშა იყო დასაქმებული, ამათგან 50 მცირეწლოვანი ვაჟი. სამუშაო დრო 10 საათს გრძელდებოდა. მუშათა ხელფასი კვირაში 1-დან 10 მანეთს აღწევდა. მუშათა ნაკადი ფაბრიკაში ცვალებადი იყო; ივნისში, ივლისში, აგვისტოსა და სექტემბერში, სხვა თვეებთან შედარებით, მუშათა ნაკლებობა შეიმჩნეოდა, რაც, ჩვენი აზრით, ნედლეულის ნაკლებობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ შემოდგომიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა საწარმოში პლანტაციებიდან შემოტანილი ნედლეულის რაოდენობა იზრდებოდა, რაც დიდ სამუშაოებს მოითხოვდა, მუშახელის რაოდენობაც დიდდებოდა.

1886 წელს ბოზარჯიანცის ფაბრიკაში თამბაქოს ხელით საჭრელი 12 დაზგა მოქმედებდა. გამოშვებული მზა პროდუქცია კავკასიაში, რუსეთსა და საზღვარგარეთ საღდებოდა[84].

ძმები სალი-ოღლების თამბაქოს ფაბრიკა 1873 წელს დაარსდა[85]. იგი 1886 წლიდან მ. საფაროვის ხელში გადავიდა[86]. 1880 წელს ფაბრიკაში დამზადდა 23 889 000 ცალი პაპიროსი და 139 892 გირვანქა

---

82 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 592, ფურც. 74.

83 იქვე, საქ. 654, ფურც. 77.

84 საქ. ცსია, ფ. 204 აღ. 1, საქ. 592, სფურც. 74.

85 სტ. გ ულ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26. საქ. ცსია ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფ ნრც. 62.

86 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 62.

თამბაქო, სულ 650 000 მანეთის ღირებულებისა: ბანდეროლი გაუკეთდა 96069 მანეთის ღირებულების პროდუქციას. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში 225 კაცი მუშაობდა, თამბაქოს საჭრელი 3 მანქანა და 32 დაზგა იდგა. მზა პროდუქცია საღდებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთში[87]. 1881 წელს ფაბრიკაში დამზადდა 24 887 000 ცალი პაპიროსი და 3992 ფუთი თამბაქო[88]; 1883 წელს დამზადდა 10 678 000 ცალი პირველი ხარისხის პაპიროსი და 3 392 000 ცალი მეორე ხარისხისა[89]; 1885 წელს კი 9 200 400 ცალი პირველი ხარისხის და 6 702 000 ცალი მეორე ხარისხის პაპიროსი.

როგორც აღვნიშნეთ, ძმები სალი-ოღლების ფაბრიკა 1886 წლიდან მ. საფაროვის ხელში გადავიდა. ამ დროს საფაროვის ფაბრიკაში 100 მუშა მუშაობდა, რომელთაგან 10 ასაკოვანი მამაკაცი იყო. მუშათა კონტინგენტი არამყარი იყო იმავე მიზეზით, რაზედაც ბოზარჯიანცის საწარმოსთან დაკავშირებით ზევით მივუთითეთ. სამუშაო დრო 10 საათს გრძელდებოდა. მუშათა ხელფასი თვეში 20-დან 50 მანეთს შეადგენდა. მუშათა შორის 5 უცხოელი იყო, დანარჩენი კი ადგილობრივი მცხოვრები. 5 მუშას მიღებული ჰქონდა ტექნიკური განათლება. ფაბრიკაში თამბაქოს ხელით საჭრელი 12 დაზგა იდგა და წლიურად 35 000 ფუთ ადგილობრივ თამბაქოს ამუშავებდა. მზა პროდუქცია გაქონდათ ამიერკავკასიაში, რუსეთსა და სპარსეთში. 1886 წელს მ. საფაროვის ფაბრიკამ 150 000 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია გამოუშვა[90].

თბილისელი მეორე გილდიის ვაჭრის მელქო ვარნაზოვის თამბაქოს ფაბრიკა 1873 წელს დაარსდა[91]. ერთ-ერთ საარქივო საბუთში მისი დაარსების თარიღად 1875 წელია აღნიშნული, რაც შეცდომაა. 1885 წლის მონაცემებში თვით მეფაბრიკე საკუთარი საწარმოს გახსნის თარიღად 1873 წელს მიუთითებს[92].

1880 წელს ფაბრიკაში დამზადდა 9 401 800 ცალი პაპიროსი და 20399 გირვანქა თუთუნი. ნედლეული შემოჰქონდათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, აგრეთვე ნოვოროსიისკისა და ყუბანის ოლქებიდან. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში 60 მუშა იყო დასაქმებული,

---

[87] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 150, ფურც. 31.
[88] სტ. გ ულ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.
[89] იქვე, გვ. 28.
[90] საქ ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 72.
[91] საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 75.
[92] იქვე, საქ. 592, ფურც. 76.

ტექნიკური აღჭურვილობა კი მხოლოდ თამბაქოს საჭრელი უამძრაო 4 დაზგით განისაზღვრებოდა. მზა პროდუქცია ძირითადად ამიერკავკასიაში საღდებოდა[93]. 1881 წელს ფაბრიკაში დამზადდა 5 944 800 ცალი პაპიროსი, 517 ფუთი და 20 გირვანქა თუთუნი[94]. 1885 წელს ფაბრიკაში 40 მუშა მუშაობდა, ამათგან 10 ასაკოვანი მამაკაცი იყო. მათი დღიური ხელფასი 50 კაპიკიდან 1 მანეთსა და 50 კაპიკს შეადგენდა: სამუშაო დროის ხანგრძლიობა კი 12 საათს. ამ წელს დამზადდა სხვადასხვა ხარისხის 7 950 700 ცალი პაპიროსი, 20 000 მანეთის ღირებულებისა, და 873 ფუთი სხვადასხვა ხარისხის თუთუნი, 10 100 მანეთის ღირებულებისა; სულ აღნიშნულ წელს ფაბრიკამ გამოუშვა 30 100 მანეთის პროდუქცია[95]. 1886 წელს ფაბრიკამ გადაამუშავა 1622 ფუთი და 23 გირვანქა ადგილობრივი თამბაქო, რომლისაგანაც დამზადდა პირველი ხარისხის პაპიროსი 1 640 000 ცალი, მეორე ხარისხის 6 842 400 ცალი, თუთუნი მეორე ხარისხის 22 190 გირვანქა და მესამე ხარისხისა 20 650 გირვანქა. სულ სსენებულ წელს ფაბრიკამ გამოუშვა 42 463 მანეთის მზა პროდუქცია[96]; ე. ი. 12 543 მანეთით მეტი ვიდრე წინა 1886 წელს, რაც საწარმოს მასშტაბის ზრდის ნათელი მაჩვენებელია.

იაგორ დავითის ძე ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკა თბილისში 1879 წლის იანვარში გაიხსნა. 1880 წელს აქ 64 მუშა მუშაობდა, ამათგან 34 დახელოვნებული ოსტატი, 30 უბრალო მუშა. ამ წელს საწარმოში თამბაქოს საჭრელი უამძრაო 12 დაზგა იდგა. ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 24338 მანეთსა და 70 კაპიკს შეადგენდა[97]. 1881 წელს საწარმოში 7 269 000 ცალი პაპიროსი და 881 ფუთი თუთუნი დამზადდა[98], ხოლო 1884 წელს— 2 144 500 ცალი პირველი ხარისხის პაპიროსი და 4 083 400 ცალი მეორე ხარისხისა[99]. 1885 წელს საწარმომ 42 295 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, მათ შორის 5 277 000 ცალი პაპიროსი 26 467 მანეთისა და 1 137 ფუთი თუთუნი 15 828 მანეთის ღირებულებისა. მომდევნო 1886 წელს ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 50 441 მანეთსა და 50 კაპიკს მიაღწია, რაც

---

[93] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 42.
[94] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 150, ფურც. 31.
[95] საქ ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 592, ფურც. 76.
[96] იქვე, საქ. 654, ფურც. 75.
[97] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 66.
[98] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 150, ფურც. 31.
[99] სტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

8 146 მანეთით მეტია ვიდრე წინა 1885 წლის პროდუქციის ღირებულება. ფაბრიკაში დამზადდა 4 948 300 ცალი სხვადასხვა ხარისხის პაპიროსი და 1 188 ფუთი თუთუნი. 1883 წლიდან აქ 2 ცხენისძრავიანი დაზგა იდგა[100]. 1886 წელს საწარმოში სამუშაო დროის ხანგრძლივობა 12 საათი იყო, მუშათა კვირეული ხელფასი კი 3 მანეთიდან 10 მანეთს აღწევდა. ფაბრიკის მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია ამიერკავკასიაში საღდებოდა[101].

პოღოს საგოიანცის თამბაქოს ფაბრიკა თბილისში 1873 წელს ამუშავდა[102]. 1880 წელს მასში გადამუშავდა 1250 ფუთი თამბაქო და გამოშვებული იქნა 4 025 000 ცალი პაპიროსი, სულ აღნიშნულ წელს ფაბრიკამ 51 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა. მუშათა რაოდენობა 40 კაცს შეადგენდა, მათ შორის ოსტატი არ ყოფილა[103]. მათი სამუშაო დრო 12 საათს გრძელდებოდა. დღიური ხელფასი კი 20 კაპიკიდან 1 მანეთამდე აღწევდა. 1886 წელს ფაბრიკამ თამბაქოს საკრელი 8 დაზგა იდგა. წლის განმავლობაში იგი ამუშავებდა 2 091 ფუთ ადგილობრივ და 641 ფუთ რუსეთიდან შემოტანილ სამახორკე თამბაქოს. მზა პროდუქცია ამიერკავკასიაში საღდებოდა[104].

არტემ გალეგოვის თამბაქოს ფაბრიკა 1879 წელს დაარსებულა. ერთ-ერთ საარქივო დოკუმენტში[105] და აგრეთვე სტეფანე გულიშამბაროვის წიგნში «Обзор фабрик и заводов Тифлисской губернии», მისი დაარსების თარიღად 1886 წელია მიჩნეული[106]. ეს გაურკვევლობა მეფაბრიკის მიერ შედგენილი 1880 და 1886 წლების მონაცემებიდან მომდინარეობს, სადაც საკუთარი საწარმოს დაარსების თარიღად იგი ჯერ 1879 წელს ასახელებს, შემდეგ კი 1886 წელს. აქ, როგორც ჩანს, მეფაბრიკეს სათანადო ნუსხის შევსებისას შეცდომა მოუვიდა; რადგან წლიური მონაცემები 1886 წ. შეეხებოდა, მან იმ გრაფაშიც, რომელშიც მისი საწარმოს დაარსების თარიღი უნდა აღნიშნულიყო, ალბათ უნებლიედ 1886 წელი ჩაწერა.

1880 წელს საწარმოსათვის ადგილზე შეიძინეს 1601 ფუთი და 15 გირვანქა თამბაქო, რომლისგანაც დამზადდა 4203800 ცალი პა-

---

100 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 207, ფურც. 46.
101 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 76.
102 იქვე, ფურც. 72.
103 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 68.
104 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 72.
105 იქვე, ფურც. 74.
106 სტ. გ უ ლ ი შ ა მ ბ ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

პიროსი, 973 ფუთი და 20 გირვანქა თუთუნი და სხვა. ფაბრიკაში თამბაქო შემოჰქონდათ კახეთიდან, აღბულახიდან, გურიიდან, ნოვოროსიისკიდან და იმერეთიდან. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში 35 მუშა მუშაობდა, ამათგან 15 ოსტატი და 20 მუშა იყო. საწარმოს ტექნიკური აღჭურვილობა თამბაქოს საჭრელი უამძრაო 8 დაზგიო განისაზღვრებოდა[107]. 1886 წელს ფაბრიკაში 28 000 მანეთის მზა პროდუქცია დაამზადეს. სამუშაო დრო 12 საათს გრძელდებოდა. პროდუქცია ამიერკავკასიაში საღდებოდა[108].

თბილისელი მეორე გილდიის ვაჭრის სიმონ დავლიანოვის თამბაქოს ფაბრიკა 1873 წლიდან არსებობდა[109]. 1880 წელს საწარმოში დამზადდა 8 413 000 ცალი პაპიროსი და 31 630 გირვანქა თუთუნი; სულ გამოშვებული იქნა 20 112 მანეთისა და 30 კაპიკის ღირებულების პროდუქცია. ფაბრიკაში ნედლეული შემოჰქონდათ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან, აგრეთვე ნოვოროსიისკიდან და ყუბანის ოლქიდან. 1880 წელს ნოვოროსიისკში ერთი ფუთი თამბაქო 8 მანეთად და 50 კაპიკად შეუსყიდიათ, იმერეთში 8 მანეთად და კახეთში 8 მანეთად და 50 კაპიკად. მზა პროდუქციის რეალიზაცია ძირითადად ამიერკავკასიაში და თერგის ოლქში ხდებოდა. წარმოებაში დასაქმებული იყო 50 მუშა. მასში თამბაქოს საჭრელი უამძრაო 5 დაზგა იდგა[110].

ალექსანდრე ჯიმშეროვისა და „K" თამბაქოს ფაბრიკა 1873 წელს დაარსდა. მასში 1880 წელს თამბაქოს საჭრელი 6 დაზგა და 40 დანა იყო. მუშათა რიცხვი 69 კაცს შეადგენდა, ამათგან 44 ოსტატი და 25 მუშაა. ფაბრიკაში ნედლეული მოჰქონდათ გურიიდან, იმერეთიდან, ბორჩალოდან და ნოვოროსიისკიდან. საწარმოსათვის საჭირო მასალასა და ნედლეულსაც საკუთრივ თბილისშიც იძენდნენ. მზა პროდუქცია საღდებოდა ბაქოში, შემახაში, სალიანში, გროდნოში, ყიზლარში, ახალციხეში, გორში, თბილისსა და სხვა ადგილებში[111].

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ გამოყენებულ საარქივო დოკუმენტში აღნიშნული არ არის, თუ რამდენი მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა აღნიშნულ წელს ალ. ჯიმშეროვის ფაბრიკამ.

---

107 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 38.

108 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 74.

109 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 44.

110 იქვე.

111 იქვე, ფურც 105.

გრიგოლ აზნაურეოვის თამბაქოს ფაბრიკა თბილისში 1873 წლიდან არსებობდა. 1880 წელს აქ თამბაქოს საჭრელი 13 დაზგა და 1 დამქუცმაცებელი მანქანა (Крошильная машина) იდგა. მუშათა რაოდენობა 50 კაცს შეადგენდა, რომელთაგან 20 ოსტატი იყო და 30 მუშა. ფაბრიკაში ნედლეული მოჰქონდათ ფეოდოსიიდან, იალტიდან, ნოვოროსიისკიდან, ბათუმის ოლქიდან, აღბულახიდან, კახეთიდან, ქუთაისიდან, აგრეთვე საზღვარგარეთიდანაც. აღნიშნულ წელს ფაბრიკამ გადაამუშავა 1497 ფუთი და 33 გირვანქა ადგილობრივი თამბაქო, ხოლო საზღვარგარეთისა 102 ფუთი. ადგილზე 1 ფუთი თამბაქო ფაბრიკამ 15 მანეთად შეიძინა, იმპორტულში კი 65 მანეთი გადაიხადა. 1880 წელს ფაბრიკაში დამზადდა:

პაპიროსი — 5540000 ცალი
სიგარა — 22100 ცალი
თუთუნი — 1030 ფუთი.

აღნიშნულ წელს გრ. აზნაურეოვს თამბაქოს ფაბრიკის წლიური ბრუნვა 100 000 მანეთს შეადგენდა[112].

ფრანგი ქვეშევრდომის ავგუსტ ტოლეს თამბაქოს ფაბრიკა თბილისში 1879 წელს ამუშავდა. აქ 22 მუშა მუშაობდა — 10 ოსტატი და 12 მუშა. 1880 წელს საწარმოში დამზადდა 1 240 980 ცალი პაპიროსი, 40 000 ცალი სიგარა, 110 ფუთი და 26,5 გირვანქა თუთუნი, სულ 22 450 მანეთისა. აღნიშნულ წელს შეიძინეს 774 ფუთი ადგილობრივი თამბაქო და 65 ფუთი და 11 გირვანქა იმპორტული; ერთი ფუთი ადგილობრივი თამბაქო შეძენილი იქნა 10 მანეთად, ხოლო ამავე რაოდენობის იმპორტული თამბაქო — 150 მანეთად. საწარმოში თამბაქოს საჭრელი 4 დაზგა იდგა. მისი პროდუქციის რეალიზაცია ადგილზე ხდებოდა[113].

1880 წელს თბილისში ტ. აკოპჯანიანცისა და გ. ზოხრობიანცის თამბაქოს ფაბრიკა მუშაობდა, რომლის დაარსების თარიღი ჯერჯერობით ვერ დავადგინეთ. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში თამბაქოს ხელით საჭრელი 5 დაზგა იდგა, ოსტატისა და უბრალო მუშის რაოდენობა ერთად 15 კაცს შეადგენდა. წლის განმავლობაში ფაბრიკაში დამზადდა 4 200 000 ცალი პაპიროსი და 26 000 გირვანქა თუთუნი, სულ 62 000 მანეთის ღირებულებისა. იგი ძირითადად თურქულ თამბაქოს ამუშავებდა, მზა პროდუქცია კი ამიერკავკასიაში საღდებოდა[114].

---

112 იქვე, ფურც. 40.
113 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 486, ფურც. 40.
114 იქვე, ფურც. 70.

გრიგოლ კაიაბეკოვის თამბაქოს ფაბრიკა ახალციხეში, აქ მოტანილი საარქივო საბუთის მიხედვით, 1886 წლის 1 ივნისს გახსნილა. ფაბრიკაში თამბაქოს ხელით საპრელი 3 დაზგა იდგა, მუშათა რაოდენობა 17 კაცს შეადგენდა, სამუშაო დროის ხანგრძლივობა 12 საათს უდრიდა. 1886 წლის მეორე ნახევარში ფაბრიკამ 7 933 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვა, რომელიც ძირითადად ახალციხესა და მის ახლო მდებარე ადგილებში საღდებოდა. ფაბრიკას გრ. კაიაბეკოვი ძმასთან ერთად მართავდა[115].

ივანე მეფისოვისა და იაკობ პალაშოვის თამბაქოს ფაბრიკა ქუთაისში 1873 წელს დაარსდა. 1880 წელს ფაბრიკაში დამზადდა:

თუთუნი — 1 156 ფუთი და 5 გირვანქა
პაპიროსი — 2 134 000 ცალი
სიგარა — 18 000 ცალი[116].

1881 წელს დამზადდა: თუთუნი 1 128 ფუთი და 25 გირვანქა
პაპიროსი 2 382 000 ცალი
სიგარა 24 000 ცალი[117].

1882 წელს დამზადდა: თუთუნი 42 585 გირვანქა
პაპიროსი 2 196 000 ცალი
სიგარა 24 000 ცალი[118].

1884 წელს ფაბრიკაში ხელის უამძრაო 6 დაზგა იდგა, აგრეთვე სასიგარე განყოფილებაში სიგარის დამამზადებელი 1 დაზგა მუშაობდა. 1885 წელს მუშათა რაოდენობა 18 კაცს შეადგენდა. ამ წელს ფაბრიკამ 42 000 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია გამოუშვა, რომლის რეალიზაცია ქუთაისის გუბერნიაში ხდებოდა. წლის განმავლობაში საწარმომ 2 117 ფუთი და 7 გირვანქა თამბაქო გადაამუშავა[119].

სტეფანე ფირალოვის თამბაქოს ფაბრიკა ქუთაისში 1874 წლის მეორე ნახევარში გაიხსნა. 1880 წელს აქ დამზადდა:

თუთუნი — 648 ფუთი და 15 გირვანქა
პაპიროსი — 2 427 000 ცალი[120].

1881 წელს დამზადდა:
თუთუნი — 808 ფუთი და 10 გირვანქა

---

115 საქ. სცია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 62.
116 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 143, ფურც. 8.
117 იქვე, საქ. 150, ფურც. 8.
118 იქვე, საქ. 165, ფურც. 3.
119 ЦГИАЛ , ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 38.
120 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 143, ფურც. 8.

პაპიროსი — 3 129 000 ცალი
სიგარა — 14 000 ცალი[121].

1882 წელს დამზადდა:

თუთუნი — 59 950 გირვანქა
პაპიროსი — 3 7778 000 ცალი
სიგარა — 90 000 ცალი[122].

1884 წელს ფაბრიკაში თამბაქოს საჭრელი უამძრაო 9 დაზგა იდგა, სასიგარე განყოფილებაში — სიგარის დასამზადებელი 1 დაზგა[123]. 1885 წელს აქ 53 მუშა მუშაობდა, რომელთაგან 13 მცირეწლოვანი ვაჟი იყო. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში დამზადდა:

თუთუნი — 3 000 ფუთი
პაპიროსი — 5 000 000 ცალი
სიგარა — 871 000 ცალი

1885 წელს სულ საწარმოში 80 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია დამზადდა. წლის განმავლობაში აქ გადამუშავდა 3000 ფუთი აღგილობრივი და 100 ფუთი საზღვარგარეთიდან შემოტანილი ნედლეული. მზა პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა ამიერკავკასიასა და რუსეთში[124].

ლაზარე ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკა ბათუმში 1881 წელს დაარსდა[125], ხოლო გაიხსნა 1882 წელს[126]. აღნიშნულ წელს ფაბრიკაში დამზადდა 24255 გირვანქა თუთუნი და 176 000 ცალი პაპიროსი. 1884 წელს ბინიათ-ოღლის საწარმოში თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო 6 დაზგა იდგა[127] და 26 მუშა მუშაობდა. ამავე წელს მის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულება 30 800 მანეთს შეადგენდა; ნაწარმის რეალიზაცია ძირითადად ბათუმში წარმოებდა[128].

ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად 80-იანი წლების საქართველოში თამბაქოს ფაბრიკები ჰქონდათ: ბათუმში ტიმოთე გოგელიას, გიორგი მჭედლოვს, ივანე აზნაურიოვს, გრიგოლ რამბიბის, მიხაილ კანდილის, კაფადროვსა და ნაზარიანცს; ქუთაისში ფეიქაროვს და ფოთში ავერინოს, ახალციხეში ჯიმშეროვსა და შეგოევს და სხვა. ჩამოთვლილი

---

121 იქვე, საქ. 150, ფურც. 8.
122 იქვე, საქ. 156., ფურც. 3.
123 იქვე, საქ. 207, ფურც. 20.
124 ЦГИАЛ, ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 39.
125 იქვე, ფურც. 40.
126 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1132, ფურც. 8.
127 იქვე, საქ. 207, ფურც. 20.
128 ЦГИАЛ, ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 40.

ფაბრიკები მეტნაკლებად ისეთივე ხასიათის საწარმოებს წარმოადგენდნენ, რომელთა შესახებაც ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ. ზოგიერთი საწარმო სხვადასხვა მიზეზის გამო დღეგრძელი არ ყოფილა და რამდენიმე ხნის შემდეგ არსებობას წყვეტდა. ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა სიღნაღში მეფაბრიკე პარუხოვის საწარმო. თბილისის გუბერნატორის 1883 წლის ანგარიშში ამის შესახებ ვკითხულობთ: ...«В Сигнагском уезде единственная табачная фабрика за недостаточности средств фабриканта было закрыта»[120]. რა თქმა უნდა, პარუხოვის საწარმო გამონაკლისს არ წარმოადგენდა.

იყო შემთხვევებიც, როდესაც ფაბრიკა ერთი მეპატრონისაგან მეორის ხელში გადადიოდა. მაგალითად: თბილისში ძმები სალი-ოღლების საწარმო 1886 წელს მ. საფაროვის ხელში გადავიდა, ხოლო ქუთაისში ივ. მეფისოვის საწარმო 1889 წელს ფილიპე კაჭარავას კუთვნილებად გამხდარა. ასეთ დროს ახალი მფლობელი ფაბრიკის დაარსებას ძველი თარიღით არ აღნიშნავს, ან სრულიად არ იხსენიებს ყოფილი პატრონის სახელს, რაც თავისთავად ართულებს საქმეს, რათა ზუსტად გაირკვეს ამა თუ იმ თამბაქოს ფაბრიკის დაარსების დრო.

რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს 80-იანი წლების თამბაქოს დამმუშავებელი პრეწველობის შესახებ, სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე შევეხებით მისი განვითარების საერთო დონეს აღნიშნული დროისათვის. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შეეეხოთ თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკურ ბაზასაც.

ზემოთ ვნახეთ, რომ ცალკეული საწარმოს ტექნიკურ აღჭურვილობას 80-იან წლებში ძირითადად თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო დაზგები წარმოადგენდნენ, თუმცა ამ დროს ზოგიერთ მათგანში,მაგალითად იაგ. ფირალოვის ფაბრიკაში, 2 ცხენისძრავიანი დაზგა იდგა, ნ. ბოზარჯიანცისა და გრ. აზნაუროვის ფაბრიკებში თამბაქოს საჭრელი თითო მანქანა მოქმედებდა. ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს აღნიშნული დროისათვის თამბაქოს მრეწველობაში გაბატონებული მდგომარეობა მანქანებს ჰქონდეს. რა თქმა უნდა, 80-იანი წლებისათვის საქართველოს ზოგიერთ თამბაქოს „ფაბრიკაში" მანქანური წარმოებაზე გადასვლა იწყება, მაგრამ აქ ორთქლის ძრავა და მანქანათა სისტემა ძირითადად 90-იან წლებში მკვიდრდება.

1884 წელს საქართველოში არსებული თამბაქოს 17 ფაბრიკის

---

[120] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 1700, ფურც. 22; ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 47, ფურც. 20.

ტექნიკური აღჭურვილობა შემდეგნაირად წარმოგვიდგება: თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო დაზგა — 107, სასიგარე 4 და 2 ორთქლის ძრავიანი დაზგა[130]. მომდევნო წელს თამბაქოს 10 ფაბრიკაში იდგა 95 თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო დაზგა, 2 სასიგარე და 1 ორთქლის[131]. 1890 წელს თამბაქოს 12 ფაბრიკაში იდგა: 4 ორთქლის ძრავიანი, 2 სასიგარე და 72 თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო დაზგა[132]. 1891 წელს თამბაქოს 11 ფაბრიკაში ორთქლის ძრავიანი დაზგების რაოდენობა 7-მდე გაიზარდა, თამბაქოს ხელით საჭრელი უამძრაო დაზგების რაოდენობა კი 76 შეადგენდა, სასიგარე დაზგა მხოლოდ ორი იყო[133]. 1893 წელს ამდენსავე თამბაქოს ფაბრიკაში იდგა: 17 ორთქლის ძრავიანი, 2 მექანიკური, 1 სასიგარე და 51 თამბაქოს ხელით საჭრელი დაზგა[134].

ზემოთ მოტანილი საარქივო მასალა დამადასტურებელია იმ მოსაზრებისა, რომ თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში 90-იანი წლების დასაწყისიდან თანდათან ფეხს იკიდებს მანქანური წარმოება, ხოლო აღნიშნული წლებისა ბოლოსათვის, როგორც ამას შემდგომში ვნახავთ, იგი გაბატონებულ სახეს ღებულობს.

ახლა მოკლედ შევეხოთ თამბაქოს ფაბრიკების განვითარების საერთო დონეს. 1881 წელს საქართველოში თამბაქოს 26 ფაბრიკა მოქმედებდა, მათი შრომის ნაყოფიერება 1 342 484 მანეთს შეადგენდა, მუშათა რაოდენობა კი 906 კაცს[135]. აქედან თბილისის გუბერნიაში 22 ფაბრიკა იყო, რომელთა შრომისნაყოფიერება 1 188 484 მანეთით განისაზღვრებოდა, მუშათა რაოდენობა კი 823 კაცით. საკუთრივ თბილისის თამბაქოს 18 ფაბრიკის შრომისნაყოფიერება 1 165 000 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 780 კაცს. ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს 4 ფაბრიკაში 83 მუშა მუშაობდა, შრომის ნაყოფიერება 154 000 მანეთს შეადგენდა. 1883 წელს საქართველოში არსებული თამბაქოს 18 ფაბრიკის შრომისნაყოფიერება 1 014 400 მანეთს შეადგენდა, მუშათა კონტინგენტი კი 705 კაცს.[136]. 1885 წელს ჩვენში მხოლოდ თამბაქოს 8 მოქმედი ფაბრიკა

---

130 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 207, ფურც. 20, 46.

131 იქვე, საქ. 236, ფურც. 71, 107.

132 იქვე, საქ. 461, ფურც. 55, 77.

133 იქვე, საქ. 1408, ფურც. 97, ფ. 371, აღ. 1, საქ. 81, ფურც. 62.

134 იქვე, საქ. 666, ფ. 47, 2607.

135 ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 1, д. 4559, фурц. 169, 292.

136 ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 1, д. 47, фурц. 53; საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 136, ფურც. 17.

იყო, ამათგან 6 თბილისისა და 2 ქუთაისის გუბერნიაში. მათი შრომისნაყოფიერება 578 400 მანეთი იყო, ხოლო მუშათა რაოდენობა 593 კაცს შეადგენდა[137]. 1886 წელს საქართველოში არსებული თამბაქოს 12 ფაბრიკის შრომის ნაყოფიერება 853 525 მანეთს უდრიდა, მუშათა რაოდენობა კი 475 კაცს. ამ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა ქ. ქუთაისის თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონე. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი 1886 წლის ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მრეწველობის განვითარების დარგში ქალაქ ქუთაისს, ბათუმის შემდეგ, მეორე ადგილი უკავია (რა თქმა უნდა, ქუთაისის გუბერნიაში, — დ. ც.), სადაც წინა პლანზე თამბაქოს ფაბრიკები დგასო; თუ 1885 წელს ქუთაისის თამბაქოს 2 ფაბრიკაში 63 კაცი მუშაობდა და მათი შრომისნაყოფიერება 58 000 მანეთს შეადგენდა, 1886 წელს იმავე ფაბრიკების შრომისნაყოფიერება 189 585 მანეთით განისაზღვრებოდა, მუშათა რაოდენობა კი 80 კაცით. ქალაქის სამრეწველო საწარმოების შრომისნაყოფიერების 4/5 თამბაქოს ფაბრიკებზე მოდიოდა, დანარჩენი 1/5 კი აგურის, ტყავის, საპნის, სამეთუნეო, საჯაგრისო და სხვა ნაწარმზე[138].

საერთოდ, ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონე შემდგომ წლებშიაც იზრდება. 1889 წელს ქუთაისის გუბერნიის გუბერნატორი ამის შესახებ წერდა: ...«Заметно прогрессирует табачные фабрики, обороты коих с каждым годом заметно увеличиваются...»[139] მიუხედავად ამისა, თბილისის გუბერნიისა და საკუთრივ თბილისის თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობას მაინც ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ამიერკავკასიაში. ეს კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება 90-იან წლებში, როცა მრეწველობის ამ დარგში კაპიტალის კონცენტრაცია შეიმჩნევა.

---

[137] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 4586, д. 131, фурц. 271; იქვე, ფ. 1284, 223, фурц. 70.

[138] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 4653, фурц. 699—700.

[139] საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 858, фурц. 10.

თ ა ვ ი III

თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1880—1917 წწ.

90-იანი წლების საქართველოში თამბაქოს მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარება იწყება, სულ უფრო მეტი მასშტაბით ხორციელდება ტექნიკური პროგრესი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 80-იანი წლებისათვის საქართველოს ზოგიერთ თამბაქოს ფაბრიკაში მანქანური წარმოება ინერგება, რაც 90-იანი წლებისათვის თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ძირითად ადგილს იკავებს. სწორედ თამბაქოს ფაბრიკებში ორთქლისა და შიდაწვის ძრავების გამოყენებამ მრეწველობის ამ დარგში ტექნიკური გადატრიალება მოახდინა და დასაბამი მისცა მის წმინდა კაპიტალისტურ სახეს.

როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „მარქსის თეორია მსხვილ მანქანურ (საფაბრიკო) ინდუსტრიას უწოდებს კაპიტალიზმის ბოლოდ განსაზღვრულ, სახელდობრ უმაღლეს, საფეხურს მრეწველობაში. ამ სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშანი მდგომარეობს წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში. მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლა მოიწვევს სრულ ტექნიკურ გადატრიალებას, რომელიც აქარწყლებს ხელით მუშაობის ოსტატობას, რაც ხელოსანს საუკუნეთა განმავლობაში მოუპოვებია, ხოლო ამ ტექნიკურ გადატრიალებას აუცილებლად მოსდევს წარმოების საზოგადოებრივი ურთიერთობის მძაფრი მსხვრევა, საბოლოო განხეთქილება წარმოების მონაწილე პირთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის. კავშირის სავსებით გაწყვეტა ტრადიციასთან, კაპიტალიზმის ყველა ბნელი მხარის გამწვავება და გაფართოება და მასთან ერთად შრომის მასობრივი განზოგადოებაც კაპიტალიზმის მიერ. ამრიგად, მსხვილი მანქანური ინდუსტრია კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვაა, მისი უარყოფითი და „დადებითი მომენტების" უკანასკნელი სიტყვა"[1].

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., 3, გვ. 535, 536.

90-იან წლებში თავიანთი წარმოების დონის ზრდის მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბოზარჯიანცის, ენფიანჯიანცის, საფაროვის, ფირალოვისა და საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკები, რომელთა დაწინაურება ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა. თუ როგორ იზრდებოდა თამბაქოს ფაბრიკებში ორთქლისა და შიდაწვის ძრავიანი დაზგების რაოდენობა, კარგად ჩანს საარქივო მონაცემებიდან: 1890 წელს საქართველოში არსებულ თამბაქოს 12 ფაბრიკაში 4 ორთქლის ძრავიანი დაზგა მოქმედებდა. აქედან ორი ბოზარჯიანცის და ორიც ენფიანჯიანცის საწარმოში[2]. 1891 წელს საფაროვის თამბაქოს ფაბრიკაში 1 ორთქლის ძრავიანი დაზგა მუშაობდა, ენფიანჯიანცისაში—4, ბოზარჯიანცისაში—2[3]. ამავე დროს ამ უკანასკნელს 1891 წლის მარტში ინჟინერ-ტექნოლოგ სტეფანე გულიშამბაროვისაგან ნება მიეცა, რათა ფაბრიკაში დაედგა თამბაქოს საშრობი ორთქლის ქვაბი, რომლის სიმძლავრე 1 კვადრატულ დიუმზე 25 გირვანქით განისაზღვრებოდა[4] 1893 წელს ზემოაღნიშნულ თამბაქოს 3 ფაბრიკაში ორთქლის ძრავიანი 17 დაზგა მოქმედებდა[5]. მომდევნო 1894 წელს მათ რიცხვს ქუთაისელი ფირალოვის ფაბრიკაც შეუერთდა, რომელშიაც ორთქლის ძრავიანი 2 დაზგა იდგა; სულ აღნიშნულ წელს ოთხივე ფაბრიკაში 19 ასეთი დაზგა მუშაობდა[6]. 1896 წელს საქართველოში თამბაქოს 10 ფაბრიკა არსებობდა. ამათგან 5 ფაბრიკაში ორთქლის ძარავიანი 26 დაზგა მოქმედებდა. ფაბრიკების მიხედვით მათი რაოდენობა ასე ნაწილდებოდა: ბოზარჯიანცთან 6, ენფიანჯიანცთან 6, საფაროვთან 6, ფირალოვთან 2 და „მირში" 5[7]. 1899 წელს ზემოთ აღნიშნულ თამბაქოს 6 ფაბრიკაში ორთქლის 29 დაზგა იყო[8]. სულ სხვა მდგომარეობაა 1900 წლისათვის. ამ წელს არა მარტო გაიზარდა თამბაქოს ფაბრიკებში ორთქლის ძრავიანი დაზგების რაოდენობა, არამედ გაფართოვდა მისი გეოგრაფიული არეც. მაგალითად: ორთქლის დაზგები დადგეს თავიანთ ფაბრიკებში ბათუმელმა მწარმოებლებმა: ბინიათ-ოღლიმ, შელოვიცკიმ და ლევბერმა, სოხუმელმა ბედროსოვმა და სხვ. 1900 წელს საქართველოში სულ

---

[2] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 461. ფურც. 55.
[3] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 81, ფურც. 62.
[4] საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 863, ფურც. 175.
[5] საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 666, ფურც. 280.
[6] საქ. ცსია,ფ. 370, აღ. 1, საქ. 687, ფურც. 119.
[7] იქვე, საქ. 755, ფურც. 47, 199.
[8] იქვე, საქ. 813, ფურც. 65, 613.

თამბაქოს 11 ფაბრიკა არსებობდა, ამათგან რვა ფაბრიკაში ორთქლის ძრავიანი 32 დაზგა მოქმედებდა[9].

ცხრაასიანი წლების დასაწყისში. თამბაქოს მრეწველობაში ფეხს იკიდებს ელექტრობა. მაგალითად, 1903 წელს საფაროვის მემკვიდრეებს თამბაქოს ფაბრიკაში ელექტრომოწყობილობის დადგმის უფლება მიეცათ[10].

ამრიგად, 90-იან წლებში თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ორთქლის ძრავიანი დაზგების დამკვიდრებამ ეს საწარმოები წმინდა კაპიტალისტურ ფაბრიკებად გადააქცია. ამ დროიდან თამბაქოს დამუშავების მთელი რიგი პროცესები მანქანებით წარმოებს, წარმოებიდან თანდათან იდევნება ხელით შრომა. მანქანების დანერგვამ წვრილი საწარმოების განადგურება გამოიწვია და გზა წმინდა კაპიტალისტურ ფაბრიკებს დაუთმო. ტექნიკურმა გადატრიალებამ მეფაბრიკეთა შორის კონკურენციის ზრდა გამოიწვია, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესს, რომლის შესახებაც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ორთქლის ძრავიანი დაზგების გამრავლებამ ხელი შეუწყო მათი წარმოების პროგრესს. მათი წარმოების დონის მატება ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს შეიმჩნევა. აქ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ქუთაისის გუბერნიიის თამბაქოს ფაბრიკების მიმართ, რომელთა წარმოების დონე 1889 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნულ წელს ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს 4 ფაბრიკაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 150 კაცს შეადგენდა, ხოლო მათ მიერ გამოშვებული მზა პროდუქციის ღირებულება 174 900 მანეთს უდრიდა[11].

1890 წელს საქართველოში თამბაქოს 11 ფაბრიკა იყო, რომელშიაც 922 მუშა მუშაობდა და წლიური პროდუქციის ღირებულება 1 275 030 მან. შეადგენდა[12].

თბილისის საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში თამბაქოს ფაბრიკებს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავათ, რაც კარგად ჩანს საარქივო დოკუმენტიდან: 1890 წელს ქალაქ ყაზანში ვოლგა-კამის მხარისა და სამხრეთ რუსეთის სასწავლო-სამრეწველო გამოფენა ეწყობოდა. გამოფენის მომწყობმა საორგანიზაციო კომიტეტმა თხოვნით

---

9 იქვე, საქ. 872, ფურც. 145, 147.

10 საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 1310, ფურც. 15.

11 საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 858, ფურც. 22.

12 ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, 4921, ფურც. 522; იქვე, საქ. 4914, ფურც. 621.

მიმართა თბილისის გუბერნატორს, რათა მათთვის გადაეგზავნათ ქალაქში არსებული მსხვილი სავაჭრო-სამრეწველო ფირმების სია. ქალაქ თბილისის პოლიციმეისტერის მიერ გუბერნატორისადმი გაგზავნილ სათანადო სიაში შემდეგი სამრეწველო საწარმოებია მოცემული: დავით სარაჯიშვილის კონიაკის, ლიქიორისა და სარიკტიფიკაციო ქარხანა, რუქსის, მაიერისა და რიტრიხის ლუდის ქარხნები, ივ. ჩითახოვის ფაბრიკა და სხვები; მათთან ერთად დასახელებულია: ბოზარჯიანცის, საფაროვის, ენფიანჯიანცის, იზმიროვისა და ჯიმშეროვის თამბაქოს ფაბრიკები[13].

საინტერესოა აღნიშნოს, რომ ამ დროს თბილისში თამბაქოს 6 ფაბრიკა არსებობდა და აქედან 5 რეკომენდაცია მიეცა ზემო აღნიშნულ გამოფენაზე მონაწილეობისათვის. ეს პატარა ცნობა დამადასტურებელია იმისა, რომ დამუშავებითი მრეწველობის დარგებს შორის თავიანთი წარმოების დონის მხრივ როგორ წინა პლანზე იდგა თამბაქოს ფაბრიკები.

1891 წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს 7 ფაბრიკამ 733 396 მანეთის და 81 კაპიკის ღირებულების მზა პროდუქცია გამოუშვა; შვიდივე ფაბრიკაში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 839 კაცს შეადგენდა[14]. საკუთრივ თბილისის თამბაქოს 6 ფაბრიკამ 698 366 მანეთის და 81 კაპიკის პროდუქცია დაამზადა, ხოლო მათი მუშათა რაოდენობა 814 კაცით განისაზღვრებოდა. თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მიერ გამოშვებული მზა პროდუქცია საღდებოდა ამიერკავკასიაში, კასპიისიქითა ოლქში და რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში[15].

თამბაქოს ფაბრიკებში მანქანური სისტემის გამოყენების შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით ქუთაისის გუბერნატორის 1892 წლის ანგარიშში. აღნიშნულ წელს გუბერნიაში თამბაქოს 4 ფაბრიკა მოქმედებდა: 2 ქუთაისში და 2 ბათუმში; მათი წლიური შრომისნაყოფიერება 245 000 მანეთამდე აღწევდა. გუბერნატორის თქმით ამათგან მხოლოდ ქუთაისელი ფირალოვის ფაბრიკა იყო მყარი და საიმედო, დანარჩენ 3 კი არც თუ ისე უნარიანი მეწარმენი ფლობდნენ. თამბაქოს მრეწველობა რომ მომგებიანია, აღნიშნავს ის, ეს იქიდან ჩანს, რომ რუს მეფაბრიკეებს ქუთაისის გუბერნიიდან გააქვთ ნედლეული, ახდენენ მის ფაბრიკაციას, ხოლო რეალიზაცია ხდება იქ,

---

[13] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 2946, ფურც. 16, 17.
[14] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5013, фурц. 215.
[15] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 194, фурц. 79.

საიდანაც ნედლეული წაიღეს: «Высокая заработная плата и отсутствие опытных рабочих рук в Закавказье дает некоторое преимущество русским фабрикантам, но, взамен неопытных и дорогих рабочих, можно обратится к машинному производству, что и сделано Кутаисским фабрикантом Пираловым, который улучшая постепенно дело, нашел уже сбыт для своих изделий во многих городах Имеретии»[16].

მეფის მოხელის ეს განცხადება, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ეკონომიური მოსაზრებიდან გამოდის. ის დაინტერესებულია, რათა ჭარბი ნედლეულის ბაზაზე მოხდეს მისი ფაბრიკაცია, რაც თავისთავად უფრო იაფი და სახელმწიფოსათვისაც სასარგებლო იქნება.

1892 წელს ქუთაისის გუბერნიიდან საზღვარგარეთ გაიტანეს 5 329 ფუთი თამბაქო და მისი ნაწარმი 43 290 მანეთისა, ხოლო შემოიტანეს 41 ფუთი თამბაქო 2 342 მანეთისა[17].

„1891 წელთან შედარებით 1892 წელს თბილისის საწარმოების პროდუქცია მხოლოდ 68 819 მანეთით გაიზარდა. რიგ საწარმოთა დაკეტვისა და ქოლერის ეპიდემიის შედეგად ამ დროისათვის თბილისის მსხვილი სამრეწველო დაწესებულებების მუშათა რაოდენობა 2730-მდე შემცირებულა"[18]. ზემოთ აღნიშნულმა გარემოებამ თავისი დაღი დაასვა თამბაქოს ფაბრიკებსაც, რომელთა წლიური ბრუნვა წინა წელთან შედარებით 137 485 მანეთით შემცირდა, საერთოდ ამ წელს თბილისში საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის დარგებს შორის შედარებით წინა პლანზე იდგა ტყავის ქარხნები და თამბაქოს ფაბრიკები—პირველის წლიური ბრუნვა 777 936 მანეთს შეადგენდა, ხოლო მეორესი 560 881 მანეთს[19].

ქვემოთ მოვიტანთ ცხრილს, რომელიც ნათლად გვაჩვენებს საქართველოს თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონის გადიდებასა და მუშათა რაოდენობის ზრდას. ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ ზოგიერთი პერიოდული გამოცემისა და საარქივო მონაცემების საფუძველზე (იხ. ცხრ. 8):

---

[16] Обзор Кутаисской губернии за 1892 год, გვ. 16.

[17] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5057, ფურ 1. 166—167.

[18] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958, გვ. 419.

[19] ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 185, ფურც. 38.

წლები	ფაბრიკ. რაოდ.	წლიური პროდუქცია მან.-ებში	მუშათა რაოდენობა
1892	11	843 836	991[20]
1893	9	1 129 463	1008[21]
1894	9	882 381	962[22]
1895	10	1 119 133	1215[23]
1896	10	1 359 000	1197[24]
1897	9	1 630 500	1292[25]

1893 წელს საქართველოში კვლავ იზრდება თამბაქოს მრეწველობის წარმოების დონე. ამ წელს თამბაქოს 9 ფაბრიკაში 1008 კაცი მუშაობდა, მათ მიერ გამოშვებული მზა ნაწარმი კი 1 129 463 მანეთს უდრიდა, აქედან 360 000 მანეთი ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს 4 ფაბრიკაზე მოდიოდა, დანარჩენი 769 463 მანეთი თბილისის თამბაქოს 5 ფაბრიკაზე. აღნიშნულ წელსაც დედაქალაქის მრეწველობაში წამყვანი ადგილი ტყავისა და თამბაქოს ფაბრიკებს ეკავათ. ამ დროს თბილისში ტყავის დამმუშავებელი 8 ქარხანა არსებობდა, რომელთა წლიური ბრუნვა 898 280 მანეთს შეადგენდა, მუშათა რაოდენობა კი 423 კაცს. მიუხედავად იმისა, რომ წინა წელს თბილისში იზმიროვის თამბაქოს ფაბრიკა დაიხურა, მათი წლიური ბრუნვა მაინც 208 585 მანეთით გაიზარდა. თამბაქოს ფაბრიკებს შორის წარმოების დონის ზრდით გამოირჩეოდა თბილისელი მეორე გილდიის ვაჭრის ენფიანჯიანცის ფაბრიკა. მან ამ წარმატებას საკუთარ პლანტაციებში თამბაქოს ხარისხის გაუმჯობესებით მიაღწია, აგრეთვე ნედლეულის წესიერად დახარისხებითა და, რაც მთავარია, ფაბრიკაში მანქანა-დანადგარების სიმრავლით. ყოველივე ამან ხელი შეუწყო ფაბრიკის

[20] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 6057, ფურც. 293, ЦГИАЛ, ф. 1284, оп. 223, д. 185, ფურც. 73.

[21] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 3574, ფურც. 6.

[22] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9082, ფურც. 48; საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1461, ფურც. 64.

[23] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5256, ფურც. 609; საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1636, ფურც. 55.

[24] Кавказский календарь на 1897 г., გვ. 80.

[25] საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1 საქ. 1870, ფურც. 33; Обзор Кутаисской губернии за 1897 г. ведомость № 2.

მიერ გამოშვებული მზა ნაწარმის ხარისხის ამაღლებას. რამაც თავისთავად მისი სარეალიზაციო გეოგრაფიული არის გაფართოებაც გამოიწვია. ქართული პაპიროსის, სიგარისა და თუთუნის მომხმარებლები იყვნენ ამიერკავკასიის, კასპიისიქითა ოლქისა და რუსეთის ქალაქები თუ სოფლები[26].

1894 წელს საქართველოში თამბაქოს მრეწველობის ოდნავ უკან დახევა შეიმჩნევა. მიუხედავად ამისა, თბილისის მრეწველობაში თამბაქოს ფაბრიკებს ტყავის, კონიაკისა და რაქტიფიკაციულ ქარხნებთან ერთად პირველი ადგილი ეკავათ. წარმოების დონით მეორე ადგილზე იყო ხე-ტყის, აგურის, საპნის, ლუდის, ზეთსახდელი და თუჯსასხმელი ქარხნები[27].

როგორც აღვნიშნეთ, 1894 წელს წინა წელთან შედარებით თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონე ოდნავ დაეცა, რაც ძირითადად თამბაქოს ცუდმა მოსავალმა განაპირობა. განსაკუთრებული მოუსავლიანობა იყო ქუთაისის გუბერნიაში და მეთამბაქეობის ძირითად ობიექტზე სოხუმის ოლქში. მართალია, აღნიშნულ წელს წინა წელთან შედარებით ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს პლანტაციების ფართობი 99 დესეტინით გაიზარდა, მაგრამ მოუსავლიანობის შედეგად 20956 ფუთითა და 31 გირვანქით ნაკლები თამბაქო მოვიდა[28].

90-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში ადგილი აქვს თამბაქოს მრეწველთა გაერთიანებას. მაგალითად: 1895 წელს თბილისელმა პირველი გილდიის ვაჭრებმა გრიგოლ იაკობის ძე ბაინდურომა, ვასილ სერგოს ძე ეგიაზაროვმა, ტიგრან ივანეს ძე ავალოვმა და რაფიელ იოსების ძე გოკიელოვმა თბილისში აქციონერული საზოგადოება „მირ"-ი დააარსეს. ამიერკავკასიის საქციზო სამმართველოს პირველი ოკრუგის ზედამხედველის სახელზე ამ საზოგადოების ჩამომყალიბებლებმა შემდეგი შინაარსის განცხადება წარადგინეს: «Представляя при сем описание и план в трех экземплярах предположенной к открытию нами с 1-го января 1895-го года общей табачной фабрики в городе Тифлисе в 7-ом участке в Авлабар на Розовой площади под №№ 6 и 7, в собственном доме, покорный просим вашему высокоблагородю выдать свидетельство на право содержания означенной фабрики для оплаты

---

[26] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 3574, ფურც. 32, 33.
[27] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1,საქ. 9082, ფურც. 11.
[28] საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1461, ფურც. 31.

которого гербовым сбором прилагаем одну гербовую марку в 80 коп.»[29].

აქციონერული საზოგადოების ძირითადი კაპიტალი 500 000 მანეთს შეადგენდა, რომელიც დაყოფილი იყო 2000 აქციად, თვითეული 250 მანეთად. საზოგადოების საქმიანობას 3 კაცისაგან შემდგარი გამგეობა მართავდა, რომელთაც აქციონერთა საერთო კრება ირჩევდა. გამგეობის ერთ-ერთი დირექტორი ყოველი წლის შემდეგ უნდა გადამდგარიყო; თავიდან ეს ხდებოდა კენჭისყრით, ხოლო შემდეგ ყურადღება ექცეოდა იმას, თუ ვის უფრო მეტი ხნის სტაჟი ჰქონდა საზოგადოების წევრობისა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დირექტორთაგანი საზოგადოებისაგან რაიმე მიზეზით გავიდოდა, მის მოვალეობას მომავალ არჩევნებამდე გამგეობის მიერ წინასწარ არჩეული კანდიდატი ასრულებდა. საზოგადოების წესდებით დირექტორისა და კანდიდატის ხელმეორედ არჩევა დაშვებული იყო. გამგეობა განაგებდა საზოგადოების მთელ საქმიანობას; მას ყურადღება უნდა მიექცია აქციების ბრუნვისათვის, წლიური ანგარიშის, ბალანსისა და საბუღალტრო საქმეებისათვის უნდა უზრუნველეყო წარმოება საჭირო სპეციალისტებით, თვალყური უნდა ედევნებინა ნედლეულის შესყიდვაზე და მზა ნაწარმის რეალიზაციაზე; დაედო ხელშეკრულებები როგორც სახელმწიფო უწყებებთან, ასევე კერძო ამხანაგობებსა და საზოგადოებებთან. წესდებაში საზოგადოების არსებობის ვადა განსაზღვრული არ იყო. იმ შემთხვევაში, თუ მისი დახურვა აუცილებელი გახდებოდა, ეს აქციონერთა საერთო კრებას უნდა გადაეწყვიტა; აგრეთვე ბალანსის შედეგად თუ გაირკვეოდა, რომ საერთო კაპიტალის ორი მეხუთედი გაფლანგული იყო და აქციონერთა მიერ მისი შევსება ერთი წლის განმავლობაში არ მოხდებოდა, მაშინ საზოგადოებას არსებობა უნდა შეეწყვიტა[30].

რუსეთის ფინანსთა მინისტრმა აქციონერული საზოგადოება „მირის“ წესდება 1901 წელს 29 იანვარს დაამტკიცა[31].

აქციონერული საზოგადოება „მირის“ თამბაქოს ფაბრიკის შესახებ რომ უფრო სრული წარმოდგენა გვქონდეს, მოკლედ შევეხებით მერმინდელი დროის მის ზოგიერთ მონაცემებს. მართალია, ამ შემთხვევაში საერთო ქრონოლოგია დაირღვევა, მაგრამ საკითხს რომ რამდენჯერმე არ დავუბრუნდეთ, ვამჯობინეთ, მის შესახებ საუბარი აქ დავამთავროთ.

---

[29] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 104, ფურც. 14.

[30] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 1359, ფურც. 7—12.

[31] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5498, ფურც. 861—861.

1903 წელს „მირის" თამბაქოს ფაბრიკაში 278 მუშა მუშაობდა: ამათგან სრულასაკოვანი მამაკაცი იყო 102, ქალი 85, მოზრდილები: ქალი 32, კაცი 40, მცირეწლოვანები: გოგონები 11 და 8 ვაჟი[32].

ფაბრიკის ტექნიკურ არსენალს 1906 წელს შეადგენდა 10 ორთქლის დაზგა, 3 ორთქლისა და 6 ხელის დოლაბი[33]. ამავე წელს ფაბრიკაში დაამზადეს I ხარისხის თუთუნი 257778,5 გირვანქა, II ხარისხის თუთუნი 302 615 გირვანქა და III ხარისხისა 149 585 გირვანქა.

პაპიროსი I ხარისხის 33 678 500 ცალი
II ხარისხის 47 015 000 ცალი

საზღვარგარეთ ტრანზიტით გაიტანეს:

I ხარისხის თუთუნი 1738,5 გირვანქა
II ხარისხის „ 29 825 გირვანქა
III ხარისხის „ 8 010 გირვანქა

პაპიროსი I ხარისხის 2 512 500 ცალი
II ხარისხის 3 105 000 ცალი[34].

საზოგადოებას თამბაქოს საავაჭრო მაღაზიები ჰქონდა თბილისსა და ბაქოში[35].

1911 წელს აქციონერული საზოგადოების სათადარიგო კაპიტალი 7 993 მანეთს და 51 კაპიკს შეადგენდა[36], 1913 წელს 10 400 მანეთს და 19 კაპიკს[37], ხოლო 1914 წელს 11497 მანეთსა და 54 კაპიკს[38].

1912 წელს ფაბრიკაში 470 622 მანეთის და 29 კაპიკის მზა ნაწარმი დამზადდა, რომლისგანაც რეალიზებული იქნა 469 958 მანეთისა და 59 კაპიკის ნაწარმი. წმინდა მოგება 24 394 მანეთსა და 99 კაპიკს შეადგენდა. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ფაბრიკის გამგეობამ ირანის ქალაქ რეშტის თამბაქოს მრეწველს ა. ა. რიზაევს მიჰყიდა პაპიროსის გამტენი ძველი მანქანა და მუყაოს საჭრელი დაზგა 825 მანეთად, ხოლო თავიანთი წარმოებისათვის პეტერბურგში ი. მ. აივაზისაგან შეიძინა პაპიროსის გასატენი მანქანა 2 100 მანეთად[39].

---

32 Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 66. ფურც. 127.
33 საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 352, ფურც. 4.
34 საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 343. ფურც. 19—20.
35 «Кавказский календарь», на 1910 год.
36 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 1359, ფურც. 23—29.
37 ЦГИАЛ, ф. 573, оп. 29, д. 1274, ფურც. 9—10.
38 იქვე, ფურც. 17—18.
39 ЦГИАЛ, ф. 23, оп. 28, д. 1359 ფურც. 23—29.

1913 წელს ფაბრიკამ 15 000 ფუთი თუთუნი და პაპიროსი დაამზადა, 700 000 მანეთის ღირებულებისა[40]. 1914 წელს რეალიზაცია უყო 968 337 მანეთისა და 43 კაპიკის პროდუქციას. მისი წმინდა მოგება ამ წელს 48 268 მანეთს და 68 კაპიკს შეადგენდა[41].

როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან დავინახეთ, აქციონერული საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკის ტექნიკურ აღჭურვილობას ძირითადად ორთქლის ძრავიანი დაზგები წარმოადგენდა, შემდგომში კი წარმოებაში თანდათან ელექტრობა დამკვიდრდა, რამაც ხელი შეუწყო ფაბრიკის წარმოების დონის ზრდას. 1911 ხელს ფაბრიკაში თუ ელექტრონის 9 დაზგა მოქმედებდა[42], 1916 წელს მისმა რაოდენობამ 22-ს მიაღწია, აქედან 5 თამბაქოს საჭრელი, 9 სამუნდშტუკე და 8 პაპიროსის გასატენი დაზგა იყო[43]. ეს, რაც სააქციონერო საზოგადოება „მირს" შეეხებოდა, ახლა კი 1895 წლის თამბაქოს ფაბრიკების საერთო განვითარებას დავუბრუნდეთ.

ზემოთ აღნიშნულ წელს საქართველოში თამბაქოს 10 ფაბრიკა მუშაობდა, რომელთა შრომისნაყოფიერება 1 119 133 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 1215 კაცს. ამ დროისათვის თბილისში თამბაქოს 5 ფაბრიკა იყო, მათი შრომისნაყოფიერება 882 439 მანეთით განისაზღვრებოდა, მუშათა რაოდენობა კი 1001 კაცით; ახალციხის თამბაქოს 1 ფაბრიკის შრომისნაყოფიერება მხოლოდ 23 649 მანეთი იყო, ხოლო მუშათა რაოდენობა 17 კაცი[44]. ამავე წლის ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს 4 მოქმედი ფაბრიკა არსებობდა, 2 საკუთრივ ქუთაისში, 2 ბათუმში. პირველში 161 000 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია დაამზადეს, მუშათა რაოდენობა კი 152 კაცს უდრიდა, მეორეში 213 000 მანეთის ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს და მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 200 კაცამდე აღწევდა[45].

1896 წელს საქართველოში არსებულმა თამბაქოს 10 ფაბრიკამ 1 359 000 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია გამოუშვა, ხოლო მომავალ 1897 წელს თამბაქოს 9 ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ 1 630 500 მანეთს მიაღწია. მარტო თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების შრომისნაყოფიერება

---

40 Фабрично-заводския предприятья Российской империи, 1913, 604.

41 ЦГИАЛ, ф. 573, оп. 29, д. 1274, ფურც. 17—18.

42 საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 593, ფურც. 19.

43 იქვე, საქმე 729, ფურც. 13.

44 ЦГИАЛ, ф. 1263, оп. 2, д. 5256, ფურც. 607, 609.

45 საქ. ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1636, ფურც. 55.

1 487 500 მანეთს შეადგენდა, რაც 278 888 მანეთით მეტი იყო ვიდრე 1896 წელს. საერთოდ თბილისის გუბერნიის საწარმოებს შორის ამ დროს შრომისნაყოფიერებით თამბაქოს ფაბრიკების შემდეგ გამოირჩეოდა ტყავის ქარხნები 904 800 მანეთის ღირებულების პროდუქციით, ძაფსართავი ქარხნები 560 000 მანეთის, აგურის ქარხნები 493 925 მანეთის, კონიაკისა და რაქტიფიკაციული წყლების ქარხნები 473 000 მანეთის ღირებულების პროდუქციით და სხვა[46].

1897 წელს ბათუმში კანდელის თამბაქოს ფაბრიკა დაიხურა, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონეზე. აღნიშნულ წელს ამ გუბერნიის თამბაქოს 3 ფაბრიკაში დაამზადეს 143 000 მანეთის ღირებულების შემდეგი რაოდენობის მზა პროდუქცია:

I ხარისხის თუთუნი 261 ფუთი
II ხარისხის თუთუნი 3 965 ფუთი
III ხარისხის თუთუნი 5 444 ფუთი
I ხარისხის პაპიროსი 11 952 000 ცალი
II ხარისხის პაპიროსი 10 199 000 ცალი
III ხარისხის სიგარა 2 000 ცალი[47].

როგორც მოტანილი მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, 90-იანი წლებიდან თამბაქოს ფაბრიკებში შესამჩნევად მცირდება თუთუნის ხვედრითი წონა და იზრდება პაპიროსის გამოშვება, რაც ქვეყნის ევროპიზაციის შედეგი უნდა იყოს.

1897 წელს ამიერკავკასიიდან რუსეთის ევროპულ ნაწილში გაიტანეს 13 073 ფუთი თუთუნი და 2 000 000 ცალი პაპიროსი, კასპიისიქეთა ოლქში 3 138 ფუთი თუთუნი და 28 000 000 ცალი პაპიროსი, საზღვარგარეთ 393 ფუთი თუთუნი და 25 000 000 ცალი პაპიროსი[48]. მართალია, ეს მონაცემები საკუთრივ საქართველოს არ შეეხება, მაგრამ რადგანაც ამიერკავკასიის მეთამბაქოეობის 86% მასზე მოდიოდა, რა თქმა უნდა, ასევე მეტი იქნებოდა პროცენტულად მისი ხვედრითი წონა მზა ნაწარმის ექსპორტშიც. ასე რომ, აღნიშნული მონაცემების მოტანა გამართლებულად მიგვაჩნია. ჩვენს მოსაზრებას შემდეგი ფაქტიც ადასტურებს: ამიერკავკასიაში 1898 წელს თამბაქოს 18 ფაბრიკა მუშაობდა. ამათგან ნუხასა და შემახაში არსებული 5 ფაბრიკა სამახორკე იყო, დანარჩენი 13 კი გეოგრაფიულად ასე

---

[46] Обзор Тифлисской губернии за 1897 г., გვ. 11—12; ცსია, ფ. 12, აღ. 1, საქ. 1870, ფურც. 16.

[47] საქ. ცსი, ფ. 12, აღ. 1, საქ 2108, ფ. რც. 18.

[48] Кавказский Календарь на 1899, გვ. 83.

იყო განაწილებული: თბილისში 5, ახალციხეში 1, ქუთაისში 2, ბათუმში 1, ართვინში 1, ბაქოში 2 და 1 ფაბრიკა პეტროვსკში[49]. როგორც ჩანს, მთელ ამიერკავკასიაში საქართველო თამბაქოს ნედლეულისა და მისი ნაწარმის დამზადების ძირითადი ობიექტი იყო.

1898 წელს საქართველოში თამბაქოს 10 მოქმედი ფაბრიკა იყო, რომელთა წლიური ბრუნვა 1 056 848 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 1274 კაცს[50]. აღნიშნულ წელს ამიერკავკასიიდან სპარსეთში გაიტანეს 40 000 გირვანქა თამბაქო და 4 000 000 ცალზე მეტი პაპიროსი, რუსეთის ევროპულ ნაწილში 585 000 გირვანქა თამბაქო და 28 000 000 ცალზე მეტი პაპიროსი, კასპიისიქეთა ოლქში კი 126 000 გირვანქა თამბაქო და 28 000 000 ცალი პაპიროსი[51]. ამავე წელს საფაროვის თამბაქოს ფაბრიკიდან ქალაქ ხორასანში აშხაბადის საბაჟოდან გაიტანეს 96 400 ცალი პაპიროსი და 120 გირვანქა თუთუნი[52].

1899 წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს 6 ფაბრიკის შრომისნაყოფიერება 922592 მანეთსა და 27 კაპიკს უდრიდა, მუშათა რაოდენობა კი 1079 კაცს[53]. ამ წელს გუბერნიის საწარმოებს შორის წლიური პროდუქციის წარმოების დონით თამბაქოს ფაბრიკები მეოთხე ადგილზე იდგა; პირველ ადგილზე 1 662 370 მანეთით ტყავის ქარხნები იყო, შემდეგ მოდიოდა თუჯსასხმელი ქარხნები 969 000 მანეთით და ყველის ქარხნები 949 000 მანეთის წლიური ბრუნვით[54].

აღნიშნულ წელს თბილისში გახსნეს საპაპიროსე ჰილზების „ფაბრიკა", რომლის შრომისნაყოფიერება მხოლოდ 3 000 მანეთით განისაზღვრებოდა[55].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბათუმელი მეფაბრიკის შელოვიცკის წარმოება 1899 წლიდან ლევბერგის საკუთრებაში გადავიდა. ამ დროისათვის ბათუმში თამბაქოს 2 ფაბრიკა მუშაობდა—ბინიათოღლისა და ზემოხსენებული ლევბერგის; ორივე ფაბრიკაში ნედლეული შემოჰქონდათ ართვინის, ბათუმისა და სოხუმის ოკრუგებიდან, ყუბანის ოლქიდან, გურიიდან, სოჭიდან, ყირიმიდან და თურქე-

---

[49] Кавказский календарь на 1900, გვ. 74.

[50] საქ. ცსია, ფ. 17, საქ. 9100, ფურც. 20; Обзор Кутаисской губернии за 1898 г. ведомость № 2.

[51] Кавказский календарь на 1900 г., გვ. 74.-

[52] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 813, ფურც. 117.

[53] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9112, ფურც. 19.

[54] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 9112; ფურც. 4.

[55] საქ. ცსია, ფ. 414, აღ. 2, საქ. 3, ფურც. 525.

თიდან[56].ამ უკანასკნელიდან შემოტანილი თამბაქო ფაბრიკაში ადგილობრივი ნედლეულის შესაზავებლად იხმარებოდა.

1900 წლის მარტში ნიკოლოზ ივანეს ძე ბოზარჯიანცმა თავისი თამბაქოს ფაბრიკა ფირმად გადააკეთა. ფირმის წევრები იყვნენ: ნ. ი. ბოზარჯიანცი, ე. გ. ბოზარჯიანცი, ი. ნ. ბოზარჯიანცი, მ. ნ. ბოზარჯიანცი და ა. ნ.ბოზარჯიანცი. ფირმის კაპიტალი 10 000 მანეთს შეადგენდა, მის თითოეულ წევრს 2000 მანეთი შეჰქონდა, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ყველა მათგანი ვალდებული იყო ზედმეტი თანხა გაეღო, რაც სპეციალურ დავთარში აღირიცხებოდა. ფირმაში გარეშე პირის შეყვანა აკრძალული იყო. იმ შემთხვევაში, თუ ფირმას რომელიმე წევრთაგანი თვითნებურად მიატოვებდა, მას საერთოდ ეკრძალებოდა თამბაქოს ქარხნის გახსნა არა მარტო თბილისში, არამედ რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებშიც. ფირმის გამგებელი ნ. ი. ბოზარჯიანცი იყო, რომლის უფლებებში შედიოდა: წარმოებაში მუშათა კონტინგენტის მიღება და მასთან ყოველგვარი ურთიერთობის მოგვარება, ნედლეულის შეძენა, ფინანსური საქმიანობის გაძღოლა, მზა ნაწარმის რეალიზაციისათვის თვალყურის დევნება და სხვა[57].

1900 წელს საქართველოში თამბაქოს ცხრა ფაბრიკა მუშაობდა: თბილისში: სააქციონერო საზოგადოება „მირის", ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლის, ენფიანჯიანცის, საფაროვის მემკვიდრეებისა და ბუტულოვის, ახალციხეში — სარიევის, ქუთაისში — ფირალოვის, ბათუმში — ბინიათოღლის და „თამარას" სახელწოდებით არსებული ა. ლევბერგის ფირმა.

ზემოაღნიშნული თამბაქოს ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულება 2 399 029 მანეთს შეადგენდა, ხოლო მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 1 426 კაცით განისაზღვრებოდა. მარტო თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების წლიური პროდუქციის ღირებულება 2 122 329 მანეთი იყო, ხოლო მუშათა რაოდენობა 1 253 კაცი; ამავე დროს ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების შრომისნაყოფიერება 276 700 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 173 კაცს[58].

ამათ გარდა თბილისში არსებობდა გ. მიასნიკოვის საპაპიროსე

---

[56] Н. В. Церетели, Очерк торгово-промышленного развития г. Батуми, იხ. «Батум и его окрестности», Батуми, 1906, გვ. 438.

[57] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 177, ფურც. 21—41.

[58] Список фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903, под редак. В. Е. Варзара, გვ. 171.

ჰილზების სახელოსნო, რომელიც წლიურად 3 700 მანეთის პროდუქციას უშვებდა, ხოლო მასში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 22 კაცს შეადგენდა[59].

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ცალკე გამოვყოთ ის ფაბრიკები, რომლებიც თავიანთი წარმოების დონით სხვებთან შედარებით წინ იდგნენ. 1900 წლისათვის ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკის წლიური პროდუქციის ღირებულება 731 429 მანეთით განისაზღვრებოდა, მუშათა რაოდენობა კი 401 კაცით. სააქციონერო საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკის წლიური პროდუქციის ღირებულება იყო 518 500 მანეთი, ხოლო მუშათა რაოდენობა 212 კაცს შეადგენდა; ფაბრიკაში დაამზადეს 10 400 ფუთი თუთუნი და 800 000 ცალი პაპიროსი. ენფიანჯიანცის ფაბრიკის შრომისნაყოფიერება 515 800 მანეთს აღწევდა, მუშათა კონტინგენტი კი 315 კაცით განისაზღვრებოდა; აღნიშნულ წელს ფაბრიკამ გამოუშვა 705300 ცალი პაპიროსი და 15 900 ფუთი თუთუნი. საფაროვის მემკვიდრეთა ფაბრიკაში დაამზადეს 6 400 ფუთი თუთუნი და 190 000 ცალი პაპიროსი. წარმოებაში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 120 კაცს შეადგენდა, ხოლო წლიური პროდუქციის ღირებულება 310 000 მანეთს.

ქუთაისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკებს შორის წარმოების დონით ადგილობრივი მეფაბრიკის ფირალოვის წარმოება გამოირჩეოდა, რომელშიც 4 800 ფუთი თუთუნი და 126 900 ცალი პაპიროსი დაამზადეს. სულ მზა პროდუქციის ღირებულება 1900 წელს 137 200 მანეთს შეადგენდა, მუშათა რაოდენობა კი 83 კაცს.

ეს მონაცემები ვ. ვარზარის ზემოთ მითითებული წიგნიდან გვაქვს მოტანილი, მაგრამ აქვე, გვინდა შევნიშნოთ, რომ ასეთივე ხასიათის ცნობებს ჩვენ მივაკვლიეთ ლენინგრადის სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის სტატისტიკური კომიტეტის № 1290 ფონდში[60]. როგორც ჩანს, ავტორს წიგნის შედგენისას სწორედ აღნიშნული კომიტეტის მასალებით უსარგებლია.

ცხრაასიანი წლების საქართველოში თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა კვლავ აღმავლობას განიცდის, რაც ძირითადად ტექნიკურმა პროგრესმა განაპირობა. ამ დროინდელი თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკური არსენალი ძირითადად ორთქლის (ბენზინის) ძრავებითა და ელექტროდანადგარებით წარმოგვიდგება.

---

[59] Список фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903, под ред. В. Е. Варзара, გვ. 171.

[60] ЦГИАЛ, ф. 1290, оп. 2, д. 176, ფურც. 504—513; იქვე, ფურც. 407—434.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ცხრაასიანი წლების თამბაქოს ფაბრიკებში სამუშაო პროცესები ძირითადად ზემოაღნიშნული ტექნიკური დანადგარებით სრულდებოდა, მოვიტანთ ამ საწარმოების 1910 წლის ტექნიკურ აღწერილობას. შეიძლება ვინმე შემოგვედავოს. რატომ 1910 წლის მონაცემებს ვიყენებთ და არა წინა წლებისას. ვისაც კი ამ დროის საშრეწველო განვითარების საკითხებზე უმუშავია, დამეთანხმება, რომ მნიშვნელოვანი განსხვავება მათ შორის არ არის. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ საარქივო საბუთის სისრულიდან გამოვდივართ: მასში მოცემულია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკური აღწერილობა.

1910 წელს საქართველოში თამბაქოს 9 მოქმედი ფაბრიკა იყო, საიაც იდგა ორთქლის ძრავიანი 37 დაზგა, ხელის უამძრაო 4 და 2 ხელის მექანიკური დაზგა[61]. დასახელებული ორთქლის ძრავიანი 37 დაზგიდან 28 თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკებზე მოდიოდა: 1906 წელს ასეთივე სისტემის დაზგების რაოდენობა აღნიშნულ გუბერნიაში 26 ერთეულს უდრიდა[62].

ახლა შევეხოთ იმ დანადგარების რაოდენობას, რომლებიც მოძრაობაში ელექტროენერგიას მოჰყავდა. სამწუხაროდ, ხშირად თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკურ აღწერილობებში არეულია ორთქლის, ბენზინის ძრავიანი და ელექტროენერგიით მომუშავე დანადგარები, რაც აძნელებს მათი რაოდენობისა და როლის ზუსტად გარკვევას. მაგალითად, 1911 წლის ერთ-ერთ საარქივო საბუთში ვკითხულობთ, რომ აღნიშნულ წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების ტექნიკურ აღჭურვილობას წარმოადგენდა ორთქლის 27 და 2 ხელის მექანიკური დაზგა[63].იმავე წლის მეორე საბუთში კი გარკვევით წერია, რომ ოცდაშვიდიანი დანადგარი მოძრაობაში ელექტროენერგიას მოჰყავსო[64]. ასეთივე მდგომარეობაა 1913 წლის მონაცემებშიაც[65].

ჩვენ მაინც სანდოდ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის № 371 ფონდის მონაცემები მივიჩნიეთ. საქმე ის არის, რომ ამ ფონდის საარქივო საბუთებში ელექტროენერგიით

---

[61] საქ. ცსია. ფ. 371, აღ. 1, საქ. 1012. ფურც. 108, 112.
[62] იქვე, საქ. 352. ფურც. 4.
[63] იქვე, საქ. 1024, ფურც. 66.
[64] იქვე, საქ. 593. ფურც. 19.
[65] იხ. საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1073, ფურც. 123, საქ. 1052, ფურც. 122.

მომუშავე დანადგარები მხოლოდ აღწერილობის სათაურსა და გრაფებში კი არ აღინიშნება, არამედ საბუთის ბოლოშიც, სადაც მოცემულია აღნიშნული ენერგიით მომუშავე დანადგარების რაოდენობა. მაგალითისათვის ერთ-ერთი საარქივო საბუთის სათაურს მოვიტანთ: «Число снарядов на табачных фабриках приводимых в движение электричеством»[66].

ამდენად, საარქივო მასალა, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით, ვფიქრობთ, სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის თამბაქოს ფაბრიკებში ელექტროენერგიის გამოყენების შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, 1911 წელს თბილისის გუბერნიის თამბაქოს 7 ფაბრიკაში ელექტროენერგიით მომუშავე 27 დანადგარი იდგა[67], ხოლო 1913 წელს მათი რაოდენობა მხოლოდ 28 აღწევდა. ფაბრიკების მიხედვით იგი შემდეგნაირად იყო განაწილებული: ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლის ფაბრიკაში 5, ენფიანჯიანცთან 6, სააქციონერო საზოგადოება „მირის“ ფაბრიკაში 9, სეილანოვების სავაჭრო სახლის ფაბრიკაში 4, ამხანაგობა „კომეტაში“ 2, საფაროვის ამხანაგობაში 1 და ახალციხეში ამხანაგობა „სვეტში“[68].

ცხრილი 9

ფაბრიკები	თამბაქოს საჭრელი დაზგა	საპილზე—სამუნდშტუკე დ. ზგა	პაპიროსის გამტენი დაზგა
ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკ-	6	32	26
ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკა	5	27	30
სეილანოვების სავაჭრო სახლი თამბაქოს ფაბრიკა	4	31	35
სააქციონერო საზოგადოება „მირის“ თამბაქოს ფაბრიკა	5	9	8
ამხანაგობა „კომეტას“ თამბაქოს ფაბრიკა	4	17	20
მ. საფაროვის ამხანაგობის თამბაქოს ფაბრიკა	2	7	9
	26	123	128

[66] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 729, ფურც. 13.
[67] იქვე, საქ. 593, ფურც. 19.
[68] იქვე, საქ. 1052, ფურც. 122.

სულ სხვა მდგომარეობაა 1916 წლისათვის. ამ დროს მარტო თბილისის თამბაქოს 6 ფაბრიკაში ელექტროენერგიით მოძრავი დანადგარების რაოდენობამ 277 ერთეულს მიაღწია. თუ როგორ იყო განაწილებული ეს დანადგარები ფაბრიკებში, კარგად ჩანს ჩვენს მიერ შედგენილი ცხრილიდან (იხ. ცხრ. 9)[69].

თამბაქოს ფაბრიკებს შორის წარმოების დონის ზრდის მხრივ 1906 წელს გამოირჩეოდნენ ენფიანჯიანცის, ბოზარჯიანცის, „მირის", საფაროვისა და სარიევის საწარმოები.- აღნიშნული ფაბრიკები უშვებდნენ მაღალი ხარისხის პროდუქციას, რომლის მომხმარებელი იყო არა მარტო ამიერკავკასიისა და რუსეთის გუბერნიები, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებიც. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა რაოდენობის მზა პროდუქცია გამოუშვეს 1906 წელს ზემოაღნიშნულმა ფაბრიკებმა, მოვიტანთ ერთი საარქივო დოკუმენტის ცნობებს:

ა. ენფიანჯიანცის ფაბრიკაში დაამზადეს 218 937 გირვანქა თუთუნი, 54 934 000 ცალი პირველი ხარისხის და 103 030 000 ცალი მეორე ხარისხის პაპიროსი. საზღვარგარეთ გატანილი იქნა 95 000 ცალი პაპიროსი და 190 გირვანქა თუთუნი[70].

ამავე წელს ბოზარჯიანცის ფაბრიკაში დამზადდა 4 788 გირვანქა პირველი ხარისხის, 92 817 გირვანქა მეორე ხარისხისა და 142 890 გირვანქა მესამე ხარისხის თუთუნი; სულ სამივე ხარისხის 240 495 გირვანქა თუთუნი. ფაბრიკამ გამოუშვა 89 063 300 ცალი პირველი ხარისხის და 64 156 800 ცალი მეორე ხარისხის პაპიროსი[71].

სააქციონერო საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკამ აღნიშნულ წელს დაამზადა 477 978 გირვანქა თუთუნი; აქედან 25 778. გირვანქა პირველი ხარისხის, 302 615 გირვანქა მეორე ხარისხის და 149 585 გირვანქა მესამე ხარისხის თუთუნი. ამავე დროს ფაბრიკამ გამოუშვა 33 678 500 ცალი პირველი ხარისხის პაპიროსი და 47 015 000 ცალი მეორე ხარისხისა.

საზღვარგარეთ გაიტანეს: 1738,5 გირვანქა პირველი ხარისხის თუთუნი, 29 825 გირვანქა მეორე ხარისხისა და 8 010 გირვანქა მესამე ხარისხის; სულ სამივე ხარისხის 39 573,5 გირვანქა თუთუნი. საზღვარგარეთ გაიგზავნა აგრეთვე 5 617 500 ცალი მეორე ხარისხისა[72].

---

69 იქვე, საქ. 729, ფურც. 13.

70 საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 343, ფურც. 4.

71 იქვე, ფურც. 11.

72 იქვე, საქ. 373, ფურც. 20.

ახალციხეში ამხანაგობა „სვეტის“ თამბაქოს ფაბრიკაში დამზადდა 2 590 გირვანქა თუთუნი და 7 419 200 ცალი პაპიროსი[73].

საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ფაბრიკამ აღნიშნულ წელს გამოუშვა 220 400 გირვანქა თუთუნი და 16 900 800 ცალი პაპიროსი[74].

ზემოჩამოთვლილი ფაბრიკები, აგრეთვე ფირალოვის, ბინიათოღლის და სხვ. სწორედ ის საწარმოებია, რომლებმაც გაუძღვეს კაპიტალისტებს შორის გაჩაღებულ საკონკურენციო ბრძოლას და საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. მოტანილი ციფრობრივი მონაცემებიდანაც კარგად ჩანს, თუ რა ხვედრითი წონა ჰქონდა საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში აღნიშნულ ფაბრიკებს. ზოგიერთი მათგანი განვითარების კიდევ უფრო მაღალ დონეს აღწევს. ისინი შემდეგ სააქციონერო საზოგადოებისა და ამხანაგობის სახით ერთიანდებიან. ასეთები იყო: ახალციხეში ამხანაგობა „სვეტის“ თამბაქოს ფაბრიკა, რომელიც 1906 წელს შეიქმნა, მისი წევრები იყვნენ პეტრე იაკობის ძე სარიევი, მიხეილ პავლეს ძე წალდაძე და ვართან კარაპეტის ძე ბენკლიანი[75].

1908 წელს თბილისში შეიქმნა მ. მ. სადგაროვის ამხანაგობა. რომლის თამბაქოს ფაბრიკის ძირითადი კაპიტალი 80 000 მანეთს შეადგენდა[76].

1907 წლის მაისში საფაროვის მემკვიდრეთა ფაბრიკა გ. ა. აიდინოვისა და მ. ა. ნარინიანცის ხელში გადავიდა. 1908 წ. ნოემბრიდან ფაბრიკა მზა პროდუქციას უშვებდა და იგი შემდეგნაირად იწოდებოდა: «Табачная фабрика товарищества М. М. Сафарова». 1910 წლის იანვრიდან საფაროვის ამხანაგობის ფაბრიკა მთლიანად ძმები სეილანოვების სავაჭრო სახლის კუთვნილებაში გადავიდა. ფაბრიკის მმართველად ჯერ გ. აიდინოვი დაინიშნა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ეს თანამდებობა მ. ნარინიანცმა დაიკავა[77]. აქვე შევნიშნავთ, რომ 1910 წლის შემდეგაც ზოგჯერ საარქივო მასალებში, სტატისტიკურ კრებულებსა და სხვა გამოცემებში სეილანოვების სავაჭრო სახლის ნაცვლად საფაროვის თამბაქოს ფაბრიკას იხსენიებენ; მაგა-

---

[73] იქვე, ფურც. 42.
[74] იქვე, ფურც. 68.
[75] Фабрично-заводския предприятия Российской империи, 1913, გვ. 606.
[76] იქვე.
[77] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 144, ფურც. 3—31.

ლითად, 1913 წელს გამოცემულ რუსეთის იმპერიის საფაბრიკო-საქარხნო საწარმოების კრებულში იგი მოხსენიებულია მ. მ. საფაროვის ამხანაგობის ფაბრიკად. ამით სინამდვილეში მხოლოდ მეპატრონის ვინაობაა შეცვლილი გაურკვეველობის ნიადაგზე, სხვა ყველა მონაცემი კი, რა თქმა უნდა, ძმები სეილანოვების სავაჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკას შეეხება.

1911 წლის მარტში თბილისში ამხანაგობა „კომეტამ" თამბაქოს ფაბრიკა გახსნა[78], ხოლო უფრო გვიან 1915 წელს ა. ა. ენფიანჯიანცმა სააქციონერო საზოგადოება ჩამოაყალიბა[79], რომლის შესახებაც ქვემოთ აღვნიშნავთ.

1908 წელს საქართველოში თამბაქოს 7 ფაბრიკა მოქმედებდა, რომელთა წლიური ბრუნვა 1 718 074 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 818 კაცს.

აღნიშნულ დროს თამბაქოს მრეწველობაში ჰეგემონია კვლავ თბილისის მსხვილ ფაბრიკებს ეკავა. დათმო წამყვანი პოზიცია ქუთაისში ფირალოვების ფაბრიკამ, სამაგიეროდ ამ გუბერნიაში წარმოების დონით წინა პლანზე ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკა დადგა, რომლის წლიურმა ბრუნვამ აღნიშნულ წელს 238 000 მანეთს მიაღწია, მუშათა რაოდენობა კი 110 კაცს შეადგენდა.

თბილისში კვლავინდებურად გამოირჩეოდნენ „მირის", ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლისა და ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, რაც შეეხება საფაროვის ყოფილ ფაბრიკას, მან 1908 წელს სულ რამდენიმე თვე იმუშავა და მისი წლიური ბრუნვა მხოლოდ 12 404 მანეთამდე აღწევდა. თამბაქოს სხვა ფაბრიკების მდგომარეობა კი ასე წარმოგვიდგება: ბოზარჯიანცის ფაბრიკის წლიური ბრუნვა 715 661 მანეთს შეადგენდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 206 კაცით განისაზღვრებოდა. „მირის" ფაბრიკაში დასაქმებული იყო 165 კაცი, წლიური პროდუქციის ღირებულება კი 368 000 მანეთს უდრიდა. ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკამ აღნიშნულ წელს 336 053 მანეთის პროდუქცია გამოუშვა, ხოლო მუშათა კონტინგენტი 259 კაცს შეადგენდა[80].

1910 წელს საქართველოს თამბაქოს მრეწველობა 9 ფაბრიკით წარმოგვიდგება, აქედან 5 ფაბრიკა თბილისში მოქმედებდა, 2 ბათუმში და თითო-თითო ქუთაისსა და ახალციხეში. აღნიშნულ წელს

---

78 საქ. ცსია. ფ. 204. აღ. 1. საქ. 1657, ფურც. 16.

79 ЦГИАЛ, ф. 1276. оп. 17, д. 362, фурц. 104.

80 Список фабрик и заводов Российской империи, СПБ, 1912, гз. 189.

ამ ფაბრიკებში 2 112 028 მანეთის 62 279 ფუთი მზა პროდუქცია დაამზადეს[81].

ვინაიდან განხილულ 1908 წელთან შედარებით თამბაქოს მრეწველობაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, 1910 წლისათვის მხოლოდ ერთი ფაბრიკის მონაცემებს შევეხებით, რომელიც ძირითადად გამოხატავს სხვა დანარჩენი მსხვილი საწარმოების მდგომარეობას. სამაგალითოდ ვიღებთ ნ. ი. ბოზარჯიანცის სავაჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკას, იგი ერთ-ერთ მსხვილ საწარმო ობიექტს წარმოადგენდა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაშიც. 1910 წელს ბოზარჯიანცის ფაბრიკამ 12 000 ფუთი ნედლეული გადაამუშავა, რომლისგანაც 7 500 ფუთამდე თუთუნი და 220 000 000 ცალი პაპიროსი დაამზადა. სულ აღნიშნულ წელს ფაბრიკამ 700 000 მანეთის ღირებულების მზა პროდუქცია გამოუშვა. ნ. ი. ბოზარჯიანცის ფაბრიკის ტექნიკურ აღჭურვილობას შეადგენდა: თამბაქოს საჭრელი ელექტროძრავიანი 4 მანქანა, ჰილზების დამამზადებელი 17 და თუთუნის საჭრელი 16 მანქანა. ამავე დროს ფაბრიკას ბენზინით მომუშავე 3 მოტორი გააჩნდა. ფაბრიკაში დასაქმებულ მუშათა რაოდენობა 218 კაცს შეადგენდა[82].

სეილანოვებისა და „კომეტას" ფაბრიკები ქვემოთ დასახელებული პროდუქციის გარდა სხვა ასორტიმენტის პროდუქციასაც უშვებდნენ.

1910 წელს სეილანოვების ფაბრიკის მზა პროდუქცია შემდეგ ფასებში იყიდებოდა:

I ხარისხის	პაპიროსი	„პრიმა"	25 ცალი	30 კაპიკად.
II	„	„	„	25 ცალი 25 კაპ.
III	„	„	„	25 ცალი 15 კაპ.

პაპიროსი „მეფირი" და „დელიკატესი" 25 ცალი 15 კაპ.

თუთუნი:	„საიმპერატორო"	1 გირვანქა	10 მანეთი.
	„თურქული გული"	1 გირ.	8 მან.
	„საკარისკაცო"	1 გირ.	6 მან.
	დიუბეკი თურქული	1 გირ.	5 მან.
	„მაკედონური"	1 გირ.	4 მან[83].

---

[81] Кавказский Календарь на 1912, გვ. 261, 304, 309.

[82] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, 256, ფურც. 39.

[83] Кавказский календарь на 1917 г. გვ. 641.

თამბაქოს ფაბრიკა „კომეტას“ მზა პროდუქციის ფასები იყო:

პაპიროსი „გალეა“	100 ცალი 1 მანეთი და 50 კაპიკი
„არისტოკრატიული“	25 ცალი 30 კაპიკი
„სანიმუშო“	25 ცალი 25 კაპიკი
„იავა“	10 ცალი 10 კაპიკი
„ვენერა“	25 ცალი 15 კაპიკი
„მინიონი“	25 ცალი 15 კაპიკი.
„საოფიცრო“	10 ცალი 6 კაპიკი[84]

საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ 1910 წელს ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკაში დამზადებული 5 ფუთი თუთუნი კონსტანტინოპოლში გაიტანეს, ხოლო 10 000 ცალი პაპიროსი—ნიუ-იორკში[85].

პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში შრომისნაყოფიერებით გამოირჩეოდნენ ბოზარჯიანცის, „მირის“, ენფიანჯიანცის, ფირალოვისა და სხვა ფაბრიკები.

ამ დროისათვის ბოზანჯიანცის საავჭრო სახლის თამბაქოს ფაბრიკამ 15 000 ფუთი თუთუნი და პაპიროსი გამოუშვა, სულ 750 000 მანეთის მზა პროდუქცია დაამზადა. ფაბრიკაში 250 მუშა მუშაობდა[86]. მეორე ადგილზე 700 000 მანეთი წლიური ბრუნვით სააქციონერო საზოგადოება „მირის“ თამბაქოს ფაბრიკა იყო, რომელმაც აღნიშნულ დროს 15 000 ფუთი თუთუნი და პაპიროსი დაამზადა, მუშათა რაოდენობა კი 200 კაცს შეადგენდა[87].

როგორც ზემომოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ორივე ფაბრიკამ 15 000 ფუთი მზა პროდუქცია გამოუშვა, წლიური ბრუნვა კი სხვადასხვა ჰქონდათ, რაც ბოზარჯიანცის ფაბრიკის ტექნიკურმა უპირატესობამ და მზა პროდუქციის მაღალმა ხარისხმა განაპირობა.

ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის წლიური ბრუნვა 650 000 მანეთით განისაზღვრებოდა, ხოლო მუშათა რაოდენობა 260 კაცით. ფაბრიკაში 32 ცხენისძალიანი ბენზინის და ნავთის ძრავიანი 2 დანადგარი იდგა. ფაბრიკა წლიურად ხარჯავდა 4 700 ფუთ მაზუთს, 1 500 ფუთ ნავთს და 150 ფუთ ბენზინს. სამუშაო წლის მანძილზე ფაბრიკამ 4 500 ფუთი თუთუნი და 241 000 000 ცალი პაპიროსი გამოუშვა. ენფიანჯიანცს თამბაქოს საწყობები ჰქონდა თბილისში ერევნის მოედანზე და ბაქოში ოღლას ქუჩაზე[88].

---

84 იქვე.

85 საქ. ცსია, ფ. 370, აღ. 1, საქ. 1072, ფურც. 199.

86 Фабрично-заводския предприятия Рссс. империи, 1913, გვ. 608.

87 იქვე.

88 იქვე, გვ. 608.

სეილანოვების თამბაქოს ფაბრიკის (ყოფილი საფაროვის) წლიური ბრუნვა 375 000 მანეთს შეადგენდა. ხოლო მუშათა რაოდენობა, 130 კაცს. ფაბრიკამ სულ 1200 ფუთი მზა პროდუქცია დაამზადა[89].

თბილისში მ. სადგაროვის ამხანაგობის თამბაქოს ფაბრიკის წლიური ბრუნვა 300 000 მანეთს უდრიდა, ხოლო ახალციხეში „სვეტის" ფაბრიკისა — 15 000 მანეთს[90].

ქუთაისში ფირალოვის ფაბრიკამ 90 000 მანეთის 2 000 ფუთი თამბაქოს მზა პროდუქცია გამოუშვა. დასაქმებული იყო 53 მუშა, ხოლო იმის ტექნიკურ შეიარაღებას ნავთის ძრავიანი 1 დანადგარი შეადგენდა, რომელსაც წელიწადში 600 ფუთი საწვავი სჭირდებოდა[91].

მეტად ძუნწი ცნობა მოგვეპოვება ბათუმელი მეფაბრიკის მურად ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის შესახებ. სათანადო წიგნში აღნიშნულია, რომ მხოლოდ ამ ფაბრიკაში 10 ცხენისძალიანი ნავთის 2 დასადგარი და 100 მუშა მუშაობდა[92].

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული ფაბრიკა გამონაკლისს არ წარმოადგენს, ასეთივე არასრული ცნობებია მოცემული ამხანაგობა „კომეტასა" და ბათუმელი მეფაბრიკის ა. დანიელოვის წარმოების შესახებ. ჩვენს მიერ სქოლიოში მითითებულ წიგნში აღნიშნულია, რომ ა. დანიელოვის ფაბრიკაში 24 მუშა მუშაობდა და ორთქლის 1 დაზგა იდგა[93], ხოლო „კომეტას" შესახებ მხოლოდ მისი ადგილსამყოფელია ნაჩვენები[94].

1914 წლის აგვისტოში გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ამ ომში გერმანიის მხარეზე თურქეთის გამოსვლამ კავკასიის ფრონტის შექმნა გამოიწვია. „საქართველო და ამიერკავკასია ფრონტისპირა ზოლად იქცა. ომისაგან გამოწვეული სამეურნეო ნგრევა განსაკუთრებით მისწვდა ფრონტისპირა მხარეებს, კერძოდ, ამიერკავკასიას და საქართველოს. დიდად შემცირდა და რიგ შემთხვევებში დაიხურა საწარმოები. საქართველოს მრეწველობის მაცოცხლებელი და მისი ნაკლავარი ძარღვი — ფოთი — ბათუმიდან შავი ქვისა და ნავთის

---

[89] იქვე.
[90] იქვე.
[91] იქვე, გვ. 606.
[92] იქვე, გვ. 604.
[93] იქვე.
[94] იქვე, გვ. 608.

ექსპორტი დარდანელის სრუტით შეწყდა. დარდანელის სრუტის დაკეტვამ სავსებით დასცა რუსეთის საგარეო ვაჭრობა"[95].

ზემოთ, როდესაც 1877—1878 წლების საქართველოს მრეწველობის მდგომარეობას ვეხებოდით, ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ ომისაგან შექმნილმა ვითარებამ მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების დახურვა გამოიწვია, მაგრამ ეს არ შეხებია თამბაქოს დამმუშავებელ ფაბრიკებს, მათი წარმოება არა თუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდეც. ამ მდგომარეობის გადამწყვეტ ფაქტორად მხარეში ჯარის სიმრავლე მივიჩნიეთ, როგორც ერთ-ერთი მთავარი მომხმარებელი თამბაქოს ნედლეულისა. ეს რომ ასეა, ამას 1914-1917 წლების ომის პერიოდიც ადასტურებს. მართალია, აღნიშნულ დროს ადგილი არ ჰქონია ახალი ფაბრიკების გახსნის ცდებს, მაგრამ ის საწარმოები, რომლებიც ომის წინ მსხვილ სამრეწველო ობიექტებს წარმოადგენდნენ, ომის პერიოდშიც მოქმედებენ და არა თუ მცირდება მათი წარმოების დონე, არამედ, პირიქით, იზრდება. ჩვენი ნაოქვამი, რა თქმა უნდა, იმდროინდელ საქართველოში არსებულ თამბაქოს ყველა ფაბრიკას არ შეეხება, ამიტომაც მხოლოდ მსხვილ ფაბრიკებზე მივუთითებთ, რომლებიც წლიური პროდუქციითა და ტექნიკური აღჭურვილობით სხვასთან შედარებით წინ იდგნენ და ომისაგან გამოწვეულ ეკონომიურ სიძნელეებს გაუძლეს მთავრობისა და სახელმწიფო დაწესებულებებისაგან გარკვეული ხელშეწყობის შედეგად. ომის დროს ჯარის თამბაქოს ნედლეულით მომარაგება, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა. ამიტომ მთავრობას თამბაქოს ზოგიერთი ფაბრიკა, თუ ყველა არა, ინტენდანტ დაწესებულებად უნდა ეცნო და განსაკუთრებული შეღავათები მიეცა მისთვის. აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ 1916 წლის ოქტომბერში სეილანოვების თამბაქოს ფაბრიკის მუშები სამხედრო სამსახურისაგან გაათავისუფლეს, რადგანაც თვით წარმოება მიჩნეული იყო სახელმწიფო თავდაცვისათვის მომუშავე ობიექტად[96].

თუ რა როლს თამაშობდა ომის პერიოდში საქართველოს თამბაქოს ფაბრიკები, კარგად ჩანს ა. ენფიანჯიანცის მოხსენებით ბარათში, რომელიც მან 1917 წლის 16 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვალის მოადგილეს სამხედრო დარგში ინფანტერიის გენერალს იანშკენიჩს

---

[95] ა. კ ი ტ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., წ. 11, თბ., 1959, გვ. 340.

[96] საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 84, ფურც. 23ა.

წარუდგინა. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, ხელისუფლების ორგანოებს სამხედრო საჭიროებისათვის თბილისის თამბაქოს საწყობების რეკვიზიცია განუზრახავთ. ა. ენფიანჯიანცი აღნიშნავს, რომ ვინაიდან არ არსებობს აღნიშნული საწყობების სანაცვლო ვარგისი სათავსოები, გთხოვთ დაგვიტოვოთ ისინი, რომელთა გარეშე ფაბრიკებს თამბაქოს ერთი წლის მარაგის შენახვაც არ შეუძლიათო. იმ დროს თბილისის თამბაქოს საწყობებში 3 500 000 მანეთის ღირებულების 60 000 ფუთი თამბაქო ინახებოდა. თამბაქოს ფაბრიკების შესახებ მწარმოებელი აღნიშნავს: «табачные фабрики признаны работающими на оборону, выделивая в год 1 934 515 папирос и 1 600 000 фунтов табаку поставляют табачные изделия разным учреждениям военного ведомства и снабжают и рынок строго придерживаясь требования министра финансов в отношении продажных цен на табачные изделия, тем самим избавляя администрацию от забот по снабжению населения и войск табачными изделиями являясь таким образом исключением среди других городов российской империи, во вторих уплачивает в доход государственного казначейства 10 миллионов рублей в год, в третих культура табаку дает работу свыше 5 000 рабочим при имущественно состоящих из жен и детей лиц, призванных на защиту родины»[97].

ომის დროინდელი თამბაქოს ფაბრიკების მდგომარეობის შესახებ საყურადღებო მასალებია დაცული ხარკოვის არქივში, ხარკოვის ოლქის საფაბრიკო ინსპექტორის ფონდში. ერთ-ერთ საბუთში მოცემულია სია იმ ფაბრიკა-ქარხნებისა, რომლებმაც 1914 წლის ივლისიდან იმავე წლის ნოემბრამდე წარმოება გაზარდეს. მათ შორის [illegible], ინ[illegible]ხ[illegible]ის, ბოზარჯიანცის, სეილანოვისა და „კომეტას" თამბაქოს ფაბრიკები, რომელთაც წარმოების დონე 20%-ით გაუზრდიათ. ამის მიზეზად ჩვენს მიერ გამოყენებულ საარქივო დოკუმენტში თამბაქოს მზა პროდუქციაზე გაზრდილ მოთხოვნილებას ასახელებენ, ეს უკანასკნელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, საომარმა მდგომარეობამ და ჯარის სიმრავლემ განაპირობა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თამბაქოს ფაბრიკებში წარმოების დონის ზრდასთან ერთად გახანგრძლივდა სამუშაო დრო და გაიზარდა მუშათა რაოდენობაც; ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი მცირე გამონაკლისს გარდა, ძირითადად ქალებისა და მცირეწლოვანების

---

[97] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 254, ფურც. 118.

ხარჯზე ხდებოდა. თუ ომის წინ ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ჩვეულებრივარ 360 მუშა მუშაობდა, აღნიშნული დროის მონაკვეთში მათმა რაოდენობამ 434 კაცს მიაღწია; ბოზარჯიანცის ფაბრიკაში მუშახელი 204-დან 224 კაცამდე გაიზარდა, სეილანოვთან 150-დან 190-მდე და „კომეტაში“ 100-დან 130 კაცამდე[98].

რა მდგომარეობა იყო მრეწველობის სხვა დარგებში: სარკინიგზო მიმოსვლის შეფერხებასთან დაკავშირებით შეჩერდა მუშაობა მარტიროსიანცის, საღათელოვის, აივაზოვისა და ეილჩიევის აგურის ქარხნებში. პროდუქციის გაუსაღებლობამ გამოიწვია ვეტცელის, ლ. მადერის, ო. მადერის, დიტრიხის ლუდის ქარხნების, დ. სარაჯიშვილის მემკვიდრეთა ქარხნის, აგრეთვე ამხანაგობა „რაკტიფიკატის“, „არგოსა“ და სხვ. მუშაობის შეჩერება[99].

სამაგიეროდ, ამავე დროს ადელხანოვის ქეჩის ფაბრიკის წარმოების დონე 50% გაიზარდა, ტყავის ქარხნისა 10—15%, ფეხსაცმლის ფაბრიკისა—50% და ტანსაცმლის სახელოსნოებისა — 300%-ით[100]. ყველა ზემოჩამოთვლილი სამრეწველო ობიექტი ომთან დაკავშირებით ჯარის დანიშნულებისათვის საჭირო პროდუქციას უშვებდა, სხვანაირად წარმოუდგენელია ომის პირობებში წარმოების შესამჩნევი ზრდა. აშკარაა, მრეწველობის დარგები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულნი იყვნენ ჯარის საარსებო მოთხოვნილებებთან, გარკვეული დროის მანძილზე ახერხებდნენ წარმოების ზრდას და დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1914 წლის ივლისიდან ნოემბრის თვემდე თამბაქოს ფაბრიკების წარმოების დონე 20%-ით გაიზარდა, ხოლო შემდეგი წლის ბოლოსათვის მატებამ 30% მიაღწია[101]. გაიზარდა მუშათა რაოდენობაც: თუ 1914 წლის ზაფხულში თბილისის თამბაქოს 4 ფაბრიკაში 978 მუშა მუშაობდა, წლის ბოლოს მათი რაოდენობა 1029 მუშამდე გადიდდა. თვითეულ ფაბრიკაზე შემდეგი რაოდენობის მუშა მოდიოდა: ენფიანჯიანცთან 450, ბოზარჯიანცთან 229, სეილანოვთან 200 და „კომეტაში“ 150 მუშა[102].

როდესაც ომის დროინდელი მრეწველობის ზოგიერთი დარგის წარმოების ზრდაზე ვლაპარაკობთ, ისე არ უნდა გავიგოთ, მათზე ომით გამოწვეულ ეკონომიურ მდგომარეობას გავლენა საერთოდ არ

---

[98] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, д. 387, ფურც. 6.

[99] იქვე, ფურც. 4.

[100] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, д. 387, ფურც. 6.

[101] იქვე, ფურც. 20.

[102] იქვე.

მოეხდინოს. მაგალითად, 1915 წელს კარგა ხნით შეჩერდა ამიერკავკასიაში ერთ-ერთი მსხვილი წარმოების — ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშაობა, რაც სარკინიგზო მიმოსვლის მოშლის შედეგად ნედლეულის შემოუტანლობამ გამოიწვია[103].

მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროინდელი თამბაქოს ფაბრიკების პროდუქციის ზრდაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა პროფ. პ. გუგუშვილის მიერ შედგენილი ცხრილი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა წლების მანძილზე ამიერკავკასიის ფაბრიკებში გადამუშავებული თამბაქოს ფოთლის რაოდენობა. ცხრილიდან მხოლოდ ბოლო სამი წლის მონაცემებს ვიღებთ, რადგანაც იგი უშუალოდ ჩვენთვის საინტერესო დროის მონაკვეთს შეეხება (იხ. ცხრ. 10)[104].

ცხრილი 10

ამიერკავკასიის ფაბრიკებში გადამუშავებული თამბაქოს ფოთოლი (ფუთობით)

წლები	საერთოდ ფაბრიკებში	სპეციალურად წვეოს ფაბრიკებში	სულ
1913	109 745	12 282	122 027
1914	110 459	12 331	122 790
1915	130 487	14 684	145 169

ცხრილიდან აშკარად ჩანს, რომ თამბაქოს მრეწველობა ომის დროს კი არ ეცემა, არამედ გარკვეულ წინსვლასაც განიცდის. აბა როგორ უნდა ავხსნათ ის გარემოება, რომ თუ 1914 წელს ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკებში 122 790 ფუთი თამბაქო იქნა გადამუშავებული, 1915 წელს მისმა რაოდენობამ 145 169 ფუთს მიაღწია.

თბილისელმა პირველი გილდიის ვაჭარმა ა. ა. ენფიანჯიანცმა 1915 წლის სექტემბერში მძიმე საომარ პერიოდში სააქციონერო საზოგადოება ჩამოაყალიბა, მისი ძირითადი კაპიტალი 1200 000 მანეთით განისაზღვრებოდა, რომელიც დაყოფილი იყო 1 200 აქციად, თითოეული 100 მანეთად[105].

სააქციონერო საზოგადოების შექმნამდე ერთი თვით ადრე კავკასიის მეფისნაცვლის მოადგილე სამოქალაქო დარგში სენატორი ვ. პეტერსონი ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს აცნობებდა: ა. ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის წლიური ბრუნვა 3 000 000

[103] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, д. 387, ფურც. 19.

[104] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, 1940, ტ. XVI, გვ. 148.

[105] ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 17, д. 362, ფურც. 101—102.

მანეთს შეადგენს, თვით ფაბრიკის შენობა 400 000 მანეთადაა შეფასებული, ხოლო მეფაბრიკის მოძრავი ქონება, ქაღალდები და ნაღდი ფული 100 000 მანეთით განისაზღვრებაო[106].

თუ რა მიზანს ისახავდა სააქციონერო საზოგადოების შექმნა, კარგად ჩანს მისი წესდების პირველი პარაგრაფიდან: «Для приобретения, содержания и развития действий, принадлежащей Тифлисскому 1-й гильдии купцу Арташесу Амбарцумовичу Энфианджианцу табачной фабрики «А. Энфианджианц», находящейся в Тифлис по Вокзальной улице, под №№ 8 и 10, равно для устройства, приобретания и эксплоатации других фабрик, изготовляющих всякого рода изделия из табака, бумаги и других т. п. материалов, а также для торговли изделиями означенных фабрик однородными изделиями чужого производства, и листовыми табаками в России и заграницей, учреждается акционерное общество, под наименованием: «Акционерное общество табачной фабрики «А. Энфианджианц в Тифлисе»[107].

საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს მმართველობა, სარევიზიო კომისია და აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენდა. საქციონერო საზოგადოების დირექტორად და დირექტორობის კანდიდატად იმ პირს ირჩევდნენ, რომელიც 100 აქციის მფლობელი იყო[108].

საზოგადოების არსებობის ვადა წესდებით განსაზღვრული არ იყო[109]. ა. ენფიანჯიანცთან დაკავშირებით გვინდა ერთი საინტერესო ფაქტიც მოვიყვანოთ. მართალია, იგი უშუალოდ თამბაქოს სააქციონერო საზოგადოებას არ შეეხება, მაგრამ რადგანაც ამ დოკუმენტიდან ირკვევა, თუ როგორი გავლენით სარგებლობდა მსხვილ მრეწველებს შორის თვით ა. ენფიანჯიანცი, მისი მოტანა მიზანშეწონილად ვცანით.

1916 წლის პირველ ნახევარში თბილისში „მეფაბრიკეთა და მექარხნეთა ეკონომიური საზოგადოება" ჩამოყალიბდა. მისი მიზანი იყო ომისაგან გამოწვეული მუშათა ცუდი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი საშუალებების გამონახვა. აღნიშნული საზოგადოების პირველი საერთო კრება 1916 წლის 27 მაისს გაი-

---

106 იქვე, ფურც. 104.

107 Устав Акционерного общества табачной фабрики «А. Энфианджианц», თბ., 1915, გვ. 1.

108 ЦГИАЛ, ф. 1276, оп. 17, д. 362, ფურც. 101—102.

109 იხ. მითითებული წესდება, გვ. 32.

მართა, რომელზეც გამგეობის წევრებად აირჩიეს: ა. ენფიანჯიანცი, მ. მილოსლავსკი, ა. ანდრეევი, კ. ტაიროვი, კ. პარა, ა. ლიუბერმანი, ა. სეილანოვი, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებად: ვ. კოლობოვი, მ. ლაღიძე და ა. ყორღანოვი. იმავე თვის 30 მაისს საზოგადოების გამგეობის კრებამ თავის პირველ თავმჯდომარედ ა. ენფიანჯიანცი აირჩია.

1918 წლის ნოემბერში ა. ენფიანჯიანცის სააქციო საზოგადოების ძირითადი კაპიტალი თითქმის 4-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში საზოგადოებაში გაერთიანებული იყო 15 Გრეწველი. გამგეობის მუშაობას ხელმძღვანელობდა ა. ენფიანჯიანცი, რომელიც ამავე დროს ფლობდა საზოგადოების მთელი აქციების 31,2 და საზოგადოების დროებითი მოწმობის 50,4 პროცენტს, რაც შეადგენდა სააქციო საზოგადოების მთელი კაპიტალის 40,7 პროცენტს. ამის გამო ა. ენფიანჯიანცს გაბატონებული ადგილი ეჭირა სააქციო საზოგადოებაში და თავისი სურვილის შესაბამისად წარმართავდა გამგეობის მუშაობას[110].

ა. ენფიანჯიანცის სააქციონერო საზოგადოებას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავა საქართველოს თამბაქოს მრეწველობაში. ამას გარდა, თავიანთი წარმოების დონით გამოირჩეოდნენ ბოზარჯიანცის, სეილანოვის, ბინიათ-ოღლის, ფაბრიკა „კომეტა“ და სხვა საწარმოები.

„საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც თამბაქოს ზემოაღნიშნული ფაბრიკები საწარმოო პროგრამის მოცულობის მხრივ კვლავ ინარჩუნებდნენ წამყვან მდგომარეობას. ასე, მაგალითად, 1922 წელს ყოფილ ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაზე მოდიოდა საქართველოში დამზადებული პაპიროსის საერთო რაოდენობის 33,6 პროცენტი, სეილანოვის ფაბრიკაზე — 25, ბოზარჯიანცის ფაბრიკაზე—18,2, ბინიათ-ოღლის ფაბრიკაზე — 45 პროცენტი, თამბაქოს დამზადების მხრივ პირველი ადგილი ეჭირა ყოფ. „მირის“ თამბაქოს ფაბრიკას, რომელზეც მოდიოდა საქართველოში დამზადებული თამბაქოს თითქმის 41 პროცენტი. სეილანოვის ფაბრიკის ხვედრითი წონა შეადგენდა 31,3 პროცენტს, ბინიათ-ოღლისა 6,4 პროცენტს“[111].

ასე წარმოგვიდგება თამბაქოს მრეწველობა საქართველოში 1880—1919 წლებში.

---

[110] მ. ჯიჯეიშვილი, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1965, გვ. 40.

[111] Материалы о табачной промышленности в Грузии, Тифлис, 1932. გვ. 32; ციტირებულია მ. ჯიჯეიშვილის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 41.

თავი IV

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა

კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში შედეგად მოჰყვა ბურჟუაზიული საზოგადოების ახალი კლასის — დაქირავებული მუშათა კლასის, ანუ სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა[1].

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ცხოვრება განუყოფელი ნაწილია საქართველოს მუშათა კლასის — პროლეტარიატის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა, ვიდრე თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობას დავახასიათებდეთ, წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ საკითხს ჩვენ კიდევ მაშინ შეეხებით, როდესაც აღნიშნული ფაბრიკების მუშათა რევოლუციურ მოძრაობას განვიხილავთ (1900—1916 წლებში). ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ერთგვარი პარალელი გავავლოთ 80—90-იანი წლებისა და 1900-იანი წლების თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობაზე. ვფიქრობთ, ასეთი შედარება უფრო ნათელ სურათს მოგვცემს აღნიშნული ფაბრიკების მუშათა მდგომარეობის დასახასიათებლად.

თუ რა პირობებში უხდებოდათ შრომა თამბაქოს ფაბრიკების მუშებს, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნებული პ. ჟუკოვის წერილი, რომელიც 1870-იანი წლების თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მდგომარეობას ეხება. როგორც პ. ჟუკოვი აღნიშნავს, 1874 წელს თბილისის თამბაქოს ფაბრიკებში (ამ დროს სულ 16 ფაბრიკა იყო — დ. ც.) 900 მუშა შრომობდა, რომელთაგან 400 მცირეწლოვანი იყო. ყველაზე მეტი — 140 მუშა, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში მუშაობდა. ზამთრობით სამუშაოს დილის

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962, გვ. 176.

8 საათზე იწყებდნენ და 1 საათიანი შესვენებით საღამოს 8—8,5 საათამდე აგრძელებდნენ. თამბაქოს ზოგიერთ ფაბრიკაში მუშებს სადილისათვის 1—1,5 საათი შესვენება ჰქონდათ, მაგრამ მათი სამუშაო დრო ღამის 10 საათამდე გრძელდებოდა. საჭიროების შემთხვევაში მეფაბრიკე მუშებს დაწესებულ დროზე [illegible] ხ[illegible] უძ[illegible]ვებდა. მაგალითად, იმასთან დაკავშირებით, რომ ბოზარჯიანცის ფაბრიკის ნაწარმზე დიდი მოთხოვნილება იყო, 1897 წელს მან სამუშაო დროის გახანგრძლივება ღამის 11 საათამდე მოითხოვა[2]. ასეთი ფაქტები მრავალია, მაგრამ მათ შესახებ მაშინ აღვნიშნავთ, როდესაც ცხრაასიანი წლების თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობას შევეხებით. საერთოდ, 70-იან წლებში თბილისის თამბაქოს ყველა ფაბრიკაში მუშები განურჩევლად ასაკისა 19 საათს მუშაობდნენ, ხოლო მეპაპიროსეები იმის გამო, რომ ხელფასს ყოველ 1000 ცალ დამზადებულ პაპიროსში იღებდნენ, ღამის 1 საათამდე შრომობდნენ. აი როგორ წარმოგვიდგება ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა რაოდენობა და მათი დანაწილება:

თამბაქოს ფოთლის შემრჩევი 5 კაცი, ხელფასი 1 მანეთიდან 33 მანეთამდე თვეში.

დამჭრელი 1 კაცი, 25 მანეთიდან 30 მანეთამდე თვეში.

დამხარისხებელი 7 კაცი, 18 მანეთი თვეში.

შემფუთველი 7 კაცი, 8 მანეთი თვეში.

მეპაპიროსე 50 კაცი, 12-დან 20 მანეთამდე თვეში.

ამათ გარდა, ფაბრიკაში მუშაობდა კოლოფების მკეთებელი და ბანდეროლების დამკვრელი 60 ბავშვი, რომლებიც კვირაში 80 კაპიკიდან 1 მანეთსა და 50 კაპიკს იღებდნენ, ე. ი. დღეში 13 კაპიკიდან 25 კაპიკამდე. ასეთივე მდგომარეობა იყო თამბაქოს სხვა ფაბრიკებშიც[3]. „სანარდო მუშაობის სისტემის გამო მუშები მაქსიმალურად ამცირებდნენ თავიანთ დასვენებას. ისინი უძილოდ ატარებდნენ ღამეებს თავაუღებელ შრომაში იმისათვის, რომ დღის სინათლეზედაც „არ მომცდარიყვნენ“, შესძლებოდათ მუშაობა[4]. მეპაპიროსე მუშები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რაც შეიძლება მეტი პაპიროსი დაემზადებინათ, რომ ყოველ 1 000 ცალზე 50 კაპიკი მიეღოთ. ამისათვის მუშას სახლშიც კი მიჰქონდა სამუშაო, რათა საპაპიროსე ჰილზების დამზადებაში ოჯახის წევრები დახმარე-

---

[2] საქ. ცსია, ფ. 371, აღ. 1, საქ. 132, ფურც. 180.

[3] გაზ. «Кавказ», 1874, № 46, გვ. 1.

[4] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს., წ. II, თბ., 1959, გვ. 120.

ბოდნენ. „ასე რომ, მის დღიურ ხელფასში, რაც არ აღემატებოდა 1 მანეთსა და 25 კაპიკს, წილი ედო თითქმის მთელ ოჯახს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მარტო მუშაზე და მის ოჯახზე არ ნაწილდებოდა ეს გამომუშავებული ფული. კვალიფიციურ მეპაპიროსე მუშას, რომელიც ნარდად მუშაობდა ფაბრიკაში, ხშირად თავის თანაშემწედ ჰყავდა მცირეწლოვანი მუშა, რომელიც შველოდა მას მთელი მუშაობის მანძილზე. ამ დამხმარე ძალის ფასს მუშა ანაზღაურებდა იმ 1 მან. 25 კაპიკიდან, რასაც ნარდად მუშაობით ღებულობდა. „ასე რომ, პირველი მონაწილე ნარდად მომუშავე მუშის დღიურ ხელფასში ეს მისი დამხმარე, უმცროსი ამხანაგი იყო... მეფაბრიკე სინდისის წინაშე თავის თავს მართლად მიიიჩნევდა, მან ნარდად დამზადებულ ათას ცალ პაპიროსზე მუშას დაუწესა ათი შაური, და რა მისი საქმე იყო, ამ სამუშაოს ერთი შეასრულებდა თუ ხუთი[5].

აი როგორ აგვიწერს სანარდო სისტემას ერთი ძველი მუშა თავის მოგონებაში: „მაშინ (80—90-იანი წლებში) სანარდო სისტემა იყო და ძმას სახლში მოჰქონდა სამუშაო. მთელი ოჯახის წევრებს გვამუშავებდა — ჰილზებს ვახვევდით. შუაღამისას, როცა ძილი შეგვეპარებოდა, ძმა ჯოხით ხელში თავზე გვადგა და არ გვაძინებდა. ხშირად ჩემს დას ძილი მოერეოდა, ძმა ჯოხის ცემით აღვიძებდა საწყალ გოგოს და ტახტიდანაც გადმოაგდებდა — როგორ გაბედე დაძინებაო. არც ის იყო გასამტყუნარი. თუ ღამით არ დაამზადებდა მასალას, დღისით ვერაფერს გამოიმუშავებდა“[6].

თამბაქოს ფაბრიკების მუშებს ასეთი მძიმე სამუშაოს შესრულება უხდებოდათ მეტად ცუდ პირობებში. საწარმოები მოთავსებული იყო უვარგის შენობებში, არ ნიავდებოდა ჰაერი, გამეფებული იყო ანტისანიტარია, რაც, ცხადია, ცუდად მოქმედებდა მუშებისა და განსაკუთრებით მუშა-ბავშვების ჯანმრთელობაზე. 11—15 წლის მოზარდები (უფრო მცირეწლოვანებიც კი) ყოველდღიურად ფეხზე მდგარნი მუშაობდნენ 12 საათს სასტიკ სიბინძურესა და თამბაქოს მტვრით მოწამლულ ოთხებში, რაც იწვევდა ბავშვების დაავადებას[7].

არც უფროსი ასაკის მუშათა მდგომარეობა იყო იოლი. მაგალითად, დამხარისხებლები იატაკზე ისხდნენ, დამჭრელები დაჩოქილნი

---

[5] იქვე.

[6] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1870—1901 წწ., თბ., 1945, გვ. 51.

[7] Газ. «Кавказ», 1874, № 46; П. Ж у к о в, Несколько слов о рабочем вопросе по отношению к нашему краю.

მუშაობდნენ, მხოლოდ მეპაპიროსეები და მემუნდშტუკეები ისხდნენ მუშაობის დროს სკამებზე. იმის შიშით, რომ ფაბრიკიდან არ გაეტანათ უბანდეროლო თამბაქოს ნაწარმი, ფანჯრები მუდამ დაკეტილი იყო, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა თამბაქოს მტვრით მოწამლულ ჰაერს[8]. ასეთი მდგომარეობა დამახასიათებელი იყო საქართველოში არსებული თამბაქოს ყველა ფაბრიკისათვის. ამ მეტად ძნელ სამუშაო პირობებს თან ერთვოდა მუშათა მძიმე საცხოვრებელი პირობებიც, ისინი ცხოვრობდნენ ქალაქგარეთ სახელდახელოდ აშენებულ ფიცრულებში, სიბინძურესა და ტალახიან ადგილებში.

იმის საილუსტრაციოდ, თუ 80-იანი წლებისათვის საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში მუშათა რა რაოდენობა იყო დასაქმებული, მოვიტანთ სათანადო ცხრილს, რომელიც ჩვენ შევადგინეთ საარქივო მონაცემების საშუალებით[9]. ქუთაისის გუბერნიაში შემავალი თამბაქოს ფაბრიკების მონაცემები 1885 წლისაა[10] (იხ. ცხრ. 11).

ცხრილი 11

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რაოდენობა საქართველოში 1886 წელს

თამბაქოს ფაბრიკები	მოზრდილნი	მცირეწლოვანნი	სულ
ბოზარჯიანცის	210	50	260
საფაროვის	90	10	100
ვარნაზოვის	36	13	49
ენფიანჯიანცის	40	5	45
საგოიანცის	37	7	44
ი. ფირალოვის	26	4	30
ბალეგოვის	20	4	24
ს. ფირალოვის	40	13	53
მეფისოვისა და პალაშოვის ქუთაისში	18	—	18
ლ. ბინიათ-ოღლის ბათუმში	26	—	26
კაიაბეკოვის ახალციხეში	13	4	17

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხრილში ქუთაისის გუბერნიის მონაცემები 1885 წელს შეეხება. ეს იმიტომ, რომ 1886 წლის მასალებში კონკრეტული ცნობები არ არის შემონახული ხსენებული

[8] Ст. Гулишамбаров, ОФЗТГ, Тиф., 188, თვ. 34, 35.
[9] საქ. ცსია, ფ. 204, აღ. 1, საქ. 654, ფურც. 62—77.
[10] ЦГИАЛ, ф. 20, оп. 12, д. 100, ფურც. 38.

გუბერნიის ამა თუ იმ ფაბრიკაზე. იმ ზოგად ცნობაში კი, რომელიც 1886 წელს შეეხება, აღნიშნულია, რომ ქუთაისის გუბერნიაში არსებობს თამბაქოს 4 ფაბრიკა და მათში დასაქმებული მუშათა რაოდენობა 140 კაცს შეადგენსო[11].

80-იან წლებში თბილისის გუბერნიის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა შემადგენლობა ეროვნებათა მიხედვით ასე წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 12)[12].

ცხრილი 12

თამბაქოს ფაბრიკები	სომეხი	ქართველი	რუსი	ბერძენი	თათარი
ბოზარჯიანცის	194	63	2	—	1
საფაროვის	75	60	2	3	10
ენფიანჯიანცის	40	5	—	—	—
ეარნაზოვის	40	7	—	—	2
საგოიანცის	35	6	—	—	3
ფირალოვის	20	7	—	—	3
გალეგოვის	20	3	—	—	1
კაიაბეკოვის	4	13	—	—	—
ს უ ლ	128	164	4	3	20

სამწუხაროდ, ჩვენ საშუალება არ გვაქვს გავეცნოთ მომდევნო წლების მუშათა ეროვნულ შემადგენლობას, რადგან იმდროინდელ სტატისტიკაში საერთოდ უყურადღებოდ იყო დატოვებული ეს საკითხი. მხოლოდ შემდგომში ასე თუ ისე მიექცა მას ყურადღება.

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, ამ დროისათვის (ე. ი. 80-იანი წლებისათვის) ადგილობრივ ეროვნულ ელემენტს სჭარბობენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები.

საერთოდ საქართველოში სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სამუშაოს საძიებლად გადმოსულმა სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, რუსებმა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა, რომლებიც შემდეგ საქართველოში მუდმივ მცხოვრებლებად დარჩნენ. შემოსული მუშათა ნაკადის მოწოლა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობა თავდაპირველად კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობას

[11] ЦГИАЛ, ф. 1263, оп. I, д. 4653, ფ.რც. 731.

[12] Ст. Гулишамбаров. ОФЗТГ, Тиф., 1888. გვ. 32, 33.

განიცდიდა, რისი მიღებაც არ შეეძლო ადგილობრივ[13]. თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობასაც, მით უმეტეს, თამბაქოს მზა პროდუქციის დამზადებას განსაკუთრებული ცოდნა და ხელობა სჭირდება, ისევე როგორც სავაჭრო-სამრეწველო თამბაქოს მოყვანას, რომლისთვისაც საქმის მცოდნე ლაზებს, თურქებს, სომხებსა და ბერძნებს ქირაობდნენ. თამბაქოს ფაბრიკებშიც სხვა ეროვნებების სიმრავლის ერთ-ერთი მიზეზი აღნიშნული დროისათვის წარმოების სპეციფიკა იყო.

„საქართველოს მუშათა კლასის ცხოვრების პირობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მუშათა საშუალო ხელფასი აქ გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე სხვა, უფრო განვითარებულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ ქართველი მუშების ფრიად მნიშვნელოვან ნაწილს სოფელთან კავშირი არ ჰქონდა გაწყვეტილი და მიწის მცირე ნაკვეთს ფლობდა. ეს ბადებდა შესაძლებლობას, რომ მისი ხელფასი კაპიტალისტებს მისი მინიმალურ ზღვარზე ქვემოთ დაეწიათ. მიწის მცირე ნაკვეთი, სახლი, ბოსტანი, ძროხა ქართველ მუშას საშუალებას აძლევდა თავისი სამუშაო ძალა მინიმალურ ფასზე დაბლა გაეყიდა"[14].

ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი საბუთია 1900 წელს ბოზარჯიანცისა და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა გაფიცვების შესახებ თბილისის პოლიცმეისტერის მოხსენებითი ბარათი გუბერნატორისადმი, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ზემოხსენებული ფაბრიკების მეპაპიროსეები უფრო ხელსაყრელად თვლიან ზაფხულობით ხელი მოჰკიდონ ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობასა და თევზის ჭერას, ვიდრე ფაბრიკაში შრომას. პოლიცმეისტერი აგრეთვე შენიშნავს, რომ ისე როგორც წინა წლებში, ახალაც მათ ხელი მოჰკიდეს თავიანთ საქმეს და სეზონის დამთავრების (ალბათ შემოდგომის ბოლოს, — დ. ც.) შემდეგ შეუდგებიან ფაბრიკაში მუშაობასო[15].

კაპიტალისტების მიერ მუშათა სასტიკმა ექსპლოატაციამ და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებმა მუშათა კლასის უკმაყოფილება წარმოშვა. მე-19 საუკუნის 70—80-იან წლებში საქართველოში მუ-

---

13 К. А. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тб., 1958, გვ. 47.

14 საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო თბ., 1962, გვ. 179.

15 საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 4415, ფურც. 1.

შათა სტიქიური მოძრაობა დაიწყო. ამ მოძრაობის ავანგარდში 80-იან წლებში რკინიგზელი მუშები დგებიან, რომლებსაც შემდეგ მხარში ამოუდგნენ მთელი რიგი მსხვილი ფაბრიკა-ქარხნების მუშები.

90-იან წლებში თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმა აიმაღლეს თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშებმაც. 1894 წლის ივლისში ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა მოაწყვეს გაფიცვა, რომელშიც 100 კაცი იღებდა მონაწილეობას. თავიანთ განცხადებაში მუშები აღნიშნავდნენ, რომ უკვე 13 წელია, რაც მეფაბრიკე ყოველ გამომუშავებულ მანეთზე 1% უკავებს მუშებს იმ მოტივით, რომ გაჭირვების დროს ეს ფული თვით მუშებს მოხმარდებოდა. მუშები უჩიოდნენ აგრეთვე სამუშაო ადგილზე უწყლობას და სასადილოში უხარისხო საჭმელების დამზადებას. მუშებმა 18 ივლისს ფაბრიკაში სამუშაო მიატოვეს,. ისინი კატეგორიულად ითხოვდნენ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაბრიკაში დაბრუნებაზე უარს აცხადებდნენ. გაფიცულ ღარიბ მუშათა ოჯახებს გაფიცვის აქტიური წევრები სურსათს უგზავნიდნენ, რათა ისინი სამუშაოს არ დაბრუნებოდნენ. თბილისის გუბერნატორი თავადი შერვაშიძე კავკასიის მთავარმართებლისადმი მიწერილ მოხსენებით ბარათში აღნიშავდა, რომ თითქოს მუშათა საჩივრები მეფაბრიკის მიმართ წყლისა და სასადილოს შესახებ სინამდვილეს არ შეეფერებოდა, მეფაბრიკეს სასადილოდან არავითარი მოგება არ რჩებოდა, სამუშაო ოთახებში სასმელი წყლის დადგმა კი თამბაქოს დანოტივებას იწვევსო. რაც შეეხება 1% დაქვითვას, გუბერნატორი აღნიშნავდა რომ სალაროში 2765 მანეთი და 88 კაპიკია დაგროვილი, აქედან მხოლოდ 371 მანეთი და 65 კაპიკია მუშათა საჭიროებაზე დახარჯული, რომ სალაროში დაგროვილი თანხის რაოდენობა 1886 წლიდან ვიდრე 1894 წლის 16 ივლისამდე უფრო მეტს შეადგენს, ვიდრე სათანადო დოკუმენტში მეფაბრიკეს აქვს აღნიშნული; ასე რომ, მუშებს უნდა დაბრუნებოდა გაცილებით უფრო მეტი თანხა, ვიდრე ზემოთ არის აღნიშნული. რადგან სალარო, აღნიშავს გუბერნატორი, ზემდგომი ორგანოების ნებართვის გარეშე გაიხსნა, იგი უნდა დაიხუროს და ფული მხოლოდ იმ მუშებს მიეცეს, რომლებიც აღნიშნული სალაროს გახსნის დროს ფაბრიკაში მუშაობდნენ.

გაფიცული მუშები ქუჩაში გამოვიდნენ და მტკიცედ მოითხოვდნენ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. პოლიციამ ცხენოსანი კაზაკების საშუალებით მოახერხა მათი გაფანტვა, გაფიცვის

მოთავეები ალექსანდრე მანჯავიძე და არტემ არუთინიანცი დააპატიმრეს და ადმინისტრაციული წესით გადაასახლეს[16].

„ასე დასრულდა ეს საგულისხმო გაფიცვა. მუშები დამარცხდნენ, მეფაბრიკემ მაინც შეინარჩუნა ნაძარცვი ფული. გაფიცული მუშების მაგივრად მან ადრევე ჩააბა თავის წარმოებაში ქალები და ამით დაფარა მოთხოვნილება მეპაპიროსე მუშებზე"[17].

აღნიშნული გაფიცვა ყურადღების გარეშე გაზეთ „იბერიას" არ დარჩენია. აი რას წერდა იგი: „გუშინწინ, 10 აგვისტოს ბოზარჯიანცის თამბაქოს ქარხანასთან თავი მოიყარეს ამავე ქარხნის მუშებმა და თხოულობდნენ, ყველანი ხელახლავ (დათხოვნის შემდეგ—დ. ც.) მიგვიღეთ ქარხანაშიო. მუშები მხოლოდ მაშინ დაიშალნენ, როცა ამ ალაგას ბ-ნ პოლიცმეისტერის ყაზახები მოვიდნენ, ზოგიერთი მუშები თურმე დათხოვნილი ყოფილან ქარხნიდან და მაგიერად სხვები მიუღიათ"[18]. გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე მეფაბრიკის მიერ მუშებისადმი ფულის—1%-ის დაქვითვასა და გაფიცვის მოთავეთა დაპატიმრების ფაქტებს.

1894 წლის გაფიცვაში მონაწილე მუშებს აღნიშნული ფულისათვის ბრძოლა შემდგომშიაც არ შეუწყვეტიათ და 1905 წელს თავიანთ მიზანს მიაღწიეს: მათ მეფაბრიკისაგან უკან 7420 მანეთი დაიბრუნეს[19], რაც მუშათა ხანგრძლივი ბრძოლის გამარჯვების შესანიშნავი დასტურია.

1897 წელს გაიფიცნენ ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშები. გაფიცვა ფაბრიკაში ახალი მანქანების დადგმამ გამოიწვია. იგი 28 ივნისს დაიწყო და თითქმის ერთი თვე გაგრძელდა. ბოლოს გაფიცვა პოლიციის საშუალებით ჩააქრეს, ხოლო მისი ხელმძღვანელები დავით მღებროვი და ვანო მერაბოვი დააპატიმრეს და ლენქორანის მაზრაში გადაასახლეს[20]. ფაბრიკაში სამუშაო პირობები მკვეთრად გაუარესდა.

როგორც საარქივო მასალებიდან ირკვევა, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით გაზეთ „ცნობის ფურცელს" სათანადო წერილის გამოქვეყნება გადაუწყვეტია, მაგრამ მთავრობის ცენზურას იგი არ გამოპარვია და 1897 წლის 4 ივლისს

---

[16] საქ. ცსია, ფ. 39, აღ. 1, საქ. 94, ფურც. 1—4.

[17] ა. კ ი ა კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში 1871—1901 წწ., თბ., 1945, გვ. 97.

[18] გაზ. „იბერია", 1894, № 172.

[19] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, ,აქ. 4415, ფურც. 43.

[20] საქ. ცსია, ფ. 39, აღ. 1, საქ. 144, ფურც. 7, 8.

მისი დაბეჭდვა აუკრძალავს. ქვემოთ მოგვყავს ამ გამოუქვეყნებელი კორესპონდენციის სრული ტექსტი: „ყველას მოეხსენება, რომ ტფილისში არსებობს და თანდათან მატულობს სხვადასხვა ქარხნები. ამათ რიცხვში ხუთი თამბაქოს ქარხანაა, რომლებშიაც ევროპულ წესზე განვითარებით უპირატესობა ბ-ნ ენფიანჯიანცის ქარხანას ეკუთვნის. ამ ცნობილ კაპიტალისტს აქვს თავისი საკუთარი თამბაქოს პლანტაციები, საიდანაც მოსდის თავის საკუთარ ქარხანაში აუარებელი თამბაქო საუკეთესო და საშუალო ხარისხის, რომლის ღირებულებამაც მიიქცია თამბაქოს მრეწველთა განსაკუთრებული ყურადღება. ამ ქარხანაში მუშაობს 200-მდე კაცი, რომელთა სვებედი თანდათან გაძლიერებით განსაცდელში ვარდება. ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც ბ. ენფიანჯიანცი ბეჯითად შეუდგა სხვადასხვა სამუშაო იარაღების გაუმჯობესებას და ისეთ საშუალებათა მოპოებას, რომელთა მეოხებით მუშახელი შეემცირებინა. ამ ხანებში არა ერთჯერ მოხდა მუშების არეულობა, რითაც თავიანთი სვებედის უნუგეშო მოლოდინით უკმაყოფილებას უცხადებდნენ მექარხნეს, სამუშაოს თავს ანებებდნენ კიდეც, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ერთი პირი ძნელად თუ ერთ ბედში მყოფთ ოდესმე ჰქონდესთ გარდა იშვიათი შემთხვევისა და ისიც მაშინ, როდესაც უკიდურეს წერტილამდი მისულა მათი მდგომარეობა. ამათ, რასაკვირველია, სად ჰქონდათ ისეთი ძალა, რომ თავიანთ მეტოქეს გამკლავებოდნენ. თუ ერთი წილი თავგამოდებით იბრძოდა თავის უფლების დასაცველად, ე. ი. საშუშაოს შენარჩუნებისათვის და მეტოქეობას უწევდა თავიანთ ქარხნის პატრონს, ორი წილი, პირიქით, ემუდარებოდა: „შენი ჭირიმე, გვამუშავე, სიმშილით ნუ დაგვხოცო". ამისათვის მათს მოძრაობას შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია აქომამდე. ახლა კი ამ ცოტა ხანში ცნობილ მექარხნეს გამოუწერია საზღვარგარეთიდან ისეთი მანქანა ნიბი, რომელთა საშუალებით ერთი ოცად თურმე მუშახელს ამცირებს. ასე რომ, ერთი მანქანა 20—30 კაცის შრომას უდრის. ჯერ ერთი დაუდგამს პატრონს საცდელად, რომელიც სწრაფად და უდავიდარაბოდ იმდენ პაპიროსს ამზადებს, რამდენსაც 30 კაცი. ამის შემდეგაც იმდენივე რიცხვი მუშებისა დაუთხოვნია. ასეთივე მანქანა ჰქონია კიდევ 3—4 დასადგმელად მომზადებული. მაგრამ მუშებმა რომ დაინახეს თავიანთი სულის ამომხდელი მანქანები, აღარ დასჭირდათ ბევრი ჩიჩინი, სცნეს თავიანთი გამანადგურებელი ძალა და უნუგეშო მდგომარეობა. ამისათვის ვიდრე პატივცემული კაპიტალისტი მოასწრებდა მანქანის გამართვას და მუშათა ცხრა წილის დათხოვნას, ამ უკანასკნელებმა წინააღმდეგობა განუცხადეს და 24

ივნისს (შეცდომაა, უნდა იყოს 28 ივნისი — დ. ც.), მუშაობაზე ხელი აიღეს. მექარხნეს ჰგონებია, ქარხანას აიკლებენო, და ზომები მიუღია წესიერების დამცველთა მოწოდებით. მაგრამ ტყუილად. ეს მუშები არც ისე უგუნურები არიან, რომ ასე თავხედურად მოქცეოდნენ თავიანთ ნაოფლარს და ნაწვავ-ნადაგს. მათ ქარხნის აკლებაგანადგურება სრულიად აზრადაც არ ჰქონიათ, რაც დამტკიცდა მით, რომ ვიდრე წესიერების დამცველები მოვიდოდნენ, შიგ ერთი კაციც აღარ დარჩენილა, ყველა მშვიდობიანად თავის გზას გაუდგა. მათ თავიანთის უკმაყოფილების გამოცხადებით ისა სურთ, რომ სამუშაო ჰქონდეთ იმ დაწესებულებაში, რომელშიაც აქომამდე ოფლი უღვრიათ და თამბაქოს სენით მთელი ჯანმრთელობა შეურყევიათ. მაგრამ ლუკმაპურისათვის შრომას მაინც ხელს არ უშვებენ, რომლისათვისაც მედგრად იბრძვიან და თუ დროებით ხელი ააღეს სამუშაოს, ამის მიზეზი რასაკვირველია ზევით მოგახსენეთ.

სანამდის გასტანს ეს მათი უნუგეშო მდგომარეობა, ამას მომავალი გვიჩვენებს და, ჩვენის აზრით, თუ ამ საქმეში არ ჩაერია ვისიც ჯერ არს, ასეთი ხვედრი მოელის სხვა ქარხნების მუშებსაც და ვინ იცის, მაშინ საქმე არც ამით გათავდეს, რადგანაც უკიდურეს წერტილამდე მისული მუშებისაგან ყოველივე მოსალოდნელია. ეს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ არსებით მოთხოვნილებას მათი კაპიტალისტები ყურს არ ათხოვებენ და მარტო თავიანთ ჯიბის გასქელებას სცდილობენ"[21].

1898 წელს ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაშიც გაიფიცნენ მუშები მანქანების დადგმის გამო. 300-ზე მეტი გაფიცული მუშა ავიდა კოჯორში მთავარმართებელ გოლიცინთან და დახმარება სთხოვა. მან ყველა მოთხოვნის შესრულება აღუთქვა, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ სამუშაოდან დათხოვილი მუშები აღადგინეს, შრომის პირობები ისევ წინანდელი დარჩა.

მეფაბრიკე ენფიანჯიანცმა იმასთან დაკავშირებით, რომ იაფფასიანი პაპიროსი გამოუშვა, მეპაპიროსეებს ყოველ 1000 ცალ დამზადებულ პაპიროსზე 17 კაპიკის მაგიერ 12 კაპიკი დაუნიშნა, ამ მდგომარეობამ 1899 წლის 18 თებერვალს მუშათა გაფიცვა გამოიწვია, რომელიც 25 თებერვლამდე გაგრძელდა[22].

---

[21] შ. ცაგარეიშვილი, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო მოამბე", 9, თბ., 1956, გვ. 168—169.

[22] საქ. ცსია, ფ. 39, აღ. 1, საქ. 187, ფურც. 1.

1900 წლის გაზაფხულზე თბილისში მუშათა გაფიცვები არ შენელებულა. აღნიშნულ წელს გაიფიცნენ იარალოვის მექანიკური ქარხნის, საფაროვის ფეხსაცმლის საბელოსნოს, ადელხანოვის ტყავის ქარხნის, საფაროვის, ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების მუშები.

1900 წლის ივლისის პირველ რიცხვებში გაიფიცნენ საფაროვის ფაბრიკის მეპაპიროსეები. ფაბრიკის წარმოების შემცირებამ მუშათა ხელფასის შემცირებაც გამოიწვია, რასაც შედეგად მუშათა გაფიცვა მოჰყვა. თუ წინათ მეპაპიროსე მუშები დღიურად მუშაობდნენ და 4 000 ცალზე მეტ პაპიროსს აკეთებდნენ, ახლა მათ ხელფასი ყოველ 1 000 ცალ პაპიროსზე ეძლეოდათ, მაგრამ თითოეულ მუშას 2 500 ცალზე მეტი არ უნდა დაემზადებინა. ასეთმა მდგომარეობამ მათი გამომუშავება თითქმის ორჯერ შეამცირა, რამაც აღნიშნული უკმაყოფილება გამოიწვია. მეფაბრიკე იძულებული გახდა მუშათა კონტინგენტი გაენახევრებინა, თითოეული დათხოვილი მუშისათვის ერთდროულად 15 მანეთი მიეცა, ხოლო ფაბრიკაში დარჩენილებისათვის პაპიროსების დამზადების ძველი ნორმა დაეტოვებინა[23].

იმავე წლის 20 ივლისს ენფიანჯიანცის ფაბრიკის 40 მემუნდშტუკე მუშა გაიფიცა, ხოლო 17 აგვისტოს ამავე განყოფილების 34 მუშა შეუერთდა მათ. მემუნდშტუკეები თავიანთი შრომის ანაზღაურების გადიდებას მოითხოვდნენ და ამას კიდეც მიაღწიეს. თუ ისინი ამ დრომდე ყოველ 1 000 დამზადებულ პაპიროსზე 12—17 კაპიკს იღებდნენ, ახლა მეფაბრიკე იძულებული გახდა, მათი ხელფასი 20 კაპიკამდე გაეზარდა[24].

25 ივლისს გაიფიცა ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მეპაპიროსე 200 მუშა. თბილისის გუბერნიის ჟანდარმთა საუმართველოს უფროსის მიერ გაფიცულ მუშათა და მეფაბრიკის გამოკითხვის შედეგად გაირკვა: 1898 წელს ფაბრიკაში საპაპიროსე მანქანების დადგმამ მუშათა კონტინგენტის შემცირება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით შედგენილი პირობის საფუძველზე ფაბრიკიდან დათხოვნილ მუშებს უნდა მისცემოდა ერთდროული დახმარება არა ნაკლებ 30 მანეთისა. აღნიშნული პირობა ვრცელდებოდა მხოლოდ იმ მუშებზე, რომლებიც მისი შედგენისას ფაბრიკაში მუშაობდნენ, ამავე დროს, თუ მუშა ფაბრიკიდან წავიდოდა და შემდეგ კვლავ უკან დაბრუნდებოდა, ის კარგავდა პირობით გათვალისწინებულ უფლე-

---

[23] საქ. ცსია, ფ. 39, აღ. 1, საქ. 495, ფურ 1; ფ. 17, აღ. 1, საქ. 4400, ფურც. 2.
[24] იქვე, ფურ 1. 2.

ბას, მას აფორმებდნენ როგორც ახალმოსულს. ყოველივე ზემოაღნიშნულმა ფაბრიკაში მუშათა სამი კატეგორია წარმოშვა; ა) მუშები, რომლებზეც აღნიშნული პირობა ვრცელდებოდა, ბ) მუშები, რომლებმაც დაკარგეს პირობით სარგებლობის უფლება და ვ) ახლადმიღებული მუშები, რომლებზეც ეს პირობა არ ვრცელდებოდა. ბოლო ორი კატეგორიის წარმომადგენლებმა მოითხოვეს აღნიშნული პირობის აღდგენა ან ახლის მიცემა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მეპაპიროსეები სამუშაოზე ზოგჯერ დაგვიანებით ცხადდებოდნენ და რომ ამით ფაბრიკის მუშაობა არ შეფერხებულიყო, შემოიღეს ე. წ. მუშა „კანდიდატების" კატეგორია. ყოველ დილით მუშა „კანდიდატები" ფაბრიკაში ცხადდებოდნენ და ნაწილს იმის მიხედვით, თუ რამდენი მუშა დროზე არ მივიდოდა, სამუშაოს აძლევდნენ, სხვები კი მეორე დილამდე შინ ბრუნდებოდნენ. მუშა „კანდიდატები" ასეთმა მდგომარეობამ მეტად მძიმე ცხოვრების პირობებში ჩააყენა. მათ, თავიანთი მდგომარეობით აღშფოთებულებმა, ითავეს გაფიცვის მოწყობა.

იმის გამო, რომ ფაბრიკიდან საუზმისა და სადილისათვის გასული მუშები უკან არ ბრუნდებოდნენ, შემოღებული იქნა ფაბრიკის სასადილოში მათი სავალდებულო კვება (რა თქმა უნდა, თვით მუშების ხარჯზე).

მეფაბრიკე ენფიანჯიანცმა მუშათა გაფიცვის შემდეგ გადაწყვიტა ფაბრიკაში გაეუქმებინა მუშა „კანდიდატების" კატეგორია და ერთდროული დახმარების სახით თითოეულისთვის 30 მანეთი მიეცა. ასევე მან გააუქმა მუშების სავალდებულო კვება ფაბრიკის სასადილოში.

თბილისის გუბერნატორის განკარგულების თანახმად, პოლიცმეისტერმა საფაროვისა და ბოზარჯიანცის მუშებს გამოუცხადა, რათა შეკრებილიყვნენ მეფაბრიკის მიერ წამოყენებული პირობების მოსასმენად, მაგრამ დანიშნულ დროს არც ერთი მუშა არ გამოცხადდა. პოლიციის ცნობით, ზაფხულთან დაკავშირებით მეპაპიროსეთა უმრავლესობა სოფლებში იყო წასული, თბილისელი მაცხოვრებლები კი საზამთროთი და მწვანილით ვაჭრობდნენ, ან სხვა საზაფხულო საქმიანობას ეწეოდნენ[25].

მუშებმა გამოიჩინეს რა ერთსულოვნება და შეუპოვრობა, სამკვირიანი ბრძოლის შემდეგ იძულებული გახადეს მეფაბრიკე, დათმობებზე წასულიყო და მშრომელთა ძირითადი მოთხოვნები დაე-

---

[25] საქ. ცსია, ფ. 39, აღ. 1, საქ. 495, ფურც. 1, 2.

კმაყოფილებინა. ამიერიდან მეფაბრიკე თუ მუშის დათხოვნას განიზრახავდა, ეს მისთვის ორი კვირით ადრე უნდა ეცნობებინა, ასევე მუშა წასვლის შემთხვევაში ვალდებული იყო, მეფაბრიკე 14 დღით ადრე გაეფრთხილებინა. ავადმყოფობის შემთხვევაში მუშებმა ფაბრიკიდან ერთთვიანი წასვლის უფლება მოიპოვეს. ამასთანავე დადგინდა, რომ თითოეულ მუშას მისცემოდა დასტამბული ანგარიშსწორების წიგნაკი, რომელშიც შრომის შინაგანაწესი იყო. გაუქმდა აგრეთვე ფაბრიკის სასადილოთი სარგებლობის სავალდებულო წესი.

ზემოთ ჩამოთვლილ დათმობებს ხელის მოწერით ადასტურებდა თვით ბოზარჯიანცი. მუშები კი ამ დოკუმენტს როგორც ნივთიერ საბუთს ინახავდნენ[26].

გაფიცულთაგან დააპატიმრეს ახალციხელი აკოფ აკოფოვი და ქუთაისელი ვასილ ტაბიძე, რომლებიც თავიანთ მშობლიურ ადგილებში გაასახლეს[27].

ზემოთ ჩვენს მიერ აღნიშნული მეფაბრიკის დათმობები მუშების გამარჯვების დადასტურებაა.

„1895—96 წლის გაფიცვებს, — აღნიშნავს ლენინი, — ამაოდ არ ჩაუვლია, მათ უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთის მუშებს, დაანახვეს, როგორ უნდა აწარმოონ ბრძოლა თავიანთი ინტერესებისათვის, ამ გაფიცვებმა შეაგნებინეს მათ მუშათა კლასის პოლიტიკური მდგომარეობა და პოლიტიკური საჭიროებანი“[28].

ხოლო „1898—1900 წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში მნიშვნელოვანი გარდატეხა ხდება. მთავრდება მუშათა სტიქიური, შეუგნებელი მოძრაობის ხანა და იწყება მუშათა მოძრაობის ახალი ეტაპი — ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ მუშათა ორგანიზებული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლის ეტაპი. ეს ახალი ეტაპი იწყება რკინიგზის მუშათა სახელოვანი გამოსვლით 1898 წელს, რომელსაც უკვე მუშათა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ“[29].

თამბაქოს ფაბრიკების მუშები საქართველოს მრავალრიცხოვანი პროლეტარიატის მხარდამხარ აქტიურად გამოდიოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში.

---

[26] Н. А. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), Тб., 1958, გვ. 161, საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 4400, ფურც. 2.

[27] იქვე, საქ. 4400, ფურც. 2.

[28] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ 2, გვ. 142.

[29] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962, გვ. 183.

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობა ცხრაასიან და შემდეგ წლებშიაც არ გაუმჯობესებულა, რასაც კარგად მოწმობს საფაბრიკო ინსპექტორების, მთავრობის სხვა ოფიციალური წარმომადგენლების ანგარიშები და მთელი რიგი სხვა დოკუმენტები, რომლებიც არქივებშია დაცული.

შრომის პირობები თამბაქოს ფაბრიკებში მეტად ცუდი იყო, თამბაქოს მტვრითა და ჭუჭყით სავსე პატარა ოთახებში ასობით მუშა ერთად შრომობდა, რაც მათ ჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებდა და მძიმე დაავადებებს იწვევდა. ოთახებში, სადაც თამბაქოს ჭრა მიმდინარეობდა, იშვიათად თუ იდგა ჰაერის გამნიავებელი ან გამონაკლის შემთხვევაში მეტად მცირე ბალისა. სიბინძურე და ჭუჭყი განსაკუთრებით ცუდად მოქმედებდა თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავე მუშა ქალებსა და ბავშვებზე.

იმისათვის, რომ უკეთ წარმოგვიდგეს იმდროინდელი თამბაქოს ფაბრიკები და მათში დასაქმებული მუშათა შრომის პირობები, გაეცნოთ თბილისის ფაბრიკების მთავარი ინსპექტორის მოხსენებით ბარათს, რომელიც მას 1904 წლის 18 მარტს საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ფაბრიკის შემოწმების შედეგად შეუდგენია.

საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ფაბრიკა თბილისში განოვსკის ქუჩაზე აგურის სამსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. დაბლა ვიწრო და ბინძურ სათავსოში მექანიკური სახელოსნო იყო, სადაც აგრეთვე საჭრელი მანქანებიც იდგა. შუა სართული, ორად გაყოფილ, ვიწრო ნახევრად ბნელ სადგომს წარმოადგენდა. ჰაერის სიახლოვეს გაკეთებული ფანჯრიდან დღის სინათლე ოდნავ აღწევდა. ამ განყოფილებაში პაპიროსების ყუთებში ჩაწყობა წარმოებდა. ამავე სართულის მეორე, შედარებით ნათელ, მაგრამ ვიწრო და ჭუჭყიან გალერეაში ჰილზებისა და პაპიროსის მანქანები იდგა. აღნიშნულ სართულზე, ერთ ვიწრო ოთახში, თამბაქოს განიავება წარმოებდა. იგი მუდამ თამბაქოს მტვრით იყო სავსე. მართალია, აქ ერთი ელექტროგამნიავებელიც იდგა, მაგრამ იგი საკმარისი არ იყო ჰაერის გასუფთავებისათვის. ოთახი თითქმის მთლიანად მშრალი თამბაქოთი იყო დაკავებული, მხოლოდ კუთხეებში იყო თავისუფალი ადგილები, სადაც მუშები მშრომობდნენ. მინით გადახურული ზედა სართული სხვენს უფრო ჰგავდა, ვიდრე ნორმალურ სამუშაო ადგილს. წვიმის დროს წყალი ჩამოდიოდა და მუშები იძულებულნი იყვნენ ფიცრების საფარი გაეკეთებინათ. აღნიშნულ განყოფილებაში თუთუნის დახარისხებას, აწონვას და პაპიროსების გატენვას 100-მდე მუშა აწარმოებდა. სამუშაო ადგილი ნახევრადბნელი, მტვრია-

ნი და უჰაერო იყო. ფაბრიკაში დაგებული ფიცრის იატაკი მუდამ ჭუჭყითა და მტვრით იყო სავსე. ასეთ პირობებში მუშები ფაბრიკაში 10 საათს შრომობდნენ[30]. ფაბრიკა მუშათა ჯანმრთელობას აშკარა საშიშროების წინაშე აყენებდა[31].

ბოზარჯიანცის ფაბრიკის მაგალითზე გავეცნოთ თამბაქოს ფაბრიკების მუშათა შრომის ანაზღაურებას.

1903 წელს ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში 243 კაცი იყო დასაქმებული, მათ შორის 132 ვამაკაცი, 20 მოზრდილი ვაჟი, 69 ქალი, 3 მოზრდილი და 19 მცირეწლოვანი გოგონა. მუშათა შორის 115 კაცი თბილისის მკვიდრი იყო, 120 სხვადასხვა ქალაქებიდან ჩამოსული და 8 უცხოელი.

ფაბრიკაში პაპიროსის ხელით მკეთებელი 76 მუშა მუშაობდა, 40 ოსტატი და 36 ხელქვეითი. მათი შრომის ანაზღაურება ნარდად ხდებოდა, ყოველ 1 000 ცალ დამზადებულ პაპიროსზე მუშას 40 კაპიკი ეძლეოდა. თითოეული ოსტატი მუშის დღიური გამომუშავება 80 კაპიკიდან 1 მანეთსა და 40 კაპიკამდე აღწევდა. ამ თანხიდან ხელქვეითს დღეში 30—50 კაპიკი ეძლეოდა, ე. ი. მუშის წმინდა დღიური გამომუშავება 50 კაპიკიდან 90 კაპიკამდე აღწევდა, რაც თვიურად 12-დან 23 მანეთს შეადგენდა. ასე რომ, მეპაპიროსე ოსტატი მუშის თვიური გამომუშავება შეიძლება 16—18 მანეთით განისაზღვროს, ხოლო ხელქვეითისა 10 მანეთით.

დამხარისხებელ განყოფილებაში 2 ოსტატი და 54 რიგითი მუშა იყო დასაქმებული. ოსტატი მუშის დღიური გამომუშავება 1 მან. 33 კაპიკიდან 1 მან. და 50 კაპიკს შეადგენდა, ე. ი. იგი თვიურად 32-დან 36 მანეთამდე იღებდა. რიგითი, დაუხელოვნებელი დამხარისხებელი მუშა დღეში 35—50 კაპიკს იმუშავებდა, შედარებით უფრო დახელოვნებული კი 70 კაპიკიდან 1 მანეთსა და 10 კაპიკამდე; ასე რომ, მათი საშუალო დღიური გამომუშავება შეიძლება 55 კაპიკით განისაზღვროს, თვიურისა კი 14 მანეთით.

თამბაქოს საჭრელ განყოფილებაში 3 ოსტატი მუშა და 5 ხელქვეითი იყო დასაქმებული. განყოფილების უფროსი ოსტატი მუშის დღიური გამომუშავება 2 მანეთი იყო, დანარჩენი ორისა კი 1 მანეთიდან 1 მანეთსა და 28 კაპიკამდე აღწევდა. ხელქვეითები დღიურად 67 კაპიკიდან 1 მანეთამდე იმუშავებდნენ.

---

30 საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 43, ფურც. 1.

31 საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 19, ფურც. 39.

საჰილზე მანქანებთან მომუშავე 12 კაცს დღეში 40-დან 67 კაპიკამდე ეძლეოდა.

მანქანებით პაპიროსის გამტენ განყოფილებაში 22 ქალი შრომობდა, ამათგან 11 ხელქვეითი იყო. მანქანებთან მომუშავეები საშუალოდ დღეში 90—94 კაპიკს იღებდნენ, ხელქვეითები კი 50 კაპიკს.

ყუთების დამამზადებელ განყოფილებაში 33 მუშა იყო დასაქმებული. დახელოვნებული მუშა დღიურად 50 კაპიკიდან 1 მანეთამდე იღებდა — ხოლო მცირეწლოვანი შეგირდი 20-დან 30 კაპიკამდე. მუშის საშუალო დღიური ხელფასი 50 კაპიკი იყო.

ბანდეროლის მწებავ 12 მუშას დღიურად 20-დან 35 კაპიკამდე ეძლეოდა, საშუალოდ კი 50 კაპიკი.

მანქანებით ყუთებში პაპიროსის ჩაწყობას 16 მუშა აწარმოებდა, რომლებიც დღიურად 20-დან 45 კაპიკამდე იღებდნენ, საშუალოდ 40 კაპიკს.

თუთუნის შეფუთვას დახელოვნებული 3 მუშა და 2 ხელქვეითი აწარმოებდა. პირველნი დღიურად 60 კაპიკს იღებდნენ, მეორენი კი 25 კაპიკს.

თამბაქოს სხვა ნაწარმის შეფუთვასა და ჩაწყობას 3 მუშა სჭირდებოდა, რომლებსაც საშუალოდ 50 კაპიკი ეძლეოდათ[32].

ზემოთ ჩამოთვლილი კვალიფიციური მუშების გარდა ფაბრიკაში დასაქმებული იყვნენ სხვადასხვა სამუშაოს შემსრულებელი მუშები. აი რას ვკითხულობთ იმავე საარქივო დოკუმენტში მათ შესახებ: ...«Заработная плата чернорабочих на Тбилисском табачных фабриках Муши в день от 70 к. до 1 руб., возчики 1 руб. 20 коп. до 1 руб. 50 коп., сторожа от 80 коп. до 1 р. прискладах от 75 коп. до 75 коп.[33].

ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა რაოდენობა 243 სულს შეადგენდა, მაგრამ როგორც მოტანილი საარქივო საბუთიდან ჩანს, ამ რიცხვში ჩათვლილი არ არის ზემოთ ჩვენს მიერ დასახელებული მუშათა კატეგორიები. ამის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოზარჯიანცის ფაბრიკაში უფრო მეტი მუშა იყო დასაქმებული, ვიდრე ჩვენს მიერ დამოწმებულ საარქივო დოკუმენტშია აღნიშნული. მართალია, მზიდავები, ყარაულები, საწყობში მომუშავეები და უბრალო მუშები თამბაქოს ფაბრიკაში კვალიფიციურ

---

[32] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 69, ფურც. 4—5.

[33] იქვე, ფურც. 26.

სამუშაოებს არ ასრულებდნენ, მაგრამ ისინი ხომ მეფაბრიკის მიერ დაქირავებულ მუშახელს წარმოადგენდნენ. აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოხსენებული მუშათა კატეგორიები არა მარტო ბოზარჯიანცის ფაბრიკაში იყვნენ დასაქმებულნი, არამედ საქართველოში არსებულ თამბაქოს ყველა ფაბრიკაში.

ჩვენ ამით იმის თქმა გვსურს, რომ საარქივო მასალებში სხვადასხვა მიზეზების გამო დაქირავებული მუშახელის შესახებ სრული ცნობები არ არის მოცემული. თითოეულ თამბაქოს ფაბრიკაში აღნიშნული კატეგორიის მუშათა რიცხვსაც თუ მივამატებთ, მაშინ, რა თქმა უნდა, საქართველოს თამბაქოს ფაბრიკებში დასაქმებულთა რაოდენობა პროცენტულად გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე სხვა წყაროებით გვაქვს წარმოდგენილი. კონკრეტულად იმის განსაზღვრა, თუ ამ კატეგორიის რამდენი მუშა იქნებოდა დასაქმებული თითოეულ ფაბრიკაში, ძნელია, მაგრამ ვფიქრობთ. რომ თამბაქოს მისხვილ ფაბრიკებში აღნიშნულ მუშათა რაოდენობა 20-ზე მეტ დაქირავებულ მუშად უნდა მივიჩნიოთ.

საფაროვის მემკვიდრეთა და ბოზარჯიანცის ფაბრიკების მაგალითზე ჩვენ გავეცანით თამბაქოს საწარმოების მუშათა შრომის პირობებს, მათ შრომის ანაზღაურებას, რაც მეტნაკლებად საქარ--თველოში არსებული თამბაქოს ყველა ფაბრიკისათვის იყო დამახასიათებელი.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს თამბაქოს ფაბრიკების მუშათა პირობებზე, აუცილებელია ცალკე შეეხოთ ხსენებულ საწარმოებში მცირეწლოვანთა და ქალთა შრომას.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავს: „რაც უფრო ვითარდება თანამედროვე მრეწველობა, მით უფრო მეტად იდევნება მამაკაცის შრომა ქალების და ბავშვების შრომით“[34].

თამბაქოს გადამუშავება მრეწველობის ისეთი დარგი იყო, სადაც თითქმის ყველაზე მეტად დამკვიდრებული იყო ქალთა და ბავშვთა იაფფასიანი შრომა. კაპიტალისტი ძვირად ღირებული მამაკაცის შრომის ნაცვლად წარმოებაში იყენებს ქალთა და მცირეწლოვანთა შედარებით იაფფასიან ძალას. კაპიტალისტი, ჯერ ერთი, მათ ბევრად ნაკლებ ხელფასს უხდიდა და თან მათი დამორჩილება ფაბრიკაში არსებული ექსპლუატატორული რეჟიმისადმი უფრო ადვილი იყო. საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობაში ქალთა შრომის გამოყენება სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით პროგრეს წარ-

---

[34] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 19.

მოადგენდა: მუშა ქალი გამოდის ცხოვრების ფართო ასპარეზზე, მაღლდება მისი შეგნება, იგი ჩაბმულია ფაბრიკის ყოველდღიურ საქმიანობაში, აქტიურ მონაწილეობას იღებს მუშათა გაფიცვებსა და რევოლუციური მოძრაობაში. „სამრეწველო საწარმოებში ქალთა და ბავშვთა შრომის მასობრივი გამოყენება ხელს უწყობდა უმუშევართა არმიის გადიდებას, შრომის ექსპლუატაციის ხარისხის ამაღლებას, კაპიტალისტთა მოგების განუსაზღვრელ ზრდას, უფრო მეტად ამწვავებდა უმუშევარ და მცირე ხელფასიან მუშათა კონკურენციას, რაც წარმოადგენდა“[35] ...„უმკვეთრესს იარაღს ბურჟუაზიის ხელში პროლეტარიატის წინააღმდეგ“[36].

თამბაქოს მრეწველები მოავრობის ამ თუ იმ წარმომადგენლებისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათებში აშკარად მიუთითებენ თავიანთ საწარმოებში ქალთა და ბავშვთა შრომის აუცილებლობის შესახებ. სააქციონერო საზოგადოება „მირის“ თამბაქოს ფაბრიკის მმართველი რ. გოკიელოვი 1902 წლის ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ბავშვები ასაკით 12-დან 15 წლამდე მუშების დამხმარე ძალას წარმოადგენენ, რომელთა გარეშე ისინი სამუშაოს დროულად ვერ შეასრულებენ, რაც თავისთავად ფაბრიკას ზარალის მეტს ვერაფერს მოუტანსო. რაც შეეხება ბავშვთა განათლებას, „გულუბვი“ მეფაბრიკე თავისი სახსრებით თითქოს მომავალში საკუთარი სკოლის გახსნასაც აპირებდა[37]. ეს თვალთმაქცური მანერები კაპიტალისტს იმ მომენტში მუშათა გულის მოსაგებად სჭირდებოდა.

1903 წელს სააქციონერო საზოგადოება „მირის“ თამბაქოს ფაბრიკაში 40-დან 50-მდე მცირეწლოვანი მუშა იყო დასაქმებული, ამათგან 15—20 გოგონა და 25—30 ვაჟი. ასეთ რიცხობრივ ცვალებადობას კაპიტალისტი მუშა ბავშვების ახალი ნაკადის ხშირი მოსვლითა და წასვლით ხსნიდა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მეფაბრიკემ შეგნებულად თავი აარიდა, საფაბრიკო ინსპექციისათვის მიეწოდებინა ზუსტი ცნობა მის საწარმოში დასაქმებულ მცირეწლოვან მუშათა რაოდენობაზე. ფაბრიკაში მშობლებსა და ახლობლებთან ხელქვეითად 30 ბავშვი მუშაობდა, რომელთა უმრავლესობა გოგონები იყვნენ. ბავშვები ფაბრიკაში უფროს მუშებს აწვდიდნენ თუთუნს, ჰილზებს, ამზადებდნენ ყუთებს და აგროვებდნენ ბანდეროლიან მზა

---

35 მ. ჯიჯეიშვილი, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1965, გვ. 80.

36 ფ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში, გვ. 82.

37 საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 60, ფურც. 5.

ნაწარმს[38]. მეფაბრიკის განცხადებით. ეს სამუშაოები თითქოს მათი ჯანმრთელობისათვის მავნე არ იყო და არც მომქანცველი. სამუშაო დრო 10 საათით განისაზღვრებოდა[39], დღიური გასამრჯელო კი 10 კაპიკიდან 30 კაპიკამდე აღწევდა[40].

საინტერესოა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავე ბავშვთა წლოვანება, უმეტეს შემთხვევაში, დამქირავებელთათვის უცნობი იყო. საფაბრიკო კანონმდებლობის 108 მუხლის ძალით, ფაბრიკა-ქარხნებში 12 წლისაზე უმცროსი ბავშვების დაქირავება იკრძალებოდა[41], მაგრამ ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც მშობლები და არც დამქირავებლები. მუშა, რომელსაც საფაბრიკო კანონმდებლობით განსაზღვრული არასრულწლოვანი ბავშვები ჰყავდა, ყოველნაირად ცდილობდა დაეფარა მისი ასაკი, კაპიტალისტს კი ბავშვის სამუშაოზე მისაღებად მხოლოდ მშობლის სპეირი განცხადებაც აკმაყოფილებდა. მუშა დაინტერესებული იყო ფაბრიკაში ხელქვეითად საკუთარი შვილი ჰყოლოდა, რათა კუთვნილ გასამრჯელოს მოზიარე არ გასჩენოდა. კაპიტალისტი კი მხოლოდ წმინდა მოგების მიზნით ყოველივე ზემოაღნიშნულს თვალახვეული უყურებდა.

საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ფაბრიკის მმართველი ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ მუშა ბავშვების ასაკი მან მხოლოდ მათი სიტყვიერი განცხადებით იცის და არ გააჩნია მათ შესახებ არავითარი ოფიციალური საბუთი[42].

აი რას წერს გაზეთი „ცნობის ფურცელი" ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში მცირეწლოვანთა დასაქმების შესახებ: „მე-4 ნაწილის პოლიციამ პასუხისგებაში მისცა თამბაქოს ქარხნის მეპატრონე ბოზარჯიანცი იმის გამო, რომ მექარხნე ამუშავებს თავის ქარხანაში მცირეწლოვანებს, რომელთაც ჯერ 12 წელი არ შესრულებიათ. მექარხნე უარყოფს ამ ამბავს, მაგრამ პოლიცია ამტკიცებს მას მოწმეების ჩვენებით.

გაიგეს თუ არა ეს სხვა თამბაქოს ქარხნის პატრონებმა, განათავისუფლეს მუშაობისაგან მათ ქარხნებში მომუშავე მცირე წლოვანი ბავშვები"[43].

---

[38] იქვე, საქ. 61, ფურც. 7.
[39] იქვე, საქ. 60, ფურც. 5.
[40] იქვე, საქ. 61, ფურც. 5.
[41] Фабричные законы, Киев, 1905. გვ. 50.
[42] საქ. სცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 43, ფურც. 3.
[43] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1899, № 762.

გაზეთმა ყურადღების გარეშე არც შემდგომში დატოვა ეს საჭირბოროტო საკითხი და სულ მაღე მორიგი წერილიც გამოაქვეყნა; „მექარხნეების ოინები“ ასე ეწოდება ამ წერილს, რომლის სრული ტექსტის მოტანა ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით: „დიდი დიპლომატები ბრძანდებიან ადგილობრივი თამბაქოს ქარხნის პატრონები. როგორც მოხსენებული გვქონდა, საგუბერნიო მთავრობამ ენერგიული ზომები მიიღო იმისათვის, რომ ამ ვაჟბატონებს არ შეეძლოთ, კანონის პირდაპირი აკრძალვის წინააღმდეგ, ამუშაონ თავიანთ ქარხნებში მცირეწლოვანი მუშები. და ეი კანონის გვერდის ასახვევად იგონებენ მარჯვე „პოლიტეხნიკურ“ საშუალებას. საგუბერნიო მთავრობასთან ბოზარჯიანცის ქარხნის მუშებს შეაქვთ თხოვნა. ჩვენაო, ნათქვამია ამ მოთხოვნაში, დაგვყავდა ქარხანაში ჩვენი მცირეწლოვანი ბავშვები და აგრეთვე ჩვენი ნათესავების ბავშვები, რომლებსაც ჩვენ პატრონობას ვუწევთ მხოლოდ იმიტომ, რომ სახლში ვერავინ დაგვეტოვებიაო, ამასთან ბავშვები ჩვენ გვეხმარებოდნენ ზოგიერთ ადვილ სამუშაოშიო. ახლა კი პოლიციის ბრძანების გამო მექარხნეები გვიკრძალავენ მოვიყვანოთ ქარხანაში ბავშვები, რის გამო ჩვენ ვთხოულობთ აღდგენილი იქნეს ძველი წესიო. მაგრამ თუ რა ცოტა სიმართლეა ამ სიტყვებში, სჩანს იქიდან, რომ იმავე ბოზარჯიანცის ქარხანაში მცირეწლოვანი მუშები, 10-დან 14 წლისანი, როგორც სარწმუნო ცნობებიდან სჩანს, მუშაობდენ ყოველ დღე დილის 7 საათიდან საღამოს 7 საათამდე, გარდა მხოლოდ ორშაბათისა და შაბათისაო, როცა მუშაობა უფრო ადრე თავდებოდა. მიზანი აქ ცხადია. საკმარისია ნება მისცეთ მუშებს „ატარონ ქარხანაში ბავშვები“ „ზოგიერთი ადვილი სამუშაოსათვის“, — და ბავშვების შრომის ექსპლუატაცია დაიწყება მთელი მისი ძალით. შეუჩერებლივ და უზომოდ“[44].

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ბავშვები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ქუჩაში უმეთვალყურეოდ იყვნენ, ხიფათს ეყრებოდნენ და ზოგჯერ ცხოვრებაში სამუდამოდ დასახიჩრებულნი რჩებოდნენ, მათზე არავინ ზრუნავდა, მაშინ როდესაც საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობით, მეფაბრიკე ვალდებული იყო მუშა ბავშვებისათვის (ლაპარაკია მცირეწლოვან მუშა ბავშვებზე) დაწყებითი სასწავლებელი გაეხსნა, ან სხვა სასწავლებელში მათ მოწყობაზე ეზრუნა[45].

---

[44] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1899, № 764.

[45] Фабричные законы, Киев, 1905, გვ. 53—54.

თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავე მცირეწლოვანთა ჯანმრთელობა საფრთხის წინაშე რომ იდგა, მთავრობის მოხელეებისათვისაც კარგად იყო ცნობილი. თბილისის გუბერნიის ფაბრიკების მთავარი ინსპექტორი ა. პისარენკო 1903 წლის ანგარიშში ხარკოვის ოკრუგის ინსპექტორს სწერდა: განსაკუთრებით მავნე მცირეწლოვან მუშათა ჯანმრთელობისათვის თბილისში თამბაქოს ფაბრიკების გარდა სხვა საწარმოები არ არსებობს[46]. რა თქმა უნდა, სხვა დანარჩენ ფაბრიკა-ქარხნებშიაც დასაქმებულ მცირეწლოვან მუშათა ჯანმრთელობა გარკვეული საფრთხის წინაშე იდგა, მაგრამ თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავეთა მდგომარეობა იმდენად მძიმე და მავნე იყო, რომ მთავრობის მოხელემ მისი აღნიშვნა ჩათვალა საჭიროდ.

1904 წლის აპრილიდან მთავრობის გადაწყვეტილებით თამბაქოს ფაბრიკების იმ განყოფილებებში, სადაც ნედლეულის გადამუშავება წარმოებდა, ბავშვთა შრომა აიკრძალა, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ყუთების დამამზადებელი განყოფილებები, თუ ეს უკანასკნელი ცალკე, იზოლირებულად იქნებოდა გამოყოფილი[47].

აღნიშნული დადგენილების მიუხედავად, მცირეწლოვანთა შრომა თამბაქოს ფაბრიკებში მაინც გამოიყენებოდა. თბილისის გუბერნიის ფაბრიკათა ინსპექტორი ჩაბაევსკი თავის 1908 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ ფაბრიკა-ქარხნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მცირეწლოვან ქალთა შრომა, განსაკუთრებით აბრეშუმსახვევში, რის საპირისპიროდ მცირდება მამრობითი სქესის მცირეწლოვანთა რიცხვი თამბაქოს ფაბრიკებში, შეინიშნება ქალთა იაფფასიანი შრომის ზრდა[48]. როგორც ჩვენს მიერ მოტანილი საარქივო დოკუმენტიდან ჩანს, აღნიშნული დროისათვის თამბაქოს ფაბრიკებში თითქოს მხოლოდ მცირეწლოვან ვაჟთა შრომა გამოიყენებოდა და გოგონებისა არა. ჩვენი აზრით, თამბაქოს ფაბრიკებში მცირეწლოვან გოგონათა გარკვეული პროცენტი იქნებოდა დასაქმებული, მაგრამ ფაბრიკათა ინსპექტორს ძაფსახვევ ქარხანაზე აქცენტირება იმიტომ დასჭირდა, რომ თამბაქოს ფაბრიკებთან შედარებით იქ პროცენტულად უფრო მეტად გამოიყენებოდა ქალთა შრომა. ერთი რამ ცხადია, რომ თამბაქოს ფაბრიკებში დასაქმებული არიან მცირეწლოვანები და განსაკუთრებით შეინიშნება ქალთა რაოდენობრივი ზრდა.

თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავე ბავშვებისა და ქალებისადმი

---

46 Филиал ЦГИА УССР в Харьковс, ф. 834, д. 88. ფურც. 39.

47 Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д 102. ფურც. 44.

48 საქ. ცსია, ფ. 275. აღ. 1. საქ. 152, ფურც. 7—8.

არ არსებობდა არავითარი შეღავათები. საფაროვის მემკვიდრეთა თამბაქოს ფაბრიკის მუშა ქალები და ბავშვები კვირა და დღესასწაულის წინა დღეებში იმდენხანს შრომობდნენ, როგორც ჩვეულებრივ სამუშაო დღეებში, რაც თავისთავად საფაბრიკო-საქარხნო კანონის დარღვევა იყო. ფაბრიკაში შეინიშნებოდა აგრეთვე უფროსი მუშა მამაკაცების უხეში მოპყრობა მუშა ქალებისადმი[49].

შემდგომ პერიოდშიაც ქალთა და ბავშვთა შრომა თამბაქოს ფაბრიკებში კი არ შემცირებულა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა, არც მათი შრომის პირობები გაუმჯობესებულა. ქუთაისის გუბერნიის, ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის ფაბრიკათა ინსპექტორი დ. სუშევსკი 1911 წლის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ გაიზარდა მოზარდებისა და ქალთა შრომის გამოყენება აბრეშუმსახვევ და თამბაქოს ფაბრიკებში, ღამის სამუშაო საათებში ზემოხსენებული არც ერთი ფაბრიკის ქალები და მოზარდები შეღავათებით არ სარგებლობდნენ[50].

თამბაქოს ფაბრიკებში ყოველდღიური არაადამიანური შრომა ქალთა და ბავშვთა სუსტი ორგანიზმის გადაღლას იწვევდა, რაც თავისთავად მუშათა სამუდამო დასახიჩრებასა და ავარიებს უწყობდა ხელს. 1912 წლის სექტემბერში ბათუმში მურად ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მუშა ჟოშხელი (სოფელია რაჭაში) ნინა ჩიკვაიძე მუშაობისას მანქანა-დანადგარის ავარიაში მოჰყვა და შრომის უნარი სამუდამოდ დაკარგა[51]. იმის ნაცვლად, რომ მეფაბრიკეს დაშავებული მუშისათვის სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა, ყურადღებაც არ მიუქცევია და მისი დაინვალიდება ერთ-ერთი ექიმის წყალობით შინაურ არაწესიერ მკურნალობას დააბრალა[52].

ჩვენს მიერ მოტანილი მაგალითი ერთადერთი არ არის, ასეთსავე და უარეს შემთხვევებს ჰქონდა ადგილი თამბაქოს ყველა ფაბრიკაში. მეფაბრიკეები მოჩვენებით, ვითომ მზრუნველობას იჩენდნენ დასახიჩრებული და ავადმყოფი მუშების მიმართ. თბილისის გუბერნიის ფაბრიკათა ინსპექტორი ა. პისარენკო ერთ-ერთ თავის ანგარიშში წერდა: მეფაბრიკეები თავიანთ ზნეობრივ მოვალეობად თვლიან იმ მუშის გამოჯანმრთელებაზე ზრუნვას, რომელმაც შრომის უნარი მუშაობის პროცესში დაკარგა. მეფაბრიკეთა უმრავლესობა ხსნის აფთიაქს, ჰყავს ფერშალი და ზოგიერთ შემთხვევაში

---

49 საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 19, ფურც. 39.

50 Филиал ЦГИА УССР, в Харькове, ф. 834, оп. I, д. 289, ფურც. 25.

51 ქუთაისის სახელმწიფო ცენტრ. არქივი, ფ. 75, საქ. 1—4, ფურც. 4.

52 იქვე, ფურც. 6.

ექიმიც, მაგრამ ყველაფერი ეს თვალსაჩინოებისა გამიზნული. აფთიაქში ქინაქინისა. და სასაქმებელი ზეთის გარდა არაფერია, ფერშალი და ექიმი კი ფაბრიკის ადმინისტრაციას ემსახურება და არა მუშებს, მუშები, რომელთათვისაც მეფაბრიკე ექიმს გარკვეულ თანხას უხდის. ყოველგვარი ყურადღების გარეშე რჩებიან. მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაშიც კი ისინი იძულებულნი არიან მიატოვონ სამუშაო და თავისი ხარჯებით იმკურნალონ[53]. ამ საარქივო დოკუმენტიდან ნათლად ჩანს ის ღამოკიდებულება, რაც მუშებსა და კაპიტალისტებს შორის არსებობდა.

რადგან ჩვენ თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობასა და მათ სამუშაო პირობებს შევეხეთ, აუცილებლად მივვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ იმავე ფაბრიკებში ზედმეტი სამუშაო დროის შესახებ.

1905—1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდეგ მრეწველობის დაცემა შეიმჩნევა, ხოლო 1910 წლიდან მისი გამოცოცხლება დაიწყო. „საქართველოში მრეწველობის აღმავლობა მიმდინარეობდა მსხვილ წარმოებათა შემდგომი ზრდის ნიადაგზე, მრეწველობის კონცენტრაციის გზით... მუშათა კონტიგენტის ზრდას ამიერკავკასიისა და საქართველოს სამრეწველო ცენტრებში, საერთოდ სასურსათო და სამრეწველო საქონლის სიძვირის პირობებში, თან ახლდა შრომის პირობების არაჩვეულებრივი გაუარესება. სამუშაო დღე საწარმოებში 12 საათს აღწევდა. მრეწველები საწარმოებში არ იცავდნენ ჰიგიენის ელემენტარულ მოთხოვნას, ეწეოდნენ მუშათა ბარბაროსულ ექსპლოატაციას. მაქსიმალური მოგებისათვის არ ერიდებოდნენ არავითარ საშუალებას, მასობრივად იყენებდნენ საწარმოებში ქალებისა და ბავშვების შრომას“[54].

არქივის ფონდებში დაცულია თამბაქოს მრეწველთა უამრავი განცხადება საფაბრიკო ინსპექციის სახელზე, რომლებშიაც ამა თუ იმ მოტივით ფაბრიკაში ზედმეტი სამუშაო დროის უფლებას მოითხოვენ. თბილისელი მეფაბრიკეები: ენფიანჯიანცი,[55], ბოზარჯიანცი[56], და ძმები სეილანოვები[57] ამავე გუბერნიის ფაბრიკათა ინსპექტორისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათებში ზედმეტი სამუშაო საათების ნებართვას მოითხოვენ, ამის მიზეზად კი ბაზარზე მათი სა-

---

[53] Филиал ЦГИА УССР, ф. 834 საქ. ბმ. აღ. 1. ფურც. 38.

[54] საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1962, გვ. 291.

[55] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 198, ფურც. 1.

[56] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834. оп. 1, д. 298, ფურც. 1.

[57] იქვე, ფურც. 45.

წარმოების მზა პროდუქციის გაზრდილ მოთხოვნილებებს ასახელებენ.

შევნიშნავთ, რომ ზემოჩამოთვლილი მეფაბრიკეები გამონაკლისს არ წარმოადგენდნენ, ასეთივე მათთვის სასარგებლო ხერხს მიმართავდნენ სხვა მწარმოებელნიც.

მრეწველები აღნიშნავდნენ რა ზედმეტი სამუშაო საათების აუცილებლობას, იქვე შენიშნავდნენ: თითქოს ეს იქნებოდა უკანასკნელი ღონისძიება, რადგანაც მომავალში ახალი მანქანა-დანადგარების მოწყობა მათ საშუალებას მისცემდა მუშახელის სიმცირის პირობებშიც ფართოდ გაეზარდათ წარმოების დონე, მეფაბრიკეთა ეს განცხადება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიტონი სიტყვები იყო, საჭიროების შემთხვევაში მუშებს ისინი კვლავ ზედმეტ საათებს ამუშავებდნენ. მაგალითად, ასე მოიქცა მრეწველი ა. ენფიანჯიანცი 1909[58] და 1910 წლებში[59].

თამბაქოს ფაბრიკებში ზედმეტი სამუშაო დრო 2—1/2 საათით განისაზღვრებოდა, მთლიანად სამუშაო დღე კი 11—1/2 საათით[60]. მუშათა ანაზღაურება ზედმეტი სამუშაო დროისათვის დღიური ხელფასის ნახევარს შეადგენდა[61], თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მანქანით პაპიროსის გამტენ მუშას ყოველ 1000 ცალ პაპიროსზე 2-დან 3 კაპიკი ეძლეოდა, პაპიროსის ჩამწყობებს 1000 ცალზე 3-დან 3—3,5 კაპიკი, ბანდეროლების მწებავებს 100 ცალზე 1—1,5-დან 2 კაპიკი და თუთუნის მჭრელებს 1 ფუთზე 20-დან 25 კაპიკი[62], ნათლად დავინახავთ, რომ მუშის ზედმეტი სამუშაო დროის ანაზღაურება ძალზე მცირე იყო. ყოველივე ამასთან თამბაქოს ფაბრიკებში დაწესებული იყო სხვადასხვა დანაშაულისათვის ფულადი გადასახადი; მაგალითად, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში:

1) უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის, ნედლეულის გაფუჭებისათვის, მანქანა-დანადგარების დაზიანებისათვის — 2 მანეთი.

2) სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის მუშას უკავებდნენ სამი დღის ხელფასს და ამასთანავე ფულს მთლიანად გაცდენილი დროისათვის.

---

58 საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 45, ფურც. 13.

59 Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 256, фурц. 27—28.

60 იქვე.

61 საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 45, ფურც. 13.

62 საქ. ცსია, ფ. 275, აღ . 1, საქ. 245, ფურც. 2.

სანარდო სისტემით მომუშავე მუშებს სამუშაოს თვითნებურად მიტოვებისათვის უკავებდნენ 1 მანეთს ყოველ გაცდენილ დღეზე და არა უმეტეს 3 მანეთისას მთლიანად.

4) სამუშაოზე 15 წუთის დაგვიანებისათვის მუშას ახდევინებდნენ 25-დან 50 კაპიკამდე.

5) სამუშაო საათებში ფაბრიკიდან თვითნებურად დიდი ხნით წასვლისათვის მუშას უკავებდნენ 25 კაპიკიდან 1 მანეთამდე. ამავე რაოდენობის თანხას ახდევინებდნენ აგრეთვე მუშას ხანძარსაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის.

6) უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის, უადგილო ადგილას პაპიროსის მოწევისათვის, ყვირილის, კამათისა და შეხლა-შემოხლისათვის, მაგარი სასმელების შემოტანისათვის, სიმთვრალისათვის, მმართველისა თუ ოსტატის მიმართ უყურადღებობისათვის მუშებს ახდევინებდნენ 25 კაპიკიდან 1 მანეთამდე გადასახადს[63].

ასეთივე ფულადი გადასახადები იყო დაწესებული იმდროინდელ საქართველოში არსებულ ყველა თამბაქოს ფაბრიკაში (სააქციონერო საზოგადოება „მირი"[64], ამხანაგობა „კომეტას" თამბაქოს ფაბრიკა[65] და სხვ.).

როგორც აღვნიშნეთ, 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელსაც უკვე მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ.

გაფართოვდა მუშათა ორგანიზებული და შეგნებული პოლიტიკური ბრძოლა. როგორც ბოლშევიკური გაზეთი „ისკრა" (№ 12, 1901 წ.) წერდა, 1901 წლის დასაწყისში თბილისში გაიფიცნენ არა მარტო მსხვილი სამრეწველო ობიექტების მუშები, არამედ შედარებით მცირე მასშტაბის საწარმოთა მშრომელებიც. მხოლოდ აღნიშნული წლის იანვარსა და თებერვალში 15 გაფიცვა მოხდა ენფიანჯიანცის, „მირის", საფაროვისა და ბუტულოვის თამბაქოს ფაბრიკებში, ლიბერმანისა და კოზლოვის სტამბებში, რუქსისა და კოტრინის მექანიკურ სახელოსნოებსა და სხვა საწარმოებში[66].

მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ მუშათა მოძრაობის შესაჩერებლად. მთავარ-

---

[63] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 192, ფურც. 5.

[64] იქვე.

[65] იქვე, საქ. 173, ფურც. 80—83.

[66] ციტირებულია ნ. ჩახვაშვილის წიგნიდან «Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.)», თბ., 1958, გვ. 211.

მართებელ გოლიცინს მუშათა მოძრაობის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენში საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის უყოლობა მიაჩნდა და მოითხოვდა მის დაფუძნებას. რა თქმა უნდა, საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციას არ შეეძლო რაიმე გავლენა მოეხდინა, ან შეეჩერებინა მუშათა გამოსვლები, რომლებსაც უკვე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ. მით უმეტეს, რომ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში საფაბრიკო-საქარხნო ინსპექციის ზედამხედველობის დაწესების (ქუთაისის გუბერნიაში 1901 წლის 26 ნოემბერს, ხოლო თბილისის გუბერნიაში იმავე წლის 25 დეკემბერს[67]) შემდეგაც მუშათა მოძრაობა კი არ შენელებულა, არამედ მან უფრო ფართო და ორგანიზებული ხასიათი მიიღო.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ გავეცნობით თვით მეფის ხელისუფლების წარმომადგენლის აზრს თბილისში მუშათა მოძრაობის შესახებ: ...«В течение последних лет в Тифлисе на почве рабочего вопроса возник ряд стачек и волнений, которые охватили почти поголовно все рабочее население, начиная с крупных предприятий, как мастерские Закавказских железных дорог и Тифлисский трамваи и кончая мелкими. В случаях острого проявления этих неудовольствий администрации приходилось прибегать к подавлению беспорядков полицейскими мерами содействию войск. Вопрос о причинах этих волнений подвергался расследованию, причем и. д. Тифлисского губернатора убедился, что в большинстве случаев основанием их служила совершенно неудовлетворительная постановка условий труда. В настоящее время г. Тифлис остается без фабричной инспекции и специальной полиции, также как и прежде, когда здесь промышленности почти не существовало. Между тем вопрос о правильной постановки труда все более выдвигается и осложняется одними репрессивными мерами разрешен быть не может.

В настоящем году (ლაპარაკია 1901 წელზე — დ. ც.) волнения между рабочими приняли еще более обостренную форму и сопровождались усиленною пропагандою социал-демократического характера»[68].

---

[67] ЦГИАЛ, ф. 220, оп. 1, д. 473. ფურც. 16.

[68] ЦГИАЛ, ф. 1153, оп. 1, д. 101, ფურც. 2—5.

სწორედ არალეგალური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოეწყო ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის მუშათა გაფიცვა 1901 წლის აპრილში, რომლის საბაბი ფაბრიკიდან სამი მუშის დათხოვა გახდა. დანარჩენმა მუშებმა გაიგეს რა მომხდარი ფაქტი, მათ მეფაბრიკის დაუკითხავად დათხოვილი მუშები უკან მიიყვანეს და მუშაობა განაგრძეს. ფაბრიკის ადმინისტრაციამ სასწრაფოდ პოლიცია გამოითხოვა და ის სამი მუშა ქუჩაში გამოყარა. მაშინ დანარჩენმა მუშებმაც შეწყვიტეს მუშაობა და მუქარით პოლიციის ბოქაულთან მისვლას აპირებდნენ, მაგრამ მათ ეზოშივე ალყა შემოარტყეს პოლიციელებმა; გაიმართა ხელჩართული ბრძოლა. მუშათა უმრავლესობა დააპატიმრეს, მათგან 10 მუშა, რომლებიც აღნიშნული საქმის ორგანიზატორებად მიიჩნიეს, განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ პოლიციაში წაიყვანეს, დანარჩენებს კი გამოუცხადეს სამუშაოზე დაუყოვნებლივ გასვლა. მიუხედავად ამისა, მუშათა გაფიცვა რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მეფაბრიკემ გადაწყვიტა გაფიცული ყველა მუშისათვის ანგარიშის გასწორება, მაგრამ ვერაფერს გახდა. მუშები დაჟინებით მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებას. მეფაბრიკემ კვლავ პოლიცია გამოიძახა და 18 გაფიცული მუშა ციხეში გაგზავნეს. დაპატიმრებული 28 მუშას შორის 9, რომლებიც ყველაზე საშიშ პიროვნებებად იქნენ ცნობილნი, სამი წლით რუსეთის შორეულ ქალაქებში გადაასახლეს, დანარჩენები კი 6-დან 8 თვის ვადით კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში გადაასახლეს[69].

ასევე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩატარდა 1901 წელს ბუტულოვისა და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა გაფიცვები. ამ უკანასკნელში გაფიცვა ექვს კვირას გაგრძელდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა[70].

„საქართველოში მზარდი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა მოითხოვდა ერთიან ხელმძღვანელობას: ეს მოხდა 1901 წლის 11 ნოემბერს. ამ დღეს ჩატარდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 35 კაცი: „ნოემბერს ავლაბარში კუბის ქუჩაზე № 9, შეიკრიბნენ 25 კაცამდე, რომელთა შორის იყვნენ ინტელიგენტები ვასილ ცაბაძე, იოსებ ჯულა-

---

[69] Н. А. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг.), თბ. 1958, გვ. 213—214.

[70] იქვე, გვ. 223.

შვილი, სევერიან ჯუღელი. ამ კრების მიზანი იყო აერჩიათ ცენტრალური კომიტეტი“.

„თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ამ პირველ კონფერენციაზე შეიქმნა ლენინურ-ისკრული მიმართულების რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის თბილისის კომიტეტი. კომიტეტში არჩეული იქნენ: ი. სტალინი, ვ. ცაბაძე, ჯიბლაძე, ზ. ჩოდრიშვილი, კ. გოგუა, ს. ჯუღელი და სხვ. რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური ორგანიზაციული მუშაობა 1901 წელს დაგვირგვინდა ლენინურ-ისკრული მიმართულების რსდმპ თბილისის კომიტეტის შექმნით. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მუშათა მოძრაობის წარმართვისათვის“[71].

1903 წელი მთელ საქართველოში საყოველთაო გაფიცვებით აღინიშნა, მუშათა პოლიტიკურმა ბრძოლამ ფართო ხასიათი მიიღო.

„1903 წლის ივლისს საყოველთაო გაფიცვას საქართველოში სათავეში ედგა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც ჩამოყალიბდა ამ წლის მარტში, თბილისში მოწვეულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა პირველ ყრილობაზე. ყრილობა შეადგინა თბილისის, ბაქოს და ბათუმის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა. ყრილობამ მიიღო რსდმპ კავკასიის კავშირის წესდება და პროგრამა, რომელსაც საფუძვლად დაედო „ისკრის“ მიერ შემუშავებული პარტიის პროგრამის პროექტი“[72].

1903 წლის 23 იანვარს ბათუმში ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მუშები გაიფიცნენ, რომელთაც სოლიდარობა გამოუცხადეს სხვა დანარჩენი ფაბრიკა-ქარხნების მუშებმაც. გაფიცვამ სერიოზული ხასიათი მიიღო, მის წინააღმდეგ პოლიცია და ჯარის ორი ასეული გამოიძახეს. ბათუმში მუშათა მასიური დაპატიმრებები და გადასახლება დაიწყო. ქალაქიდან გასახლებულთ სამუდამოდ ეკრძალებოდა უკან დაბრუნება და ცხოვრება[73].

იმავე წლის სექტემბრის თვეში ბოზარჯიანცისა და ენფიანჯიანცის თამბაქოს ფაბრიკების მუშები გაიფიცნენ. გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა; მეფაბრიკეები იძულებული შეიქმნენ მუშებისათვის 10—15 პროცენტით ხელფასი მოემატებინათ, აგრეთვე

---

[71] ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, წიგნი II, თბ., 1959, გვ. 227—228.
[72] იქვე, გვ. 243.
[73] ნ. ჩ ა ხ ვ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 263—264.

უარი ეთქვათ კვირა და სადღესასწაულო დღეებში მათს მუშაობაზე[74].

1901—1903 წლებში მუშათა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. მან გზა გაუკაფა საქართველოს პროლეტარიატს ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში.

1905—1907 წლების რევოლუციაში საქართველოში არსებული თამბაქოს ფაბრიკების მუშები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. 1905 წლის 18 იანვარს თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში დაწყებულ პოლიტიკურ გაფიცვებს ერთ-ერთმა პირველებმა მხარი დაუჭირეს „მირის" თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა.

როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, პოლიტიკური გაფიცვის მოახლოებას მეფის ხელისუფლების წარმომადგენლები წინასწარ გრძნობდნენ. 1905 წლის 16 იანვარს თბილისის გუბერნიის ფაბრიკათა ინსპექტორი პისარენკო საიდუმლო დეპეშით აცნობებდა ხარკოვის ოკრუგის ფაბრიკათა ინსპექტორს გნედიჩს თბილისში საერთო გაფიცვის მზადების შესახებ[75], ხოლო იმავე წლის 18 იანვარს საერთო გაფიცვის დაწყებას ატყობინებდა[76]. 19 იანვარს გაფიცვას შეუერთდნენ ადელხანოვის ფაბრიკის ყველა საამქრო, „მირის" თამბაქოს ფაბრიკის მუშები და თამამშვილის ქარვასლის ნოკრები, სულ 4000-მდე კაცი[77]. დღის 1 საათიდან გაფიცულები ერევნის მოედანზე იკრიბებოდნენ, მაგრამ პოლიციის ჩარევის შედეგად დემონსტრაცია ჩაიშალა. ამის შემდეგ ისინი ავლაბარში გადავიდნენ, სადაც ვარდის მოედანზე აპირებდნენ „მირის" თამბაქოს ფაბრიკის გაფიცულ მუშებთან გაერთიანებას, მაგრამ ესეც ვერ მოახერხეს— პოლიციამ შესძლო მათი გაფანტვა[78].

მუშები აყენებდნენ პოლიტიკურ მოთხოვნებს დემოკრატიული თავისუფლებისა და 8 საათიანი სამუშაო დღის შესახებ. „რევოლუციური მოძრაობის სათავეში იდგნენ ბოლშევიკები. ისინი თავიანთ პროკლამაციებში, რომელიც უხვად ვრცელდებოდა მუშებში, მოუწოდებდნენ მუშათა კლასს რევოლუციურ გლეხობასთან კავშირში

---

[74] იქვე, გვ. 201—292.

[75] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 128, фурц. 87.

[76] იქვე, ფურც. 88.

[77] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5285, ფურც. 32.

[78] საქ. ცსია, ფ. 17, აღ. 1, საქ. 5885, ფურც. 32.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ"[79]. აი რას წერს მთავრობის წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესახებ: ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა ფაქტიურად ხელში აიღო მუშათა მთელი მოძრაობა. კომიტეტი ნიშნავს გაფიცვის დღეებს, ადგენს მოთხოვნების პროგრამას, აწარმოებს მოლაპარაკებას მეწარმეებთან, რისთვისაც კომიტეტის წარმომადგენელი თვით მიდის ფაბრიკა-ქარხნებში ან მათთან იბარებს მმართველს, მუშებს უფლებას აძლევენ წავიდნენ მეწარმეთა მიმართ ამა თუ იმ დათმობებზე, იძულებულს ხდიან მეწარმეებს, რათა მუშებს მისცენ წერილობითი ვალდებულება მოთხოვნების ფაქტიურად შესრულებაზე. ამრიგად, კომიტეტი იყო შუამავალი ორგანიზაცია მუშებსა და ფაბრიკანტებს შორის, უკანასკნელი პასუხისმგებელი იყო ამ ხელშეკრულების შესრულებაზე[80].

1905 წლის იანვარში გაიფიცა მიასნიკოვის ჰილზების ფაბრიკის 20 მუშა, რომლებიც ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ. მუშათა გაფიცვა 7 დღეს გაგრძელდა და დაიკარგა 140 სამუშაო დღე. აღნიშნული გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა. მეფაბრიკე იძულებული შეიქმნა მუშებისათვის ხელფასი მოემატებინა[81]. ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვების დროსაც ზემოაღნიშნული ფაბრიკის მუშებმა ერთკვირიანი გაფიცვა მოაწყვეს, ხოლო იმავე წლის დეკემბრის თვეში ამ ფაბრიკაში გაფიცვებისაგან 324 სამუშაო დღე გაცდა[82].

1905 წლის გაფიცვებს ახალციხეში სარიევის თამბაქოს ფაბრიკის მუშებიც გამოეხმაურნენ, სადაც მუშაობა თითქმის 4 კვირის განმავლობაში შეწყდა[83].

„მოსკოვის აჯანყების დამარცხებასა და რუსეთში საყოველთაო გაფიცვის შეწყვეტასთან დაკავშირებით ცენტრალურმა საგაფიცვო ბიურომ, პარტიის მითითებით გამოაცხადა, რომ გაფიცვები საქართველოში წყდება 29 დეკემბერს ღამის 12 საათზე. მიუხედავად ამისა, მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლა საქართველოში

---

[79] საქართველოს ისტორია, ტ. II, თბ., 1862, გვ. 263.

[80] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 142, ფურც. 135—138.

[81] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 17, д. 325, ფურც. 18.

[82] იქვე, ფურც. 35—36.

[83] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 74, ფურც. 6.

მთელი 1906 წლისა და 1907 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გრძელდებოდა[84].

1906 წლის პირველ ნახევარში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით მუშათა მნიშვნელოვანი გაფიცვები მოეწყო. 1906 წლის მაისის დასაწყისში ტაიროვის, ალიხანოვისა და ტოლეს საპნის ქარხნის სააქციონერო საზოგადოების მუშებმა, ზარგარიანცისა და K° ტყავის ქარხნისა და თამბაქოს ყველა ფაბრიკის მუშებმა ერთდროულად წარუდგინეს მეწარმეებს შემდეგი ეკონომიური მოთხოვნები: 1. 8 საათიანი სამუშაო დღე, 2. დღიური ხელფასის მომატება 10—40%-ით, 3. ნარდად აღებულ სამუშაოებზე ფასის მომატება 10—20%-ით, 4. სამუშაო ხალათების შეძენა მეფაბრიკეთა ხარჯზე, 5. მუშათა ნებართვის გარეშე მეფაბრიკეს არ უნდა გაეთავისუფლებინა და არც მიეღო მუშათა ახალი ნაკადი, 6 გაფიცვის დღეების ფულადი ანაზღაურება, 7. მომავალი გაფიცვის შემთხვევაში მთლიანი ხელფასის გაცემა, 8. გარდაცვლილი მუშის ოჯახის 50 მანეთით დახმარება, 9. სამედიცინო დახმარება მეფაბრიკის ხარჯზე როგორც თვით მუშებისათვის, ისე მათი ოჯახის წევრებისათვის, 10. ავადმყოფობისას, გამოჯამრთელებამდე, მუშას მისცემოდა ხელფასის ნახევარი, 11. ყოველწლიურად მუშას მისცემოდა 1 თვის შვებულება ხელფასის შენახვით, 12. ფაბრიკის ან ქარხნის დახურვის შემთხვევაში თითოეულ მუშას მისცემოდა ყოველი ნამუშევარი წლისათვის თითო თვის ხელფასი, საერთოდ არა ნაკლები სამი თვისა[85].

მრეწველებმა განიხილეს რა მუშათა მოთხოვნები, გაფიცულებს აცნობეს, რომ მისი მთლიანად მიღება მათ არ შეუძლიათ და მზად არიან ზოგიერთ დათმობაზე წავიდნენ. მათმა ასეთმა პასუხმა მუშები არ დააკმაყოფილა. 17 მაისს გაიფიცნენ საპნის ქარხნის მუშები, ხოლო 24 მაისს ტყავის ქარხნისა და თამბაქოს ყველა ფაბრიკის მუშები. ჩავარდნენ რა გამოუვალ მდგომარეობაში, თამბაქოს ფაბრიკების მეპატრონეები შეეცადნენ მუშებთან მოლაპარაკებას და აღუთქვეს შემდეგი მოთხოვნის დაკმაყოფილება: 1. ფულის მომატება 5—20%-ით იმ მუშებისათვის, რომლებიც სხვებთან შედარებით მცირე ხელფასს იღებდნენ, 2. მუშათა მოთხოვნების მე-4 და მე-9 მუხლების სრული დაკმაყოფილება, 3. სამი თვის განმავლობაში ავადმყოფი

---

[84] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, წ. I, (1883—1921 წწ.), თბ., 1957, გვ. 194.

[85] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 142, фурц. 135.

მუშების მკურნალობა, ამასთანავე მათ მიეცემოდათ ორი თვის ხელფასის ნახევარი, მუშის დასაფლავებისათვის 25—30 მანეთის გადახდა, მუშათა მოთხოვნების № 1, 5, 6, 7, 11 და 12 მუხლები არ მიიღეს[86].

მუშები მეფაბრიკეთა ასეთმა შეღავათებმა არ დააკმაყოფილა, ისინი ყველა მუხლის შესრულებას მტკიცედ მოითხოვდნენ, მაშინ მრეწველებმა ერთგვარ მანევრს მიმართეს — მათ მუშებს განუცხადეს, რომ სხვა შეღავათს არ მისცემდნენ და თუ სამუშაოზე არ გამოცხადდებოდნენ, საწარმოს დახურვით იმუქრებოდნენ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი მუშები რამდენიმე ხნის შემდეგ ფაბრიკებში დაბრუნდებოდნენ, მაგრამ გაფიცულებმა დიდი სიმტკიცე და ნებისყოფა გამოიჩინეს. მეფაბრიკეები იმდენად დამფრთხალნი იყვნენ გაფიცულებისაგან, რომ ფაბრიკათა ინსპექციის კანცელარიაში მისვლასაც ვერ ბედავდნენ. მუშებმა მათ აუკრძალეს ზემოაღნიშნული მოთხოვნების ხელისუფლებისათვის შეტყობინება ან რაიმე ამბავის მიტანა გაფიცვის საბაბით. 1906 წლის 5 ივლისის მოხსენებით ბარათში თბილისის ფაბრიკათა ინსპექტორი ხარკოვის ოკრუგის ინსპექტორს აცნობებდა, რომ თბილისში თამბაქოს ფაბრიკების მუშათა გაფიცვები გრძელდება, ზოგიერთი მეფაბრიკე საზღვარგარეთ წავიდა, სხვები სადღაც იმალებიან, ფაქტიურად თამბაქოს ფაბრიკები განუსაზღვრელი დროით დაიკეტა. გაფიცულ მუშათა რაოდენობა 793 სულია, ამათგან 239 ქალი[67].

1906 წლის ივლისში თბილისში თამბაქოს ფაბრიკებს გარდა ყველგან მუშაობა განახლდა. მხოლოდ 1906 წლის აგვისტოს დასაწყისში „მირის", ენფიანჯიანცის, ბოზარჯიანცის და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა განაახლეს მუშაობა შემდეგი შეთანხმების საფუძველზე: 1. ყველა მუშისათვის ხელფასის მომატება 10%-ით, 2. ავადმყოფ მუშათათვის დახმარების მიცემა გამომუშავების ნახევარი თვის ხელფასით: ფაბრიკაში მუშაობის 8 წლის სტაჟით 3 თვეს, 12 წლის სტაჟით 4 თვეს 12 წელს ზევით 6 თვეს, 3. თამბაქოს მრეწველი მუშებისათვის კვირაში ერთხელ 1/8 გირვანქა თუთუნის მიცემა; 4. მუშებისათვის სამუშაო ხალათების მიცემა; 5 მეფაბრიკის მიერ წარმოებაში მუშის მიღება, რომლის სამუშაოდან დათხოვნა მათთან შეთანხმებით მოხდებოდა; 6. მეფაბრიკის მიერ მუშისა და მისი ოჯახის წევრების მკურნალობისათვის სახსრების გაღება, ოჯა-

---

[86] იქვე, ფურც. 135.
[67] იქვე, ფურც. 136.

ხის წევრებისათვის კვირაში ორჯერ აბანოს ბილეთების მიცემა და 8. გაფიცვის 4 კვირის დანაკარგი დღეების ფულადი ანაზღაურება[88].

თბილისში მომხდარი გაფიცვების კვალდაკვალ გაიფიცნენ ქუთაისისა და ბათუმის თამბაქოს ფაბრიკების მუშები. 1906 წლის 29 მაისს ქ. ქუთაისში გაიფიცნენ ძმები ფირალიშვილების თამბაქოს ფაბრიკის მუშები. ისინი მოითხოვდნენ 8 საათიან სამუშაო დღეს და ხელფასის მომატებას. მიიღეს რა სასტიკი უარი, მუშები განაგრძობდნენ გაფიცვას, რის შედეგადაც ფაბრიკამ მუშაობა შეწყვიტა. მხოლოდ 19 ივნისს განახლდა მუშაობა ფაბრიკაში შემდეგი შეთანხმების საფუძველზე: 1. სამუშაო დრო კვლავინდებურად 9 საათს გრძელდებოდა, 2. მუშებს გაეზარდათ ხელფასი მათი მოთხოვნის შესაბამისად, 3. გაფიცვების დროს გაცდენილი 7 სამუშაო დღის ფული აუნაზღაურდათ (მუშები მოითხოვდნენ სამი კვირის ხელფასს—დ. ც.)[89].

1906 წლის 8 ივლისს ბათუმში ბინიათ-ოღლის თამბაქოს ფაბრიკის მუშებმა მეპატრონეს წარუდგინეს თითქმის ისეთივე ხასიათის მოთხოვნები, როგორც თბილისის თამბაქოს ფაბრიკების მუშებმა. გაფიცვა ორ კვირას გაგრძელდა. შემდეგ კაპიტალისტისა და მუშების შეთანხმების შედეგად ფაბრიკაში მუშაობა განახლდა[90]. მუშებმა აქაც თავიანთი მოთხოვნების ნაწილი მეფაბრიკეს შეასრულებინეს, რაც უდავოდ მათი გამარჯვების დასტურია.

1907 წლის მაისში ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკის 268 მუშიდან 42 მუყაოს დამამზადებელი მუშა გაიფიცა. ისინი ყოველკვირეული ხელფასის მომატებასა და მცირეწლოვანი თანაშემწის მოზრდილი მუშით შეცვლას მოითხოვდნენ. გაფიცვა სულ 2 დღეს გაგრძელდა და 84 სამუშაო დღე დაიკარგა. გაფიცულმა მუშებმა გამარჯვებას მიაღწიეს, მეფაბრიკემ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა[91].

1905—1907 წლების რევოლუციაში მონაწილეობით საქართველოს პროლეტარიატმა სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ჩვენი ქვეყნის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში. ვ. ი. ლენინმა მაღალი შეფასება მისცა კავკასიის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას და რსდმპ კავკასიის კავშირის მოღვაწეობას. ლენინი კავკასიას ისეთ მოწინავე მხარეთა რიცხვს მიაკუთვნებდა, „სადაც მოძრაობა ყველაზე მეტად გასცდა ძველ ტერორს, სადაც აჯანყება ყველაზე უკეთ არის

---

[88] Филиал ЦГИА УССР в Харькове, ф. 834, оп. 1, д. 142, ფურც. 139.
[89] იქვე, ფურც. 68.
[90] იქვე, ფურც. 66—67.
[91] იქვე, ს. 154, ფურც. 3.

მომზადებული, სადაც პროლეტარული ბრძოლის მასობრივი ხასიათი ყველაზე მძლავრად და ნათლადაა გამოხატული"[92].

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების — დამარცხების შემდეგ რევოლუციის უკანდახევა დაიწყო. მეფის მთავრობა ყოველ ღონეს მიმართავდა რევოლუციური მოძრაობის აღმოსაფხვრელად. მთელ საქართველოში მთავრობის დამსჯელი ექსპედიციები მოქმედებდნენ.

რევოლუციის დამარცხებისა და რეაქციის პერიოდში (1907—1910 წწ.) მუშათა კლასის მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. „თუ რევოლუციის დროს ბურჟუაზია სუსტად იყო ორგანიზებული და რევოლუციური ბრძოლის მძლავრი გაქანების შიშით იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა მუშათა მოთხოვნები, რეაქციის პერიოდში მან დაიწყო შეტევა იმ ეკონომიურ მონაპოვარზე, რასაც მუშათა კლასმა 1905—1907 წლების პერიოდში მიაღწია"[93]. აი რა იყო ნათქვამი ამის შესახებ თბილისის ბოლშევიკების ერთ-ერთ პროკლამაციაში: „დღეს თავისუფლათ გრძნობს თავს ყველა ბატონი და მისი ლაქია. დღეს საუცხოო დროა მუშათა კლასის „შეკმისა" და არც აყოვნებენ! იერიში იერიშზე მოაქვთ, „ძველ წესებს" სისწრაფით ახორციელებენ, ყოველ ფეხის გადადგმაზე მუშებს გულზე ფეხს ადგამენ!

აიღეთ რკინიგზის მთავარი სახელოსნო, აიღეთ ტრამვაი, თამბაქოს ფაბრიკები, აიღეთ, ერთი სიტყვით, რომელიც გინდათ სამუშაო დარგი, — ყველგან გამალებული ბრძოლაა მუშების წინააღმდეგ, ყველგან წართმევა სისხლით მოპოვებული უფლებებისა!"[94].

რეაქციის მეტად მძიმე დღეებში, პოლიციის სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს მუშათა კლასი მაინც განაგრძობდა რევოლუციურ ბრძოლას.

თუ რა მდგომარეობაში იყვნენ აღნიშნულ პერიოდში თამბაქოს ფაბრიკებში დასაქმებული მუშები, თუ როგორ ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდნენ ისინი, ნათლად ჩანს 1909 წელს თბილისის გუბერნატორისადმი გაგზავნილ ბოზარჯიანცის ფაბრიკის მუშათა ერთ-ერთ თხოვნაში. «Мы с давних пор работаем на вышеназванной фабрике, некоторые из нас выделивая гильзы, некоторые же

---

[92] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, წ. 1 (1883—1921 წწ.), თბ., 1957, გვ. 194.

[93] იქვე, გვ. 222.

[94] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 33, საქ. 196. ციტირებულია წიგნიდან: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, წ. 1, თბ., 1967, გვ. 222—223.

укладываем папиросы. В 1906 г. мы получили за каждый 1000 шт. 3 коп., в 1909 году с 3-х коп. сошли на 2 коп., с каковой расценкой рабочие не могли не согласиться, чтобы не умереть с голоду; 17 сего января фабрика предложила нам получить с каждой 1000 — уже 1—1½ коп., каковая расценка вступит в силу 1-го февраля; не желающим продолжать работу на предложенных условиях остается бросить работу и остатся без куска хлеба. Нам казалось, что при существующих ценах на предмет первой необходимости фабрика должна была увеличить заработную плату, чтобы дать рабочим возможность существовать; при уменьшении же платы нам придется буквально голодать, а потому обращаемся к вашему превосходительству с покорнейшей просбой защитить нас и оказать влияние на Торговый дом, чтобы существующая заработная плата не была уменшена»[95].

1909 წლის სექტემბერში სააქციონერო საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკის ყველა მუშა გაიფიცა, მათ სოლიდარობა გამოუცხადეს მუშათა ერთ ჯგუფს, რომლებმაც მუშაობას თავი დაანებეს და 6 თვის ხელფასის ანაზღაურებას მოითხოვდნენ ნაცვლად მეფაბრიკის მიერ შეთავაზებული 4 თვისა[96]. იმავე წლის ოქტომბრის თვეში „მირის" ფაბრიკის მწებავი მუშები, ჩამწყობები და თუთუნის მტენავები ანაზღაურების სანარდო სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით გაიფიცნენ[97].

თბილისის გუბერნიის ფაბრიკათა უფროსი ინსპექტორი ერთ-ერთ თავის მოხსენებით ბარათში სააქციონერო საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით შემდეგს წერდა: «Администрация фабрики, желая ввести в оклеечном отделении более дешевый женский труд, уволила 10-го сего июня (ლაპარაკია 1910 წელზე — დ. ც.) десять человек рабочих этого отделения. Между воленными рабочими и администрацией фабрики возникли пререкания по вопросу о размере вознагреждения их за долголетнюю службу: фабрика предлагала 3-х месячных оклад содержания, а рабочие требовали 4-х месячный оклад.

Не придя в этот день к миролюбивому соглашению, увол-

---

[95] საქ. ცსია, ფ. 272, აღ. 1, საქ. 189, ფურც. 15.
[96] საქ. ცსია. ფ. 276, აღ. 1, საქ. 61, ფურც. 25
[97] იქვე, ფურც. 26.

ненные собрались на следующий день возле фабрики и с угрозами по адресу заведывающего пытались силой войти в нее, но была вызвана полиция и все виновные арестованы.

Протестуя против ареста своих товарищей, все остальные рабочие фабрики в числе около 150 человек прекратили работ, но принятыми со стороны полиции мерами (угрозы об ареста и применении оружия) забастовка эта немедленно же была прекращена»[98].

1910 წლის 5 იანვარს გაზეთი „ტიფლისსკი პროლეტარი“ № 1 პროლეტარიატის მომავალი ბრძოლების შესახებ წერდა: ...„ჩვენ ახალ აფეთქებათა წინახანებში ვცხოვრობთ. მეფის ხელისუფლების დამხობის ძველი ამოცანის წინაშე ვდგავართ. ჩვენი მოვალეობაა ღირსეულად შევხვდეთ მომავალ სახელოვან ბრძოლებს რესპუბლიკისათვის, პროლეტარიატის უფლებებისათვის“.

საქართველოს ბოლშევიკები სათავეში ედგნენ მუშათა მასებს, განამტკიცებდნენ მათში რევოლუციის გარდუვალობის რწმენას, ცდილობდნენ გამოეყენებინათ ყოველი ახალი გაფიცვა, ყოველი დემონსტრაცია იმ მიზნით, რომ მუშები და გლეხები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის მოემზადებინათ[99].

მსოფლიო იმპერიალისტურმა ომმა სამეურნეო ნგრევა და რევოლუციური მოძრაობის ზრდა გამოიწვია, საქართველოს ყველა კუთხეში კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა. 1915 წლის დასაწყისში მნიშვნელოვანი გაფიცვები მოხდა თბილისის მსხვილ საწარმოებში: ადელხანოვის, თაიროვის, ტოლეს ქარხნებში, ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში და სხვა.

1916 წლის 30 აპრილს თამბაქოს ფაბრიკა „კომეტას“ მუშები გაიფიცნენ, მოითხოვდნენ ხელფასის მომატებას. ფაბრიკის ადმინისტრაციამ 2 მაისს მუშებს გამოუცხადა, რომ მათ ხელფასი 10%-ით გაუდიდდებოდათ[100]. გაფიცული მუშები ვერ დააკმაყოფილა მეფაბრიკის ასეთმა შეღავათმა და 2 მაისს სამუშაო კვლავ მიატოვეს. „14 დღის შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ მუშათა გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა: 10 საათიანი სამუშაო დღის ნაცვლად დაწესებული

---

[98] ЦГИАЛ, ф. 23, оп. 20, д. 857, ფურც. 5.

[99] საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, წ. 1 (1883—1921 წწ.), თბ., 1957, გვ. 262.

[100] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 252, ფურც. 1—2.

იქნა 9 საათიანი სამუშაო დღე. ხელფასიც საშუალოდ გაუდიდდათ 20%-დან 40%-მდე"[101].

იმავე წლის მაისის ბოლოს საფაროვის თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო მუშათა გაფიცვა, რომელმაც ერთ კვირას გასტანა. მეფაბრიკე იძულებული შეიქმნა მუშებისათვის ხელფასის გარკვეული პროცენტი მოემატებინა და აგრეთვე წინასადღესასწაულო დღეებში ისინი სამუშაოდან 1 საათით ადრე გაეთავისუფლებინა[102].

1916 წლის შემოდგომაზე გაიფიცნენ საფაროვის, ენფიანჯიანცისა და სააქციონერო საზოგადოება „მირის" თამბაქოს ფაბრიკების მუშები. 9 სექტემბერს საფაროვის ფაბრიკის მუშებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება 15%-დან 40%-მდე; მათ თბილისის ფაბრიკათა ინსპექტორს ცხოვრების მეტად ძნელ პირობებსა და ძალზე დიდ სიძვირეზე შესჩივლეს[103].

„ენფიანჯიანცის ფაბრიკაში გაფიცვები დაიწყო 14 ოქტომბერს. გაფიცვაში მონაწილეობდა 500-მდე მუშა, რაც დამთავრდა 17 ოქტომბერს მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებით. მუშებს ხელფასი 20%-ით გაუდიდდათ. 30 ნოემბერს გაფიცვები ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკაში დაიწყო"[104].

თამბაქოს მრეწველობაში დასაქმებული მუშათა რევოლუციური გამოსვლები არც შემდგომ წლებში შენელებულა. ისინი აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის, ხოლო შემდეგ საქართველოს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ამ რევოლუციურმა მოძრაობამ საქართველოს მრავალათასიან პროლეტარიატთან ერთად სახელოვანი ფურცლები ჩაწერა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

---

[101] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1957, გვ. 118.

[102] საქ. ცსია, ფ. 276, აღ. 1, საქ. 84, ფურც. 21.

[103] საქ. ცსია, ფ. 275, აღ. 1, საქ. 252, ფურც. 4.

[104] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

დასკვნა

1. თამბაქოს კულტურას საქართველოში ძველი დროიდან იცნობდნენ. სავარაუდოა, რომ თამბაქოს კულტურა ჩვენში XV—XVI სს. მიჯნაზე შემოტანილიყო.

ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის დროს თამბაქოს კულტურას საქართველოში, როგორც ჩანს, ყურადღებას არ აქცევდნენ. მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა მისი განვითარებისათვის, რაც უმთავრესად მეტროპოლიის თამბაქოს ფაბრიკებისათვის იაფფასიანი ნედლეულის მიწოდების საჭიროებით იყო ნაკარნახევი.

მეთამბაქოეობა განსაკუთრებით სწრაფად ვითარდება მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც მეფის ხელისუფლების მიერ შემოღებულმა ახალმა საბაჟო ტარიფმა სრულიად მოსპო თურქეთიდან თამბაქოს შემოტანა. ამ მდგომარეობამ თავისთავად ხელი შეუწყო სამრეწველო მეთამბაქოეობის განვითარებას. აღნიშნული დროიდან მეთამბაქოეობას უკვე სასაქონლო ხასიათი ჰქონდა და უფრო ფართოდ ვითარდებოდა ამავე საუკუნის 80—90-იან წლებში და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში.

საქართველოში მეთამბაქოეობის ძირითადი რაიონი იყო აფხაზეთი, რომელზეც მოდიოდა ამიერკავკასიის თამბაქოს მოსავლის 70%-ზე მეტი. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მას სიღნაღის მაზრაში, გურიისა და აჭარის სავაჭრო მიწათმოქმედებაში. ქართულ თამბაქოს ამუშავებდა არა მარტო საქართველოს და ამიერკავკასიის თამბაქოს ფაბრიკები, არამედ იგი გაჰქონდათ პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, როსტოვის, ოდესის, ქერჩის, სევასტოპოლისა და რუსეთის იმპერიის სხვა სამრეწველო ცენტრებშიც. უფრო მეტიც, საქართველოდან თამბაქო გაჰქონდათ ამერიკაში, ბელგიაში, გერმანიაში, ეგვიპტეში, თურქეთში, ინგლისში, ირანში, საფრანგეთში, ტუნისში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში და სხვა ქვეყნებში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის არც ერთ დარგში არ შეიმჩნეოდა ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარების ისეთი ტემპები, როგორიც იყო მეთამბაქოეობაში, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: რაც უფრო მეტად იღებს სავაჭრო ხასიათს მიწათმოქმედება, მით უფრო განვითარებულია მისი კაპიტალისტური ორგანიზაცია. ეს გარემოება კი დამახასიათებელი იყო მეთამბაქოეობის განვითარებისათვის საქართველოშიც აღნიშნულ პერიოდში.

2. თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობას საქართველოში, კერძოდ, თბილისში საფუძველი მე-19 საუკუნის 50-იან წლებში ეყრება. ამ დროის თამბაქოს დამმუშავებელ საწარმოებს შორის ყურადღებას იქცევს ენფიანჯიანცისა და ბოზარჯიანცის თამბაქოს ფაბრიკები, რომლებიც თავდაპირველად მანუფაქტურული ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისისათვის უკვე კაპიტალისტური ფაბრიკების სახე მიიღეს, ცოტა გვიან თამბაქოს ზოგიერთი საწარმოები მსხვილ სააქციონერო საზოგადოებებად ერთიანდებიან.

საქართველოს თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა ძირითადად თბილისში იყო თავმოყრილი, ასევე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მას ქუთაისისა და ბათუმის სამრეწველო განვითარებაში.

მე-19 საუკუნის 50—70-იანი წლების საქართველოში არსებული თამბაქოს დამმუშავებელი ფაბრიკები კაპიტალისტური მანუფაქტურის ტიპის საწარმოებს წარმოადგენდნენ, სადაც ადგილი ჰქონდა შრომის განაწილებას. სამუშაო ძირითადად ხელით სრულდებოდა.

70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში თამბაქოს წარმოებაში მექანიკური საჭრელი დაზგების შემოტანა ტექნიკურ გადატრიალებას იწვევს.

3. 80-იან წლებში ზოგიერთ თამბაქოს ფაბრიკაში გაჩნდა ცხენისძრავიანი მანქანებიც, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა მრეწველობის ამ დარგში სრულ სამრეწველო გადატრიალებას. რა თქმა უნდა, სრული ჭეშმარიტებაა 80-იანი წლებისათვის საქართველოს ზოგიერთ თამბაქოს ფაბრიკაში მანქანურ წარმოებაზე გადასვლის დაწყება, მაგრამ თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ორთქლის ძრავა და მანქანური წარმოება ძირითადად 90-იან წლებში მკვიდრდება. ამრიგად, თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ორთქლის ძრავიანი დაზგების დამკვიდრებამ ეს საწარმოები წმინდა კაპიტალისტურ ფაბრიკებად გადააქცია. ამ დროიდან თამბაქოს დამუშავების პროცესები მანქანებით წარმოებს, წარმოებიდან იდევნება ხელით შრომა. თამბაქოს დამმუშავებელ მრეწველობაში ორთქლის ძრავიანი

მანქანების დანერგვამ, ხოლო ცოტა უფრო გვიან ელექტრობის შემოტანამ წვრილი საწარმოების განადგურება გამოიწვია და გზა წმინდა მსხვილ კაპიტალისტურ ფაბრიკებს დაუთმო. თამბაქოს მრეწველობაში მომხდარმა სამრეწველო გადატრიალებამ მეფაბრიკეთა შორის კონკურენციის ზრდა გამოიწვია, რამაც თავისთავად ხელი შეუწყო წარმოების კონცენტრაციისა და მისი ცენტრალიზაციის პროცესს. ადგილი აქვს თამბაქოს მრეწველთა გაერთიანებებს, საფუძველი ეყრება მსხვილ სააქციონერო საზოგადოებებს. თამბაქოს წარმოება ერთ-ერთი ტონის მიმცემი დარგია იმ დროის საქართველოს მრეწველობაში.

4. კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში შედეგად მოჰყვა საზოგადოების ახალი კლასის — დაქირავებული მუშათა კლასის, ანუ სამრეწველო პროლეტარიატის გაჩენა. საქართველოს ისტორიაში ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა[1].

თამბაქოს ფაბრიკების მუშათა ცხოვრება განუყოფელი ნაწილია საქართველოს მუშათა კლასის — პროლეტარიატის ჩამოყალიბებისა და განვითარებისა.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს მუშათა მოძრაობის ავანგარდში რკინიგზელი მუშები გამოდიან. 90-იან წლებში მჩაგვრელების წინააღმდეგ ხმას იმაღლებენ თამბაქოს ფაბრიკების მუშებიც.

თამბაქოს ფაბრიკების მუშები საქართველოს მრავალრიცხოვანი პროლეტარიატის მხარდამხარ გამოდიოდნენ ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში. მათ შორის უნდა აღინიშნოს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის თამბაქოს ფაბრიკების მუშათა რევოლუციური გამოსვლები.

---

[1] საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962, გვ. 176.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954.

კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 2, თბ., 1932.

კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები ტ. I.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზ., ტ. 3, IV გამოცემა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის საკითხისათვის, თხზ., ტ. 4, IV გამოცემა.

კ. ბ ა ბ ი ლ ო ძ ე, აგრარული ურთიერთობა დასავლეთ საქართველოში XIX—XX სს. მიჯნაზე, წ. I, ბათ., 1952.

ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წლებში, თბ., 1965.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში, თსუ შრომები, ფ. XVI, თბ., თბ., 1940.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941.

პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, წ. I, თბ., 1965.

დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864 წწ.), თბ., 1959.

გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, თბ., 1962.

ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936.

ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945.

ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, თბ., 1954.

ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია XIX—XX სს. ტ. II, თბ., 1959.

შ. მ ე ს ხ ი ა, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ა. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.

ი. მ ი რ ცხ უ ლ ა ვ ა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1900—1917 წწ., თბ., 1964.

დ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, გ. ა კ ო ფ ა შ ვ ი ლ ი, ო. ს ო ს ე ლ ი ა, ნარკვევები ფეოდალური საქართველოს გლეხობის ისტორიიდან, თბ., 1967.

პ. რ ა ტ ი ა ნ ი, მასალები საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ისტორიისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. VI, ნაკ. I, თბ., 1961.

ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში (რეფორმისშემდგომი ხანა) თბ., 1961.
ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, XIX ს. 70—80-იანი წლების თბილისის მრეწველობის ხასიათის საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. VI, ნაკ. 1, თბ., 1961.
საქართველოს ისტორია, ტ. I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958.
საქართველოს ისტორია, ტ II, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1962.
საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, წ. I (1883—1921 წწ.), თბ.,1957.
ა. ს ე რ გ ე ლ ა ძ ე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX საუკ. მეორე ნახევარში, ბათ., 1959.
მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, თბ., 1968.
ნ. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს მრეწველობის ისტორიიდან, თბ., 1958.
ნ. ქ ო ი ა ვ ა, ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში, თბ., 1963.
ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1957.
შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის, პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1943
შ. ჩ ხ ე ტ ი ა, თბილისის ისტორიისათვის, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1938.
ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ასი წლის წინათ, ტ. IV, თბ., 1955.
ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში, დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი, თბ., 1909.
ბ. ხ ა ს ი ა, თამბაქოს მეურნეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ. 1964.
ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში, XIX ს. 30—60-იან წლებში. ისტორიის ინსტიტუტის შრ., III, თბ., 1958.
ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, თბ., 1966.
ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წ. II, თბ., 1968.
ა. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მეთაბაქოეობა, თბ., 1955.
მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1965.
И. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тб., 1962.
Дм. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб., 1878.
Г. Б а к р а д з е, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тб., 1958.
П. Г у г у ш в и л и, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., I, Тб., 1957.

П. Гугушвили, Табаководство в Грузии и Закавказье в 1801—1920 гг. Труды Института Экономики, т. X, 1959.
Ф. Махарадзе, Г. Хачапуридзе, Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932.
Ф. Махарадзе, Грузия в девятнадцатом столетии, Тб., 1933.
В. Мочалов, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., М., 1958.
М. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 годах, М., 1957.
Н. Чахвашвили, Рабочее движение в Грузии 1870—1904 гг., Тб., 1958.
М. Чхетиа, Тбилиси в XIX столетии, 1865-ые годы, Тб., 1939.

დოკუმენტების კრებულები და სტატისტიკური ცნობარი

ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1953; წ. III, თბ., 1955.
შ. ცაგარეიშვილი, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიისათვის საქართველოში. საისტორო მოამბე, 9, თბ. 1950.
А. Гедич, Обзор промышленности фабрично-заводской кустарной и горнозаводской губернии и областей Кавказского края, იხ. „საისტორო მოამბე", I, 1945, გვ. 210—290. აღნიშნული დოკუმენტი გამოაქვეყნა პროფ. შ. ჩხეტიამ.
С. Гулишамбаров, Историко-статистический обзор фабрик и заводов Тифлисской губернии в связи с развитием в ней кустарных промыслов, Тиф., 1888.
Список фабрик и заводов Европейской России, СПб., 1903, под ред. В. Е. Варзара.
Сборник статистических сведений по Закавказскому краю, ч. I, Тифл. 1902.
Фабрично-заводские предприятия Российской империи, СПб., 1913.
Фабричные законы, Киев, 1905.
Численность и состав рабочих в России, на основании данных первой всеобщей переписи населения Российской империи 1897 г., т. I, СПб., 1906.

პერიოდული გამოცემანი

„იბერია"
„დროება"
„ცნობის ფურცელი"
„კოლხიდა"

ფონდი 4, აღ. 5, საქმე № 11 125, 2356.
ფონდი 10, აღწ. 1, საქმე, № 740.
ფონდი 12, აღწ. 1, საქმე № 732, 858, 1461, 1636, 1870, 2108,
ფონდი 17, აღწ. 1. საქმე № 143, 485, 486, 1700, 2946, 3574, 4400 4414, 5285. 8954, 8977, 8995, 9000, 900, 9082, 9100, 1112,
ფონდი 26, აღწ. 1, საქმე № 994.
ფონდი 39, აღწ. 1, საქმე № 94, 144, 187, 495.
ფონდი 204, აღწ. 1, საქმე № 592, 654, 863, 1310, 1657,
ფონდი 240, აღწ. 1, საქმე № 1291.
ფონდი 275, აღწ. 1, საქმე № 43, 59, 74, 144, 152, 173, 189, 192, 198, 245, 252, 254.
ფონდი 276, აღწ. 1, საქმე № 19, 45, 60, 61, 84.
ფონდი 370, აღწ. 1, საქმე № 36, 61, 74, 91, 92, 132, 150, 156. 176, 207, 236, 461, 666, 687, 655, 813, 872, 1012, 1024, 1026, 1052, 1072, 1073, 1128, 1132, 1408.
ფონდი 471, აღწ. 1, საქმე № 81, 104, 132, 177, 297, 343, 352. 530, 593, 1012.
ფონდი 414, აღწ. 1, საქმე, 10, 21; აღწ. 3, საქმე № 3,

ЦЕНТРАЛЬНЫЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ ИСТОРИЧЕСКИЙ АРХИВ
Ленинград

Фонд 18, оп. 2, д. 1378.
Фонд 20, оп. 12, д. № 100.
Фонд 23, оп. 17, д. № 325; оп. 20, д. № 857.
Фонд 220, оп. 1, д. № 473.
Фонд 398, оп. 75, д. № 440, 1429.
Фонд 573, оп. 29, д. № 1274.
Фонд 1152, оп. 8, д. № 6.
Фонд 1153, оп. 1, д. № 101.
Фонд 1263, оп. 1, д. № 4525, 4559, 4653, 4586, 4921; оп. 2, д. № 5013, 5057, 5256, 5498.
Фонд 1268, оп. 7, д № 370; оп. 9, д. № 101; оп. 10. д. № 137; оп. 11, д. № 142; оп. 24, д. № 148, 231.
Фонд 1276, оп. 12, д. № 362.
Фонд 1281, оп 6, д. № 165.
Фонд 1288, оп. 3, д. № 273.
Фонд 1284, оп. 1, д. № 47; оп. 223, д. № 185, 194, 222.
Фонд 1290, оп. 2, д. № 176.

Филиал ЦГИА УССР в Харькове

Фонд 834, оп. 1, д. № 66, 88, 102, 142, 154, 256, 387.

შინაარსი

შესავალი 3

თავი II. მეთამბაქოეობა საქართველოში XIX—XX სს. 15

თავი III. თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1850—1880 წლებში . . 41

თავი III. თამბაქოს დამმუშავებელი მრეწველობა საქართველოში 1880—1917 წლებში . 75

თავი IV. თამბაქოს ფაბრიკების მუშათა მდგომარეობა და რევოლუციური მოძრაობა . . 103

დასკვნა 140

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 143

Цинцадзе Дурмишхан Галактионович

РАЗВИТИЕ КАПИТАЛИСТИЧЕСКОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ В ГРУЗИИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX в. И НАЧАЛО XX в.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ნ. შ ვ ე ლ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი რ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ლ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 25.5.1979; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.10.1979;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 9.3
საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.4;
უე; 08854; ტირაჟი 1000; შეკვეთა № 1959;
ფასი 90 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19